DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library in partnership with the Georgian National Museum.

- Author: Antadze, M. / ანთაზე, მ. / Антадзе, М. Г.
- Title: საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით / Вазаиниитношения грузии и турции в XV-XVIII вв. по нумизматическим данным
- Publication Date: 1982
- Publisher: Georgian National Museum, Georgian National Academy of Sciences
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_4ded393892

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

IVE
4270

მ. ანთაძე

საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV–XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით

„მეცნიერება"

VE-4270

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

მ. ანთაძე

2001/4

საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV—XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1982

902.9 (5) + 9 (C41)
63.2 (5 Ty) + 63.3 (25)
737 (56) : 9 (17.922 : 56)
ა 656

მონოგრაფიაში განხილულია საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV—XVIII სს-ში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით. ნაშრომში გამოყენებულია წერილობით წყაროებში დაცული ცნობები, ქართველ და უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერები, არსებული ნუმიზმატიკური ლიტერატურა. ამ მასალის ურთიერთშეჯერების საფუძველზე მოცემულია საქართველოსა და თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის საკითხები. დადგენილია ოსმალური მონეტების შემოსვლისა და გავრცელების არეალი. ნაჩვენებია ოსმალური მონეტების მნიშვნელობა და როლი ჩვენი ქვეყნის საგაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში.

რედაქტორი პროფ. შ. ლ ო მ ს ა ძ ე

65/82

ა $\frac{10602}{М\ 607\ (06)—82}$ 214—82

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1982

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის შესწავლის დროს წერილობითი წყაროების გვერდით საპატიო ადგილი უჭირავთ მონეტებს. საყურადღებო და გასათვალისწინებელია არა მარტო ქართული, არამედ უცხოური ნუმიზმატიკური მასალებიც. უცხოური მონეტების ნაწილი საქართველოში იჭრებოდა გარეშე დამპყრობლების (არაბების, მონღოლების, სპარსელების, ოსმალების) უშუალო პოლიტიკური დიქტატით, ნაწილი კი შემოდიოდა მეზობელი ქვეყნებიდან სავაჭრო ურთიერთობის გზით და ასრულებდა მნიშვნელოვან როლს საქართველოს ფულად მიმოქცევაში ჩვენი ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში.

საქართველოში მოჭრილ და აღმოჩენილ უცხოურ მონეტებს ქართული ნუმიზმატიკის არაერთი მკვლევარი შეეხო. მოხდა ამ მონეტების კლასიფიკაცია[1]. შედგა ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი განძებისა და ცალკეული მონეტების ტოპოგრაფია[2], გამოქვეყნდა სხვადასხვა უცხოური სამონეტო ჯგუფების კატალოგები[3]. სპეციალური შესწავლის საგანი გახდა ცალკეულ პერიოდებში საქართველოში მონეტების მი-

---

[1] Е. П а х о м о в, Монеты Грузии, Петербург, 1910; დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950; დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; И. Д ж а л а г а н и я, Из истории монетного дела Грузии XIII в., Тб., 1958; თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, XIII—XIV საუკუნეების დასავლურ-ქართული ფული (ცირმანეული), თბ., 1959; გ. დ უ ნ დ უ ა, სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV ს. საქართველოში, თბ., 1964.

[2] Е. П а х о м о в, Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, I—IX, Баку, 1926—1966; ი. ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა, ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში, თბ., 1972.

[3] თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1966; ი. ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ომაიანთა მონეტები, თბ., 1965; თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პართული მონეტების კატალოგი, თბ., 1974.

მოქცევის ხასიათი[4] და სხვა. ყოველივე ეს შესაძლებელი გახადა იმ გარემოებამ, რომ არსებობს მნიშვნელოვანი საკვლევი ბაზა— ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების ფონდების სახით, სადაც 80000-მდე მონეტა არის დაცული.

განყოფილების ფონდებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია განძების ფონდი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ მრავალ სამონეტო განძსა და ცალკეულ მონეტას ითვლის. მათ შორის კი უდავოდ დიდ ყურადღებას იქცევს XV—XVIII საუკუნეების ოსმალური მონეტები და მათი მინაბაძები, რომელთა შესწავლასაც ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი.

საქართველოში გავრცელებული ოსმალური მონეტები დღემდე არ გამხდარა მონოგრაფიულად შესწავლის საგანი, თუმცა ცალკეული მონეტები და ოსმალური სამონეტო ტერმინოლოგია სხვა საკითხებთან დაკავშირებით აისახა სხვადასხვა ნაშრომებში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს აკად. ივ. ჯავახიშვილის, ს. კაკაბაძის, ნ. ქოიავას, გ. დუნდუას და სხვათა შრომები[5]. მაგრამ ამ შემთხვევებშიც უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ მკვლევართათვის ნაკლებად იყო ხელმისაწვდომი ფაქტიური ნუმიზმატიკური მასალა.

გამოყენებული გვაქვს სპეციალური ნუმიზმატიკური ლიტერატურა ოსმალური მონეტების შესახებ[6], რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ გერმანელი მეცნიერის ა. შაედლინგერის ფუნდამენტური გამოკვლევა „ოსმალური ნუმიზმატიკა". ეს

---

[4] И. Джалагания, დასახ. ნაშრომი; თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, XIII—XIV საუკუნეების დასავლურ-ქართული ფული (ცირმანეული), თბ., 1959. გ. დ უ ნ დ უ ა, დასახ. ნაშრომი; რ. ქ ე ბ უ ლ ა ძ ე, ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV—XVIII საუკუნეებში, თბ., 1971.

[5] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, წ. II, ტფ., 1924; საფასის ისტორიისათვის, საისტორიო მოამბე, წ. I, ტფ., 1925; ნ. ქ ო ი ა ვ ა, ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, თბ., 1963; გ. დ უ ნ დ უ ა, დასახ. ნაშრომი; რ. ქ ე ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი.

[6] Stanley-Lane-Poole. On the weights and denominations of turkish coins. Numismatic Chronicle. Vol. ll. Third-series. P. 166—182. А. А. Быков Монеты турции XIV—XVII вв., Л., 1939. Stanley-Lane-Poole. Catalog of oriental coins in the British museum. Vol. VIII. London, 1888.

ნაშრომი 1973 წ. დაიბეჭდა და მასში დახასიათებულია ოსმალური მონეტების ზედწერილები, ნომინალები, მეტროლოგია და სინჯი, ზარაფხანები, მოცემულია სია ამ ზარაფხანებში მოჭრილი მონეტებისა[7].

წინამდებარე ნაშრომში სრული სახით არის წარმოდგენილი ნუმიზმატიკის განყოფილების ფონდებში დაცული ოსმალური ნუმიზმატიკური მასალა. ჩატარებულია ოსმალური სამონეტო ტიპების კლასიფიკაცია, აღნუსხულია ამ მონეტების აღმოჩენის პუნქტები და შედგენილია საქართველოში აღმოჩენილი ოსმალური საფასეს ტოპოგრაფია.

ნუმიზმატიკური მასალა შეჯერებულია წერილობითი წყაროების მონაცემებთან. ქართული დოკუმენტური წყაროების, უცხოელი ელჩების, მისიონერებისა და მოგზაურების ჩანაწერების შესწავლის საფუძველზე შედგენილია საქართველოში გავრცელებული ოსმალური სამონეტო ტერმინოლოგია. დახასიათებულია ოსმალური საფასეს შეფარდებითი ღირებულება და კურსი სხვა მონეტებთან მიმართებაში.

ყოველივე ამის საფუძველზე გამოტანილია დასკვნები საქართველოში ოსმალური მონეტების გავრცელების და მიმოქცევის პირობებზე სხვადასხვა პერიოდში, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის პოლიტიკური და ეკონომიკური მომენტების სათანადო გათვალისწინებით.

გარდა ამისა, გამოყენებული გვაქვს ის პარალელური ნუმიზმატიკური მასალა, რომელიც დაცულია ლენინგრადის, მოსკოვისა და ბაქოს მუზეუმებში.

წარმოდგენილი ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები განსაზღვრულია XV—XVIII საუკუნეებით.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი პირველი წმინდა ოსმალური მონეტები სელიმ I (1512—1520) მიეკუთვნება, მაგრამ ადრეანოპოლის (ედირნე) ოსმალური ახჩეების ქართული მინაბაძები, რომლებიც XV საუკუნის 80-ანი წლებით თარიღდება, და დაახლოებით ამავე პერიოდის ქართული წყაროების მონაცემები

---

[7] A. C. Schaendlinger. Osmanische numismatik. Braunschweig. 1973. Ibrahim Artuk. Istanbul arkeoloji müreleri teshirdeki islami sikkeler katalogu citt II. Istanbul. 1974.

საფუძველს გვაძლევს ვიმსჯელოთ ოსმალური მონეტების საქართველოში XV საუკუნიდან გავრცელებაზე.

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში ოსმალური მონეტების მიმოქცევის შესწავლის პირველ ცდას და, რასაკვირველია, არ იქნება დაზღვეული შეცდომებისაგან. ყველა ობიექტური შენიშვნა შეძლებისდაგვარად იქნება გათვალისწინებული მომავალი კვლევა-ძიების დროს.

თავი პირველი

ოსმალური მონეტები და მათი მიმოქცევა საქართველოში XV საუკუნეში

1. საქართველო-თურქეთის ურთიერთობა XV საუკუნეში

საქართველოსა და თურქეთის აქტიური პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა აშკარა ხდება XV საუკუნის მეორე ნახევრიდან. კონსტანტინოპოლის აღების (1453 წ.) შემდეგ თურქეთი თავის ბატონობას ავრცელებს მცირე აზიასა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, შავი ზღვისა და ხმელთაშუაზღვის სანაპიროებზე. ვახუშტის ცნობით ოსმალები აფხაზეთის სანაპიროს პირველად XV ს. I ნახევარში მიადგნენ[1] სულთან მურად II (1422 — 1451) დროს. მათ დალაშქრეს ქ. სოხუმი და სასტიკად ააოხრეს. ჯერ კიდევ 1454 წ. თურქეთის ფლოტი მოადგა აფხაზეთის სანაპიროს და დალაშქრა ქალაქი სოხუმი[2]. ამ დროიდან მოყოლებული იგი ნელ-ნელა ხანგამოშვებით ლაშქრავს საქართველოს დანარჩენ კუთხეებს და მიზნად ისახავს ამ ქვეყნის დაპყრობას.

ოსმალეთმა პირველად თავისი იარაღი სამხრეთ საქართველოსაკენ მიმართა და შეეცადა ამ კუთხის ხელში ჩაგდებას, რითაც იგი თავისი მიზნების განხორციელების გზაზე ირანს უპირისპირდებოდა.

ოსმალეთის პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებას საქართველოში ხელი შეუწყო წინა საუკუნეებში მომხდარმა ამბებმა. როგორც ცნობილია, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XIV საუკუნის მეორე ნახევარში საგრძნობლად შეირყა. გარეშე მტრების თავდასხმებმა ჩვენი ქვეყანა როგორც პოლიტიკურად,

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება 1469—1800 წწ., ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913, გვ. 364.

[2] Ф. Б р у н, Черноморье, т. I, Одесса, 1978, с. 217.

ისე ეკონომიკურად შესამჩნევად დაასუსტა. ამას ზედ დაერთო შინაური უთანხმოება და განკერძოება, რაც მთელი XV საუკუნის მანძილზე გაგრძელდა. აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყნის აშლილობის აუცილებელ თანამგზავრს დაქსაქსულობა და თემობრივი განკერძოება წარმოადგენს, რასაც თავი უნდა ეჩინა ჩვენს ქვეყანაში და ასეც მოხდა.

შინაური ბრძოლითა და ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტით გართულნი ქართველი მეფე-მთავრები ვერც კი ამჩნევდნენ როგორ შეიქმნა მათ მახლობლად ახალი, დიდი და ძლიერი ოსმალეთის სახელმწიფო, რომელმაც შეუჩერებელი ძლევამოსილებით დედამიწის ზურგიდან აღგავა ოდესღაც ბრწყინვალე ბიზანტიის იმპერია[3].

ბიზანტიის იმპერიის მოსპობა და კონსტანტინოპოლში თურქთა ბატონობა საქართველოს დასავლეთისაკენ მიმავალ მთავარ და უმოკლეს გზას უკრავდა და მაჰმადიანთა ძლიერი საბრძანებლის რკალს არტყამდა. კულტურულ-პოლიტიკური კავშირი მას ამიერიდან ევროპის სახელმწიფოებთან მოსპობილი ჰქონდა. დასავლეთისაკენ მიმავალი გზა იმ ძლიერი ოსმალეთის მიერ იყო გადაღობილი, რომელიც ევროპისაგან მხოლოდ სამხედრო ხელოვნებას ითვისებდა, გონებრივი და კულტურული წარმატებისათვის გულისყური და ცნობისმოყვარეობა დახშული ჰქონდა[4].

1461 წელს თურქეთმა დაიპყრო ტრაპიზონის საკეისრო და იგი, როგორც სახელმწიფო, მოსპო. სულთან მეჰმედ ფათიჰმა ზღვისოდენა ჯარით ხმელეთიდან და ზღვიდან ტრაპიზონს ალყა შემოარტყა 865 (1461) წელს და სამოცდაათი დღის გარემოცვის შემდეგ ბერძნებს წაართვა[5]. ტრაპიზონის იმპერია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ფრიად მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე მდებარეობდა. იგი იყო დამაკავშირებელი კვანძი ინდოეთის, ჩინეთის, ირანისა და ევროპის ქვეყნებისა. ვაჭრობაში მეტოქეობას უწევდა გენუას. ცხადია, ამ ქვეყნის ხელში ჩაგდება მეტად მნიშვნელოვანი იყო თურქეთისათვის. შემდეგ ფათიჰ მეჰმედ ხანმა აქაურობა ტახტად დაიდო, იქ ფული მოაჭრევინა, ხუტბა აღავლინებინა, სამ წელს

---

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1948, გვ. 63.

[4] იქვე. გვ. 183.

[5] ე. ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I, თბ., 1971, გვ. 81.

ამ ქალაქში იმყოფებოდა და ჩრდილოეთით მდებარე გურჯისტანი, სამეგრელო, აბაზის ქვეყანა დაიმორჩილა[6]. აქედან ოსმალეთი უშუალოდ საქართველოს საზღვრებს დაუკავშირდა. ოსმალეთის სამხედრო ფეოდალური სახელმწიფოს თანდათანმა გაძლიერებამ და საქართველოს მეზობლად ქრისტიანული სახელმწიფოების გაქრობამ (ბიზანტიისა და ტრაპიზონის საკეისროს) უდიდესი საფრთხე შეუქმნა დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს[7].

1475 წ. ოსმალეთმა დაიპყრო ყირიმი და, ფაქტიურად, შავი ზღვა „ოსმალეთის ტბად" გადააქცია. ოსმალეთის გაბატონებამ მცირე აზიასა და შავ ზღვაზე საქართველოს შემდგომი ეკონომიკური დაქვეითება გამოიწვია, რამაც თავის მხრივ უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

ოსმალეთის ბატონობამ შავ ზღვაზე არა მარტო საქართველო შეავიწროვა, არამედ დიდი ზიანი მიაყენა იტალიის ქალაქებსა და გენუელთა შავიზღვისპირა სავაჭრო ფაქტორიებს[8]. ნიკოფას, ბიჭვინთას, სევასტიპოლისს, სანტანჯელოს და სხვებს. ამ ფაქტორიებიდან თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მნიშვნელოვანი ადგილი სევასტიპოლისს (სოხუმი) ეკავა. აქ გადიოდა შავი ზღვის სანაპიროებთან ცენტრალური კავკასიისა და იმერეთ-გურიის დამაკავშირებელი უძველესი სავაჭრო გზა[9].

1475 წელს ოსმალებმა აიღეს და სასტიკად გაძარცვეს გენუელთა შავიზღვისპირეთის ვაჭრობის ცენტრი კაფა, რასაც მოჰყვა იტალიელთა დანარჩენი ფაქტორიების დაცემა[10].

ამრიგად, XV საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალებმა ხელთ იგდეს ტანასა და ტრაპიზონ-სომხეთით ინდოეთისაკენ მიმავალი ჩრდილოეთის სავაჭრო გზა, რასაც არა მარტო ეკონომიკური სარგებლობის მოტანა, არამედ სტრატეგიული მდგომარეობის განმტკიცებაც შეეძლო. ოსმალეთი ასევე აქტიურად იბრძოდა სამხრეთის გზების ათვისებისათვის, რომელიც სირიასა და მესოპოტამიაზე გავლით ინდოეთისაკენ მიდიოდა. ამავე საუკუნის ბოლოს მათ

---

[6] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი", გვ. 82.

[7] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, XVI—XVII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შუქზე, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1966. გვ. 169.

[8] З. В. А н ч а б а д з е. Из истории средневековой Абхазии (VI—VXII вв.), Сухуми, 1950, с. 244.

[9] Ф. Б р у н, დასახ. ნაშრომი, გვ. 293.

[10] Е. Д. Ф е л и ц ы н, Некоторые сведения с средневековых генуэзских поселениях в Крыму и Кубанской обл., Кубанский сборн., т. IX, Екатеринодар, 1899, с, 7.

ხელში აღმოჩნდა ხმელთაშუაზღვის სანაპიროები, დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები, რითაც ევროპის სახელმწიფოებს თითქმის მოუსპეს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის წარმოება მსოფლიოს მნიშვნელოვან ბაზრებთან. ოსმალთა მიერ განხორციელებულმა დაპყრობებმა ჩვენი ქვეყანა მოწყვიტა ევროპის ცივილიზებულ სამყაროს. ქრისტიანული აღმოსავლეთი განსაცდელში ჩავარდა. ამ ამბით შეშფოთებული ქართველი მეფე-მთავრები ერთხანს იმედით შესცქეროდნენ დასავლეთის სახელმწიფოებს. ხსნის ერთადერთ იმედად მათთან კავშირების გაბმა და თურქთა წინააღმდეგ კოალიციური ლაშქრობის მოწყობა მიაჩნდათ. ამის საუკეთესო საბუთია 1459 წელს ქართველ მეფე-მთავრებს შორის ანტიოსმალური კოალიციის გაფორმების ცდა[11].

საქართველოდან ბურგუნდიის მთავრისადმი მიწერილი წერილით ვგებულობთ, რომ გიორგი VIII გამოყავდა 40 000 კაცი, ტრაპიზონის იმპერატორს დავითს—20 000 კაცი და 30 ხომალდი, სამცხე-საათაბაგოს მთავარს, ყვარყვარეს—20 000 ცხენოსანი ლაშქარი. მცირე სომხეთის ბატონს, ბერდიბეგს 20 000 კაცი. იმერეთის მეფეს, სამეგრელოს მთავარს „ბენდიას“ და ანაკოფიის მთავარს გამოჰყავდათ მთელი თავიანთი მხედრობა[12].

კოალიციის მიზანი იყო ოსმალეთის დამარცხება, კონსტანტინოპოლის გათავისუფლება და შავ ზღვაზე გზის გახსნა.

სამცხე-საათაბაგოს მთავარი ყვარყვარე ათაბაგი ამ კოალიციის ერთ-ერთი აქტიური და მთავარი წევრი იყო. იგი კარგად გრძნობდა ოსმალეთის მზარდ სამხედრო სიძლიერეს, მისი განვითარების ინერციას და, აქედან გამომდინარე, მომავალ საშიშროებასაც. დასავლეთის მოკავშირე ბურგუნდიის მთავარს იგი შემდეგი შინაარსის წერილს სწერს: „ხელიდან არ გაუშვათ კაი შემთხვევა, რომელსაც გაძლევთ... უწყოდეთ კარგად, თუ რომ ახლა ჩვენთან ერთად არაფერს იმოქმედებთ, შემდეგში კიდევაც რომ გულით მოინდომოთ, ვერაფერს გაარიგებთ, რადგან უსჯულო ოსმალეთი მუდამდღე ძლიერდება და ვეღარ შევძლებთ შემდეგში გულმოდგინედ შეერთებას, როგორც ახლა ვართ“[13].

---

[11] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკებისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 58.

[12] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

[13] შ. ლ ო მ ს ა ძ ე, სამხრეთ საქართველო (სამცხე-ჯავახეთი) XVIII ს. შუა წლებიდან XIX ს. შუა წლებამდე, თბ., 1972, გვ. 5; მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

1460 წელს ქართველი დიპლომატები წარგზავნეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომის პაპთან. ამ მისიას შედეგი არ მოჰყოლია. გადამწყვეტ ჟამს დასავლეთმა ოსმალეთ-სპარსეთთან მორიგება არჩია, რადგან საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე საქართველოს წონა ევროპისათვის გაცილებით მცირე იყო, ვიდრე თურქეთისა[14].

ოსმალთა წინაღმდეგ კოალიციის მოწყობის ცდამ უშედეგოდ ჩაიარა. ქართველ მთავრებს შორის წინანდელზე უფრო გამწვავებული და დაუნდობელი ბრძოლა ატყდა.

ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის გართულების, ეკონომიკური საფუძვლის მოშლისა და დაუსრულებელი შინაური უთანხმოების გამო XV ს-ის ბოლოს მთლიანი საქართველო სამ სამეფოდ (კახეთი, ქართლი და იმერეთი) და ერთ სამთავროდ (სამცხე-საათაბაგოდ) დაიშალა.

პოლიტიკურმა დაშლილობამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი დასავლეთ საქართველოში მიიღო. იმერეთის სამეფო რამდენიმე დამოუკიდებელ ერთეულად დაიყო: სამეგრელოს, აფხაზეთისა და გურიის სამთავროებად.

ქვეყნის გაერთიანებისა და შესაფერისი მმართველობის ორგანიზაციის მოგვარებას ხელს უშლიდნენ საგარეო ფაქტორები.

„თუ პოლიტიკურ კრიზისს XIII ს-ის საქართველოში მონღოლთა შემოსევამ მოუსწრო, საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას (XV საუკუნის დასასრულს) დაემთხვა ოსმალეთის სამხედრო ფეოდალური სახელმწიფოს გაძლიერება და სეფიანთა სახელმწიფოს წარმოქმნა (XVI ს-ის დამდეგს), ფაქტიურად XVI საუკუნეში შეიკრა საქართველოს მტრული სახელმწიფოებით გარემოცვის რკალი“[15]. დაშლილი საქართველო მარტო დარჩა თურქეთისა და ირანის პირისპირ.

XV ს. მეორე ნახევარში ოსმალეთი ჯერ კიდევ არ ისახავდა მიზნად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობას და მხოლოდ მოხარკეობით კმაყოფილდებოდა.

ოსმალებმა ქაიხოსრო I (1498—1500) ათაბაგის დროს სამცხე-საათაბაგოსა და ჭანეთს შემოუტიეს. ვახუშტი წერს: „ჟამსა მასსა იწყეს კირთება არზრუმ-ტრაპეზონის ფაშათა საათაბაგოსი

---

[14] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, ჟურ. „მნათობი“, 1954, № 6.

[15] ე. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს., თბ., 1958; გვ. 61, 62.

და ჭანეთსა და ამშვიდებდა ქაიხოსრო ათაბაგი მორჩილებასა პირსა და ზედა და სძღვნიდა მარადის"[16].

ოსმალეთის დაპყრობით გეგმებში სამცხე-საათაბაგოს დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ კუთხის ხელში ჩაგდებით მას საშუალება ეძლეოდა შეტევა დაეწყო ერთი მხრივ დასავლეთ საქართველოს, ხოლო მეორე მხრივ ქართლ-კახეთის სამეფოების წინააღმდეგ. სამცხე-საათაბაგოს დაპყრობით მას გზა ეხსნებოდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნებისაკენ. სამცხე-სათაბაგოში თურქთა დამკვიდრება უდიდეს სტრატეგიულ უპირატესობას აძლევდა თურქ აგრესორებს საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის დაპყრობის საქმეში[17].

ასეთი იყო საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XV საუკუნის დასარულს, მაშინ, როდესაც ოსმალეთმა ამ ქვეყნის დაპყრობა განიზრახა.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ვითარება თურქეთს უადვილებდა დამპყრობლური მიზნების განხორციელებას. XV საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, იგი ხანგამოშვებით ლაშქრავს საქართველოს დასავლეთ და სამხრეთ ნაწილს. წერილობითი წყაროების ცნობით, ოსმალები სამხრეთ საქართველოს, ე. ი. სამცხე-საათაბაგოს, პირველად 1489 წელს მოადგნენ. „ქკსა: როზ: აქა ახალციხეს თათარნი მოვიდეს"[18], ხოლო 1510 წელს მათ იმერეთზე გაილაშქრეს, ქუთაისი და გელათი გადასწვეს და ააოხრეს.

2. სამონეტო საქმე XIV—XV სს. ოსმალეთში

(ზოგადი მიმოხილვა)

ოსმალეთის სახელმწიფოს დამაარსებელს ოსმან I (1281—1324) საკუთარი მონეტა არ მოუჭრია. ის სელჩუკური მონეტებით სარგებლობდა. სამონეტო საქმის ფუძემდებლად ოსმალეთში ითვლება ურხანი (1324—1360). მის მიერ მოჭრილი პირველი ვერცხლის მონეტა დათარიღებულია ჰიჯრის 727 წლით[19].

---

[16] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება 1469—1800 წწ., გვ. 241.

[17] ს. რ ო დ ო ნ ა ი ა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVII საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1961, გვ. 8.

[18] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 307.

[19] A. C. S c h a e n d l i n g e r, Osmanichen Numismatik, Braunschweig, 1973, s. 57, The Encyclopedia of islam, vol. I., H. B o w e n, Acche, London, 1956, p. 318.

პირველი ოსმალური ვერცხლის ნომინალის სახელწოდება იყო აxჩა, თავიდანვე აxჩა „ოსმანის“ ეპითეტით განისაზღვრა და XIV—XV სს-ში ის უბრალოდ „ოსმანი“-დ[20], ე. ი. ოსმალურად (შდრ. ქართული წყაროების „ოთმანური“) იწოდებოდა.

ურxანის აxჩა 6 კირატს, ან მისxლის 1/4 იწონიდა. მისი დიამეტრი იყო 18 მმ, სინჯი 90%. ტიპოლოგიურად ისინი რუმის სელჩუკების მსგავსი იყო, მაგრამ წონითი სისტემის მიxედვით—ორნაxევარჯერ მსუბუქი მათზე. ე. ი. აxჩის წონა 1,20 გ შეადგენდა[21]. მომდევნო სულთნების აxჩა ზომით რამდენადმე შემცირდა, მაგრამ წონა და xარისxი შეინარჩუნა[22].

აxჩის წონითი სტანდარტის დაქვეითება მეxმედ II (1451—1481) დროს დაიწყო და XVI ს. I მეოთxედისათვის ის $3\frac{3}{4}$ კარატამდე დაეცა. აxჩის წონა დროის ამ მონაკვეთში 0,5—0,95 გრამებს შორის მერყეობდა[23].

თავდაპირველი აxჩის გარეგნული სახე ასეთია: შუბლზე მოთავსებულია მუსლიმანური რწმენის სიმბოლო لا اله الا الله محمد رسول الله „არ არის ღმერთი გარდა ალაxისა, მუxამედი მოციქულია ალაxისა“. მონეტის გარშემოვლებულ ზედწერილში იკითxება ოთxი მართლმორწმუნე xალიფას სახელი: აბუ ბექრი, ომარი, ოსმანი და ალი ابو بكر, عمر, عثمان على ზურგზე: სულთანის ტიტული „სულთანი ურxანი, უდიდებულესი, შვილი ოსმანისა سلطان اورخان بن عثمان და იქვე კეთილისმყოფელი ფორმულა „განადიდოს ალაxმა მეფობა მისი“. خلد الله ملكه.

გარდა აxჩისა, ურxანის დროსვე იxრებოდა xუთაxჩიანი ნომინალი[24], რომელზედაც არ არის მითითებული მოxრის ადგილი და წელი. უფრო გვიან, xიჯრის 875 (1470) წ. მეxმედ II-მ მოxრა 10 აxჩიანი ნომინალიც[25].

თუ მxედველობაში არ მივიღებთ ურxანის მიერ xიჯრის 727 წ. მოxრილ აxჩეებს, რომლებზედაც ზარაფxანად მითითებულია ბურსა[26] (ოსმალეთის სატახტო ქალაქი 1326 წლიდან), XIV ს. ოს-

---

[20] A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 58. E. I, vol. I, Akche, London. 1956, გვ. 318.

[21] E. I. vol. I. Akche, London, 1956, p. 318.

[22] А. Быков, Монеты Турции XIV—XVII вв., Л., 1939, с. 5.

[23] A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

[24] იქვე, გვ. 58.

[25] იქვე.

[26] იქვე, გვ. 87.

მალური ვერცხლის მონეტები არ ატარებენ მოჭრის ადგილს[27].

XVს. დასაწყისიდან, თანდათან ოსმალურ მონეტებზე ზარაფხანის მითითება ჩვეულებრივი ამბავი ხდება. ჰიჯრის 806 (1403—1404) წ. ახჩეებზე მოჭრის ადგილად, მაგ., მითითებულია ბურსა და აიასულუკი[28], ხოლო 813 (1410—1411) წ.—ბურსა და ედირნე[29].

ოსმალეთში წვრილ ვაჭრობას ემსახურებოდა და ლოკალური მნიშვნელობა ჰქონდა სპილენძის ნომინალს—მანგირს. ურთიერთშეფარდება მანგირსა და ახჩას შორის არ იყო მყარი. XIV—XV საუკუნეებში ერთი ახჩა რვა მანგირს უდრიდა[30].

ოსმალეთის ტერიტორიალურ გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა ზარაფხანების რიცხვიც, რომლებშიც ეს ორი ნომინალი იჭრებოდა. XIV—XV საუკუნეებში ოსმალეთის ევროპულ და აზიურ ნაწილში ფიქსირებულია შემდეგი ზარაფხანები: ბურსა, აიასულუკი, ედირნე, ნოვარი, თირე (ტიროსი), ბოლუ, კონსტანტინია (კონსტანტინოპოლი), კონია, ჰანჯა, კასტამუნუ, ტრაპიზონი, კარატოვო, გელიბოლუჯდა, ამიდი[31]. ე. ი. სულ 23 დასახელების ზარაფხანა.

XV ს. II ნახევარში ახჩას ღირებულების დაცემასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება ოქროს მონეტებზე. ვერცხლისა და სპილენძის ნომინალები ვერ აკმაყოფილებდა იმპერიის ეკონომიკის გაზრდილ მოთხოვნილებებს და საჭირო გახდა ბრუნვაში ოქროს ნომინალის გაშვება.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალეთის სამონეტო ბაზარზე ამ დროისათვის უკვე ფართოდ იყო გავრცელებული ვენეციური ოქროს დუკატი, რომელიც „ალთუნ ფუნდუკლის“ სახელით იყო ცნობილი[32].

ფ. ბაბინგერის თანახმად ვენეციური დუკატები იმდენად ფართოდ იყო გავრცელებული ოსმალეთის ფულად მიმოქცევაში, რომ პირველი ოსმალური ოქროს მონეტები მათი მიბაძვით მოიჭრა[33].

---

[27] A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრ., გვ. 87—88.

[28] იქვე, გვ. 88.

[29] იქვე, გვ. 88—89.

[30] А. Быков, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

[31] A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 88—94.

[32] А. Быков, დასახ. ნაშრომი, გვ. 6, 7.

[33] Fr. Babinger, Südosteuropaische Handeismünzen am aufgang des Mittelalters, in Vierteliahrschrift für Sozial-und wirtschaftgeschichte. დამოწმებ. ჟურნალ Studii Si cercetari de Numismatica, Bucuresti, 1960, v. III. ოლიესკუს რეცენზიის მიხედვით, გვ. 583.

არსებობ! ცნობები, რომლის მიხედვით ჰიჯრის 828 (1425) წ. და უფრო ადრეც ოსმალეთის ზარაფხანებში მოუჭრიათ ვენეციური დუკატების მიბაძვით ოქროს მონეტები frengi filor ან al fluri-ს სახელწოდებით[34], მაგრამ ეს მონეტები არ განსხვავდებოდნენ ტიპოლოგიურად თავიანთი პროტოტიპისაგან.

პირველი ოსმალური ოქროს მონეტა, ალთუნი მოიჭრა ჰიჯრის 882 (1477—78) წ.[35] მეჰმედ II-ს (1451—1481) მიერ და მოიჭრა ის კონსტანტინოპოლში, რომელიც, როგორც ცნობილია, 1453 წ. დაიპყრეს.

ალთუნის წონითი სტანდარტი იყო 3,56 გ, დიამეტრი 22 მმ, სინჯი 98 %[36].

პირველი ოსმალური ოქროს მონეტები — ალთუნები საკმაოდ იშვიათობას წარმოადგენს. აქ ვიძლევით ჰიჯრის 882 წ. ალთუნის აღწერილობას, რომელიც მოსკოვის ისტორიულ მუზეუმშია დაცული[37].

წონა 3,50 გ, ზომა 18,8 მმ.

შ უ ბ ლ ი: არაბული ზედწერილი ხუთ სტრიქონად. მოჭრის ადგილი და თარიღი.

سلطان محمد بن სულთანი მეჰმედი ძე
مراد خان عز نصره მურად ხანისა, იდიდოს მისმა ძლიერებამ
قسطنطينية მოიჭრა კონსტანტინიას
ضرب في წელსა 882.
٨٨٢

ზ უ რ გ ი: სულთანის ძალისა და ძლიერების გამომხატველი ეპითეტი სამ სტრიქონად.

صارب النصر მოიჭრა ბრწყინვალე
صاحب العز النصر მბრძანებლის, ძლევამოსილის გამარჯვებულის,
في البر و البحر ხმელეთსა და ზღვაზე.

კონსტანტინოპოლის ზარაფხანა XV ს. მიწურულამდე არ იყო ერთადერთი, რომელიც ალთუნებს ჭრიდა, ოქროს მონეტის ემი-

---

[34] Fr. B a b i n g e r, Zur der osmanichen goldprägungen in 15. Jahrhundert. Südost-Forschungen vol. XV, 1956, p. 552.

[35] اسماعيل عالب تقويم مسكوكات عثمانية قسطنطينية ١٣٠٧
I. C. Artuk, Istanbul Arkeoloji müzelrri Teshirdeki Islami Sikkeler...

[36] A. C. S c h a e n d l i n g e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

[37] მოსკოვის ისტორიული მუზეუმის საინვ. № 91556/3—373.

სია, სპეციალური ლიტერატურის თანახმად, ცნობილია ჰიჯრის 886 (1481—82) წ. ქ. სერეზში[38].

ამრიგად, XV საუკუნის ბოლოსათვის ოსმალეთის სამონეტო ურთიერთობაში ჩაბმული ყოფილა სამი ნომინალი: „ახჩა"—ოსმალეთის სამონეტო მიმოქცევის ძირითადი ერთეული, „მანგირი"—სპილენძის მონეტა და ოქროს მონეტა ე.წ. „ალთუნი".

3. ოსმალური საფასე და მისი მინაბაძები XV ს. საქართველოში

XV საუკუნემდე ქართულ წყაროებში არ ჩანს არავითარი ოსმალური სამონეტო ტერმინი და არც ოსმალური საფასეს მიმოქცევის რაიმე კვალი.

XIV ს-ში აღმოსავლეთ საქართველოს ფულად მიმოქცევაში გაბატონებული იყო ილხანთა, ჯალაირიდთა და ჯუჩიდების ვერცხლის მონეტები, დასავლეთ საქართველოში კი გავრცელებული იყო ტრაპიზონული ასპრები და კირმანეული თეთრი.

ოსმალური ფულის ძირითადი ერთეული ახჩე-ი-ოსმანი ამ პერიოდში ჯერ კიდევ უცნობია საქართველოს ფულის მიმოქცევისათვის. მისი გავრცელება არ დასტურდება არც სამონეტო განძების და არც წერილობითი წყაროების მონაცემებით.

XIV ს-ის საქართველოში არ არსებობდა პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები ოსმალური საფასეს გავრცელებისათვის. ოსმალურ ახჩას არ შეეძლო რაიმე კონკურენცია გაეწია საქართველოში გაბატონებული სხვადასხვა ტიპის ვერცხლის მონეტებისათვის.

საქართველოში ოსმალური საფასეს გავრცელება იწყება XV საუკუნიდან, როცა ოსმალეთი უშუალოდ დაემუქრა საქართველოს საზღვრებს და დღის წესრიგში დააყენა მისი ანექსიის საკითხი.

სხვადასხვა ტიპის საფასეებთან ერთად XV ს. უკანასკნელი მეოთხედის ქართული სინამდვილე იცნობდა „ოთმანურ ფლურს და თეთრს", ე. ი. ოსმალურ ოქროსა და ვერცხლის მონეტებს.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით, საქართველოს სამონეტო განძებმა არ შემოგვინახა XV ს-ით დათარიღებული წმინდა ოსმალური

---

[38] А. Марков, Инвентарный каталог мусульманских монет Императорского Эрмитажа, СПб., 1897, с. 944, № 51[3], I. C. Artuk, Istanbul Arkeoloji müzeleri Teshirdeki islami Sikkeler Katalogu, Istanbul, 1974, p. 492, № 485.

მონეტები. ამისდა მიუხედავად, მთელი რიგი მონაცემებით საქართველოში მათი შემოსვლა და ტრიალი XV საუკუნისათვის არავითარ ეჭვს არ იწვევს.

ორი მნიშვნელოვანი განძის, გორის (XV ს. მიწურული) და სოფელ მნას (XVI ს. დასაწყისი) მონეტების შემადგენლობის შესწავლა უჩვენებს ქართულ მონეტებზე ოსმალური ნუმიზმატიკის დიდ გავლენას.

ეს ჯერ კიდევ 1940 წ. აღნიშნა პროფ. დ. კაპანაძემ[39].

ქართული და ოსმალური მონეტების მსგავსება კარგად შეიმჩნევა ჰიჯრის 834 (1430) წლიდან, ხოლო ამ წლის შემდეგ მოჭრილი თურქული ახჩები ის ორიგინალებია, რომელთა მიხედვით ახორციელებდნენ ქართველი მეფეები სამონეტო ემისიას[40].

ოსმალური ახჩის მინაბაძები, რომლებიც მხოლოდ ცალ მხარეზეა სიქანაკრავი, გორის განძში აღმოჩნდა 92, მნას განძში კი 6 ცალი.

პროფ. დ. კაპანაძემ 1940 წელს შეისწავლა და მეცნიერულად დაასაბუთა ადრეანოპოლის ახჩის მინაბაძის არსებობის საკითხი. ერმიტაჟის ნუმიზმატიკის განყოფილების გამგის ა. ბიკოვის დახმარებით დაადგინა ამ მონეტების ზედწერილი, რომ ეს ტიპი ჰიჯრის 886 წლით დათარიღებულ ადრეანოპოლში მოჭრილი ახჩის მინაბაძს წარმოადგენს. ადრეანოპოლში პირვანდელ მოჭრილ ფულად ტიპად ცნობილია ჰიჯრის 813 (1410—1411) წ. დათარიღებული ახჩა[41]. ეს ადრეული ახჩები ეკუთვნის ბაიაზედ I (1389—1402) შვილს, სულეიმან ჩელების (1402—1410) და მუსა ჩელების (1410—1413).

მოგვყავს გორის განძის ახჩის მინაბაძის აღწერილობა.

№ 1. გ. ფ. № 1803. ბილონი, წონა 0,63 გ, ზომა 13—16 მმ.

ამ მონეტის ზურგზე ძალიან მკრთალად, მაგრამ მაინც, შეიმჩნევა ჯვარი, ეს კი არავითარ ეჭვს არ იწვევს მისი სადაურობის დადგენაში და ადრეანოპოლის ახჩის მინაბაძის საქართველოს ტერიტორიაზე მოჭრის საკითხს კიდევ უფრო ამტკიცებს.

---

[39] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, XV საუკუნის ქართული ფულის გორის განძი. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე X—B, თბ., 1940, გვ. 279—304.

[40] გ. დ უ ნ დ უ ა, სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობანი XV ს. საქართველოში. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1965, გვ. 105 (ხელნაწერი).

[41] А. А. Б ы к о в. Первый Османский монетный двор. Труды отдела Нумизматики ГЭ, т. I, Л. 1945, с. 120.

20014

შუბლი: გაცვეთილია, შეიმჩნევა სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი, მოჭრის ადგილი და თარიღი.

صرب მოიჭრა

ادرنه ედირნეს

٨٨٦ سنه 886 წ.

ზურგი: უწარწერო, ე. წ. „მუნჯი“. შეიმჩნევა ჯვარის ფრაგმენტები (ტაბ. I, 1).

№ 2 გ. ფ. № 1812. ბილონი, წონა 0,66 გ. ზომა 13—14 მმ.

შუბლი: გაცვეთილი. ზედწერილი ორ სტრიქონად.

ضرب عز نصره იდიდოს მისმა ძლიერებამ მოიჭრა

ادرنه ედირნეს

ზურგი: „მუნჯი“.

მთლიანი სახით ჩვენ ასე აღვადგინეთ ზედწერილი:

შუბლი: დამახინჯებული არაბული ზედწერილი სამ სტრიქონად:

صرب عز نصره იდიდოს მისმა ძლიერებამ მოიჭრა

ادرنه ედირნეს

٨٨٦ წელსა 886

ზურგი „მუნჯი“ (ტაბ. I. 2).

№ 3. გ. ფ. № 7412, ბილონი, წონა 0,60 გ, ზომა 12/14 მმ.

შუბლი: გაცვეთილი, ზედწერილი სამ სტრიქონად.

ضرب عزنصره იდიდოს მისმა ძლიერებამ მოიჭრა

ادرنه ედირნეს

٨٨٦ წელსა 886

ზურგი: „მუნჯი“ (ტაბ. I. 3).

№ 4. გ. ფ. №7414. ბილონი, წონა 0,78 გ, ზომა 14/16 მმ.

შუბლი: დამახინჯებული ზედწერილი სამ ხაზად

ضرب عز نصره იდიდოს მისმა ძლიერებამ მოიჭრა

ادرنه ედირნეს

...٦ سنه (88)6 წ. (ტაბ. I, 4).

ამ მონეტათა მოჭრის ადგილი ედირნე — ანდრეანოპოლი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სულთანმა მურად I დაიპყრო 1362 წ.

სატახტო ქალაქად აქცია და საფიქრებელია, ზარაფხანაც გახსნა, თუმც ამ დროით დათარიღებული მონეტა არ მოგვეპოვება.

ჰიჯრის 886 (1481) წ. ამოვიკითხეთ მნას განძის ცალებზედაც, მოგვყავს სანიმუშო ცალების აღწერილობა.

№ 5. გ. ფ. № 3360. ბილონი, წონა 0,82 გ, ზომა 12—15 მმ. 'შუბლი: დამახინჯებული არაბული ზედწერილი სამ ხაზად. შეიმჩნევა მოჭრის ადგილი და თარიღის ფრაგმენტი.

ضرب	მოიჭრა
ادرنه	ედირნეს
سنه ٨٢.	86 წ.

ზურგი: „მუნჯი“.

№ 6. გ. ფ. № 3362, ბილონი, წონა 0,71 გ, ზომა 12—16 მმ. შუბლი: ზედწერილი სამ სტრიქონად.

عز نصره ضرب	იდიდოს მისმა ძლიერებამ მოიჭრა
ادرنه	ედირნეს
سنه [.]٨٧	წელსა [.]87

ზურგი: „მუნჯი“ (ტაბ. I, 5).

ამრიგად, გორისა და მნას განძში გვხვდება როგორც ჰიჯრის 886 წ., ისე 887 წლით დათარიღებული მონეტები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისინი არც თუ ისე მცირე რაოდენობით ყოფილა მოჭრილი. რადგან ადრეანოპოლში XV საუკუნის დასაწყისში უკვე იჭრებოდა მონეტები და ამავე პერიოდის ქართულ საფასეს ოსმალური ნუმიზმატიკის დიდი გავლენა ემჩნევა, როგორც უკვე აღნიშნეს მეცნიერებმა, შესაძლებელია, რომ გორისა და მნას განძში მოხვედრილი მინაბაძებიც XV საუკუნით დავათარიღოთ.

ა. ბიკოვს ამ მინაბაძების სასარგებლოდ წამოყენებული აქვს შემდეგი მოსაზრება:

1. ედირნეს ზარაფხანა არ აწარმოებდა ცალმხრივად სიქანაკრავი მონეტების ემისიას. სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი არსად არ ფიგურირებენ[42].

2. გორის განძის ცალებზე (ასევე მნას განძის მონეტებზე — **ბ. ა.**) ლეგენდები დამახინჯებულია, რაც მიუთითებს იმაზე, **რომ** ხელოსანს ცუდად სცოდნია აღმოსავლური ენები.

---

[42] W. Walentine, Modern Copper Coins of the Muhammadan States, London, 1911. p. 13—17.

3. ეჭვს იწვევს თარიღი 887 წ., ვინაიდან ოსმალეთში XV ს-ში და უფრო გვიანაც ახჩა იჭრებოდა არა ყოველწლიურად, არამედ დროის გარკვეული ინტერვალის შემდეგ. მაგ., მაჰმუდ II (1451—1481) დროს ჰიჯრის 855, 865, 975 წწ., ხოლო ბაიაზედ II (1481—1512) დროს—ჰიჯრის 886 წ.[43] ა. ბიკოვის აზრით ორმხრივად სიქანაკრავიც რომ იყოს გორის განძის ჰიჯრის 887 წლით დათარიღებული მონეტა, ის ზემოაღნიშნული მიზეზის გამო თურქულად მაინც არ ჩაითვლება[44].

ეს ფაქტები მეტყველებენ იმაზე, რომ დასახელებული მონეტები მინაბაძებად ჩაითვალოს.

გორისა და მნას განძები იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ მათში თავმოყრილია მრავალფეროვანი მონეტები. გარდა ადრეანოპოლის ახჩის მინაბაძებისა, დიდი რაოდენობითაა ქართველ მეფეთა მიერ მოჭრილი მონეტები, შირვანული თანგის მინაბაძები, გაურკვეველი მუსლიმანური ზედწერილიანი და სრულებით გაურკვეველი მონეტები.

ქართველ მეფეთა მიერ მოჭრილი მონეტები ტიპოლოგიურად ძალიან უახლოვდება სულთან მეჰმედ II დროს მოჭრილ ფულს. მათი ურთიერთშედარებისას მსგავსება შეიმჩნევა[45].

გორისა და მნას განძის შესწავლით ირკვევა, რომ XV საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ფულად მიმოქცევაში შირვანულ თანგებთან ერთად გარკვეული ადგილი სჭერია თურქულ ახჩებსაც, წინააღმდეგ შემთხვევაში მინაბაძები ვერ მოიჭრებოდა. ყოველივე ამან საშუალება მისცა დ. კაპანაძეს დაესკვნა: ეროვნული მონეტების ტიპებისა და ვარიანტების სიმრავლის მიუხედავად XV ს. მეორე ნახევარში საქართველოში მინაბაძების მოჭრის ტრადიცია მაინც დამკვიდრდა, რამაც XV ს. მეორე ნახევარში ფართო გავრცელება ჰპოვა[46].

დ. კაპანაძის ზემომოტანილი მოსაზრება სავსებით დაშაჯერებელია და ეჭვს არ იწვევს. ქართულ მონეტებზე ოსმალური ნუ-

---

[43] اسماعيل عالب تقويم مسكوكات عثمانية قسطنطينية ١٣٠٧ გვ. 42. № 77.

[44] გ. დ უ ნ დ უ ა, სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობანი XV საუკუნის საქართველოში (ისტორიულ-ნუმიზმატიკური ნარკვევი). სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1965, გვ. 105—106.

[45] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 304, ოსმალური ფულის ტიპების შედარება XV ს. ქართულ მონეტებთან.

[46] Д. Г. К а п а н а д з е, Грузинская нумизматика, с. 110.

მიზმატიკის გავლენა და საქართველოში თურქული ახჩეების მინაბაძების გავრცელება უდავოდ მიუთითებს ჩვენში უკვე XV ს. 80-ან წლებამდე ოსმალური საფასეს გავრცელება-გამოყენებას.

გორის განძის საინტერესო მონეტად ჩაითვლება ყვარყვარე ათაბაგის სახელით მოჭრილი მონეტა[47]. ქართულ ნუმიზმატიკაში ამ სიახლემ დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან მეფეთა-მეფის სახელით მოჭრილი მონეტების გარდა სხვა მონეტები არ არსებობდა. ამ მონეტების აღმოჩენით გაირკვა, რომ XV საუკუნეში სახელმწიფო მონეტის გვერდით ჩნდება ე. წ. „ფეოდალური" ან მთავრის მიერ მოჭრილი მონეტა. ასეთივე მონეტა მოუჭრია ვამეყ დადიანს[48], რაც იმას გულისხმობს, რომ ოდიშში ზარაფხანა ყოფილა[49].

ყვარყვარე ათაბაგის მონეტათა რამდენიმე სახესხვაობაა ცნობილი. ამ მძლავრი ფეოდალის სახელით აღბეჭდილი და ერთმანეთისაგან განსხვავებული ვარიანტების არსებობა საუკეთესო საბუთია იმისა, რომ ყვარყვარე ათაბაგს მუდმივი ზარაფხანა ჰქონია, სადაც მონეტები დიდი რაოდენობით იჭრებოდა[50].

წერილობითი წყაროები და ფაქტობრივი ნუმიზმატიკური მასალა გვიმტკიცებს, რომ XV საუკუნეზე უფრო ადრე, აღბუღა ათაბაგის დროს, მესხეთში იჭრებოდა მონეტა.

მესხეთში—ახალციხეში—ზარაფხანის არსებობის აღმოჩენა და გამოკვლევა თ. ლომოურს ეკუთვნის. მანვე დაადგინა, რომ ეს ზარაფხანა XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის მიჯნაზე მოქმედებდა და საკუთარ პროდუქციას უშვებდა[51]. კერძოდ, XIII ს. მიწურულში აქ იჭრებოდა ყაზან ყაენის სახელით მონეტები ჰიჯრის 618 (1298—1299) წ. და ოლჯაიტუ სულთანის დირჰემები ჰიჯრის 716 (1316—1317) წ. რასაკვირველია, ეს ზარაფხანა სწრა-

---

[47] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ზოგიერთი გაურკვეველი ფულის დათარიღებისათვის, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XI—B. 1941, გვ. 150.

[48] Е. П а х о м о в, დასახ. ნაშრომი, II, 1938, № 483; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 88—91.

[49] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, უცნობი ქართული მონეტების და ზარაფხანების საკითხის შესწავლისათვის, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIV—B, თბ., 1947, გვ. 151.

[50] იქვე, გვ. 154.

[51] თ. ლ ო მ ო უ რ ი, ახალციხის ზარაფხანა, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XII—B, თბ., 1944, გვ. 213.

ფად არ შეწყვეტდა მოქმედებას და განაგრძობდა მონეტების გამოშვებას. მართალია, XIV ს. მეორე ნახევარში ამ ზარაფხანის პროდუქცია არ ჩანს და შთაბეჭდილება იქმნება თითქოს მისი არსებობა შეწყდა, მაგრამ XV საუკუნეში, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება დასუსტდა და ცალკეულმა სამთავროებმა იწყეს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, მესხეთის მსხვილი ფეოდალი ყვარყვარე II, რომელიც ისე გაკადნიერდა, რომ მცხეთის კათალიკოსს განუდგა და მეფის ხელისუფლებასაც კი ებრძვის, ჩანს სარგებლობს მესხეთში არსებული ზარაფხანით და თავისი სიძლიერისა და დამოუკიდებლობის დასამტკიცებლად საკუთარი სახელით ჭრის მონეტას. ახალციხის ათაბაგის მონეტის გაჩენა მიუთითებს საქართველოს არახელსაყრელ მდგომარეობაზე. კონკრეტულად, სამეფო ხელისუფლების დასუსტებასა და, აქედან გამომდინარე, ყვარყვარე ათაბაგის პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვაზე.

ყვარყვარეს სეპარატისტული მოღვაწეობა კარგადაა ცნობილი. 1465 წ. გიორგი VIII და ყვარყვარეს შორის სამცხის ტერიტორიაზე მომხდარ ბრძოლაში მეფე დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. აქედან მოყოლებული, სამცხე-საათაბაგო დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბდა. მაგრამ 1465 წლამდეც ყვარყვარეს მორჩილება სრულიად საქართველოს მეფისადმი, ალბათ, მხოლოდ ნომინალურ ხასიათს ატარებდა. საფიქრებელია, ამ დროიდან იწყება ახალციხური მონეტების ემისია, რომელთაც ყვარყვარეს სახელის აღმნიშვნელი ზედწერილი ამკობს[52].

მესხეთის ზარაფხანის პროდუქციად მიიჩნევს დ. კაპანაძე დამახინჯებული არაბული ზედწერილით შესრულებულ მონეტას, რომლის ზურგზე, ისე როგორც ყვარყვარეს მონეტაზე, გამოსახულია თევზი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადრეანოპოლის ახჩის მინაბაძზე მოთავსებული დამახინჯებული არაბული ზედწერილი, ცალმხრივი სიქა და მოჭრის ტექნიკა, რომელიც ძალიან წააგავს XV საუკუნის ქართულ მონეტებს, საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მისი მოჭრა მესხეთში—ახალციხის ზარაფხანაში განხორციელდა.

---

[52] გ. დ უ ნ დ უ ა, დასახ.ნაშრომი, გვ. 210; დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 131—133.

4. ქართულ წყაროებში დამოწმებული XV ს. ოსმალური საფასეს ტერმინოლოგია

საქართველოში გავრცელებულმა თითქმის ყველა უცხოურმა საფასემ თავისი კვალი დატოვა ქართულ წერილობით წყაროებში. გამონაკლისი არც ოსმალური ფულის ერთეულები უნდა ყოფილიყო, მაგრამ სამწუხაროდ, XV ს. ქართული წერილობითი წყაროები მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი და შესაბამისად, ოსმალური სამონეტო ტერმინოლოგიაც აქ იშვიათად გვხვდება.

ფაქტიურად გვაქვს მხოლოდ XV ს. უკანასკნელი მეოთხედის ყვარყვარე ათაბაგის ძის, ბაჰადურის სააღაპე შეწირულობა, სადაც მოხსენიებულია „ოცი ათასი ოთმანური... რომელიმე ფლურად, რომელიმე თეთრად"[53]. ასეთივე დიდი რაოდენობითაა ოსმალური ფული აღნიშნული 1500 წლის ქაიხოსრო ათაბაგის სააღაპე შეწირულობაში. გარდაცვლილის ძმა უხვად არიგებს სახსრებს, მარტო ათონის ქართველთა მონასტრისათვის 25000 „ოთმანურის" საფასე შეუწირავს, ზოგი ფლურად და ზოგი თეთრად[54].

ლაკონიურობისდა მიუხედავად, აღნიშნული აღაპები უაღრესად მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელია.

შევჩერდეთ 1475 წლის (ქართლის ცხოვრების მეორე გაგრძელების ვერსიით 1478 წ.[55]) ყვარყვარე ათაბაგის ძის, ბაჰადურის სააღაპე შეწირულობაზე. ამ ცნობაში ზუსტად არის გადმოცემული XV ს. ბოლომდე ოსმალეთის სამონეტო საქმეში ასახული ვითარება.

როგორც ზემოთ ვთქვით, ოსმალური ფულის ზოგადი სახელწოდება იყო „ოსმანი", ქართული „ოთმანური" ამ ტერმინის ადეკვატურია[56]. ეს მოწმობს, რომ საქართველოში, ყოველ შემთხვევაში სამცხე-საათაბაგოში მაინც, კარგად იცოდნენ ოსმალური ფულის ზოგადი სახელწოდება, რაც გამოწვეული იყო ამ ფულის ხმარებითა და გავრცელებით.

აღაპში ირკვევა, რომ ფულის ნაწილი „თეთრად" შეუწირავთ. აქ არავითარი ეჭვი არ შეიძლება გვქონდეს იმის თაობაზე, რომ „თეთრი", ე. ი. „ოთმანური თეთრი" ოსმანური ახჩაა, ახჩე-ი-ოს-

---

[53] თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 1897, ტფ., გვ. 299.

[54] იქვე, გვ. 314.

[55] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1948, გვ. 111.

[56] გ. დ უ ნ დ უ ა, გვ. 89—91; რ. ქ ე ბ უ ლ ა ძ ე, გვ. 15—16.

მანი, ანუ უბრალოდ ოსმანი, ევროპის ქვეყნებში კი მას ასპრს ეძახდნენ.

მეჰმედ II-ს დროს (848—849; 855—886) ერთი ვენეციური ცეხინი 44 ახჩის ტოლფასოვანი იყო, ხოლო სულეიმან I-ს დროს 50—60 ახჩისა.

1584 წელს ვენეციურ ცეხინში იხდიდნენ 120 ახჩას, 1600 წელს — 130, ხოლო 1680 წელს კი 300 ახჩას. უფრო მოგვიანებით — 420 ახჩას[57]. ქართული ტერმინი ასევე ზუსტი შესატყვისია ოსმალური სამონეტო ტერმინისა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ფლური, „ოთმანური" ფლური!

საერთოდ, ტერმინი ფლური ფართოდ ვრცელდება საქართველოში XV საუკუნეში[58]. მიღებულია, რომ ამ ტერმინით აღინიშნებოდა ვენეციური დუკატები, სახელწოდება კი მომდინარეობს ფლორენციული ოქროს მონეტებიდან — ფლორინებიდან, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში და სარგებლობდნენ დიდი უპირატესობით. რ. ქებულაძის აზრით, „ფლორინების საყოველთაო აღიარების გამო, შესაძლებელია, რომ ჩვენმა წინაპრებმა ეს ტერმინი, ფლურის სახით, ვენეციური ოქროს დუკატებზედაც გაავრცელეს"[59]. რ. ქებულაძის აზრი პრინციპში მართებულია, მაგრამ ვიდრე ეს საქართველოში მოხდებოდა, უფრო ადრე ფლური მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელდა და საქართველოშიც სწორედ ამ გზით შემოვიდა.

მუსლიმანურ აღმოსავლეთში ფლორინი გამოითქმოდა როგორც ფლური, ალ-ფლური. ჩვენ ვნახეთ, რომ, თუ ადრე არა, 1425 წლიდან მაინც ოსმალები ჭრიდნენ ვენეციური დუკატების მინაბაძებს, რომელთა სახელწოდება იყო ალთუნ ფუნდუკლი, ფერენგი, ფილორი, ალ-ფლური. მაგრამ, ვიდრე ოსმალეთში ვენეციური დუკატების ჭრას ამ სახელწოდებით დაკანონებული ხასიათი მიეცემოდა, ფლურს უკვე შეძენილი ჰქონდა დუკატის აღმნიშვნელი ფუნქცია.

---

[57] A. C. Schaendlinger, Osmanische numismatik s. 58. Zinkeisen, jon. Wilh. Geschichte des Osmanische Reiches in Europa. Goxha 1840—1859, 3, s. 798; Hammer Josef, Geschichte des Osmanische Reiches IV, s. 633.

[58] ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა მეტროლოგია, ტფ., 1925, გვ. 15.

[59] რ. ქებულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

საქართველოს ფულის მიმოქცევამ ფლური, როგორც ვენეციური დუკატის აღმნიშვნელი ტერმინი, მზამზარეულად მიიღო და მიიღო ის, ალბათ, ოსმალეთის გზით.

ქართულ წყაროებში XV საუკუნეში ფლური ხშირად არის დასახელებული. რიგ შემთხვევებში ის განისაზღვრება როგორც „ვენეტიკური"[60]. მაგრამ ყვარყვარე ათაბაგის ძის, ბაჰადურის სააღაპო შეწირულობაში დასახელებულია უკვე სულ სხვა ტიპის ფლური. ეს არის ოთმანური ფლური.

ამ აღაპს 1475 წლით (ან 1478 წ.) ბაჰადურის გარდაცვალების თარიღით, განსაზღვრავენ. თუ ეს ასეა, აქ დასახელებული ფლური უნდა გაიგივდეს ვენეციურ დუკატებთან — ე. წ. ალთუნ ფუნდუკლისთან, ფერენგი ფილორთან ან ალ-ფლურთან, რომლებიც 1425—1477/8 წწ. იჭრებოდა ოსმალეთის მრავალ ზარაფხანაში. მაგრამ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ფლურის „ოთმანურით" განსაზღვრას. აქ რომ ვენეციური დუკატები ყოფილიყო, ეს „ოთმანური" ზედმეტი იქნებოდა, ვინაიდან ალთუნ ფუნდუკლის, იგივე ფერენგი ფილორის, ოსმალეთის ზარაფხანებში მოჭრის გარდა ოსმალურობის არაფერი ეცხოთ და არ განსხვავდებოდნენ თავიანთი ორიგინალებისაგან.

გ. დუნდუას აზრით, ტერმინ ოთმანურ ფლურში იგულისხმება 1477—1478 წწ. მოჭრილი პირველი წმინდა ოსმალური ოქროს მონეტები—ალთუნები, რომლებმაც საქართველოში ასევე ფლურის სახელი შეინარჩუნეს XVIII საუკუნემდე[61]. ამის პირდაპირი მანიშნებელია შეწირული ფლურის „ოთმანურით" ე. ი. ოსმალური ოქროს ფულით განსაზღვრა. ეს კი, სრულიად უმტკივნეულოდ, ბაჰადურის სააღაპე შეწირულობის თარიღს მხოლოდ რამდენიმე წლით გადასწევს უკან. დღემდე ჩვენი მსჯელობა კი სხვა მიმართებით იყო წარმოდგენილი (იხ. მ. ანთაძისა და რ. ქებულაძის წერილი[62]).

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი XV ს. ოსმალური ახჩის მინაბაძები, ოსმალური ნუმიზმატიკის გარკვეული კვალი

---

[60] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ისტორიული საბუთები, III, ტფ., 1913, გვ. 36; თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 277—278.

[61] გ. დ უ ნ დ უ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 90—91.

[62] М. А н т а д з е, Р. К е б у л а д з е, Клад золотых монет из Лехурского ущелья, Нумизматика и Эпиграфика, IX. М., 1971, с. 131.

ქართულ მონეტებზე, ათონის აღაპებში დამოწმებული „ოთმანური ოეთრი“ მოწმობენ საქართველოში ოსმალური ახჩის გავრცელებაგამოყენებაზე, თუმცა ოსმალური ვერცხლის საფასე არ შეადგენდა რაიმე მნიშვნელოვან წილს საქართველოს ფულად მიმოქცევაში. კიდევ უფრო მცირე იყო ოსმალური ალთუნების ხვედრითი წონა საქართველოს ფულად მიმოქცევაში. არსებული ვითარება თანდათან იცვლება XVI—XVII საუკუნეებში, როცა ოსმალეთმა უშუალოდ დასვა საქართველოს ანექსიის საკითხი.

ამგვარად, მასალათა შეჯერების, ლიტერატურაში არსებული ფაქტების და წერილობითი წყაროების საფუძველზე, ირკვევა, რომ 1477—1478 წლებში ოსმალეთში უკვე ხორციელდება ოქროს მონეტათა ემისია, რაც „ოთმანური ფლურის“, ე. ი. ოქროს გავრცელების საკითხს, და თვით ტერმინ „ოთმანურის“ დადგენას გვიადვილებს[63].

ოსმალური საფასე ძირითადად გავრცელებულია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სამცხე-საათაბაგოში, ჭოროხის ხეობაში, გურიასა, სამეგრელოსა და იმერეთში.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

ოსმალური მონეტების მიმოქცევა საქართველოში XVI—XVII საუკუნეებში

1. საქართველოსა და ოსმალეთის პოლიტიკური ურთიერთობა XVI—XVII სს.

საქართველოს მიმართ ოსმალეთის დაპყრობითმა პოლიტიკამ განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი XVI საუკუნის დამდეგიდან.

XVI საუკუნეში ოსმალეთი დიდი და ძლიერი ქვეყანა იყო. მისი საზღვრები ტრაპიზონიდან ადრიატიკის ზღვამდე, ქ. ბელგრადამდე და მდინარე დონის შესართავიდან და ყირიმიდან ხმელთაშუაზღვის სანაპირომდე იყო გადაჭიმული. XVI საუკუნის დასაწყისიდან იწყება ოსმალეთსა და ირანს შორის ხანგრძლივი ბრძოლა მახლობელ აღმოსავლეთში ბატონობისათვის. ამ ომების ასპარეზი იყო ერაყი, შირვანი, სომხეთი, საქართველო და ადარბა-

---

[63] გ. დ უ ნ დ უ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 90—91.

დაგანი. მოწინააღმდეგენი სასტიკად არბევდნენ და ანადგურებდნენ ამ ქვეყნებს.

სეფიანთა ირანი ძველი ტრადიციებით ხელმძღვანელობდა, მონღოლთა ყაენების პოლიტიკურ მემკვიდრეობას იჩემებდა და საქართველოს დაპყრობას თავის მოვალეობად სთვლიდა[1].

1518 წელს ირანის შაჰი ისმაილ I (1502—1524) ლაშქრავს საქართველოს. ასევე განაგრძობდა საქართველოს დარბევას ისმაილ I-ს მემკვიდრე თაჰმაზპ I (1524—1576).

XVI საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს დაშლის პროცესი, დაწყებული ჯერ კიდევ XIII—XIV საუკუნეებში, უფრო გაღრმავდა, რაც ოსმალებს უადვილებდა თავიანთი მიზნების სისრულეში მოყვანას. იმ დროს, როდესაც ოსმალები სამცხე-საათაბაგოს საზღვრებს მოადგნენ და მას დაპყრობით ემუქრებოდნენ, ქვეყნის შიგნით მდგომარეობა ძალზე დაძაბული იყო. სამცხის ათაბაგის ხელისუფლებას ეცილებოდნენ არა მარტო ადგილობრივი ფეოდალები, არამედ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებიც. სამცხის ათაბაგის წინააღმდეგ ბრძოლის მოთავედ იმერეთის მეფე ბაგრატ III გამოვიდა. მან გურიელისა და დადიანის დახმარებით გაილაშქრა ყვარყვარე III-ს წინააღმდეგ. 1535 წ. 15 აგვისტოს ახალქალაქის მახლობლად, სოფ. მურჯახეთთან დაამარცხა ყვარყვარე ათაბაგი და დაატყვევა იგი. ბაგრატმა საათაბაგო დაიპყრო და ამით მისი დამოუკიდებელი არსებობა ათი წლით შეწყვიტა. იგი იმერეთის სამეფოს შეუერთდა. ეს გარემოება სულთანს საშუალებას აძლევდა უფრო აქტიურად ჩარეულიყო სამცხის შინაურ საქმეებში. 1536 წ. 4 ივლისს არზრუმის ბეგლარბეგი მეჰმედ ხანი თავისი ლაშქრით საქართველოს წინააღმდეგ დაიძრა დიდძალი ჯარით[2]. დიდი ომისა და ბრძოლის შემდეგ გამარჯვება თურქებს ხვდათ წილად. ფეჩევის ცნობით სამმა-ოთხმა სასანჯაყო ადგილის მოსახლეობამ მორჩილება გამოაცხადა და სულთანს ვალისა და მმართველის დანიშვნა სთხოვა[3].

თურქი ისტორიკოსის დანიშმენდის ცნობით, ოსმალებს ამ დროს საქართველოს დაპყრობილი ადგილებიდან შემდეგი სანჯაყები დაუარსებიათ: ოლთისი, ართვინი, კისკამი და ნარმანი[4].

---

[1] საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო, წ. I, თბ., 1948, გვ. 300—301.

[2] მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს., თბ., 1971, გვ. 56.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 57.

1542 წელს ოსმალეთის სულთანმა სულეიმან I-მა (1520—1566) არზრუმის მმართველი მუსა ფაშა სამხრეთ საქართველოს დასაპყრობად გამოაგზავნა. ბაგრატ მეფემ სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ თურქთა ჯარი დაამარცხა.

1545 წელს ბასიანში სიხოისტასთან ოსმალებსა და ქართველებს შორის მოხდა დიდი ბრძოლა. ამ ომში ოსმალებს ემხრობოდა ქაიხოსრო ათაბაგი, რომლის წყალობითაც მათ შეძლეს სამცხე-საათაბაგოს დამორჩილება, „და აღიღეს ყოველივე ციხენი და სიმაგრენი და გააბატონეს ქაიხოსრო ძე ყვარყვარესი და იქმნა ათაბაგი“[5].

1551 წელს არზრუმის ფაშა დიდი ჯარით არტანუჯში შეიჭრა. მეფე ლუარსაბისათვის ცხადი გახდა, რომ სამხრეთ-დასავლეთის მხრივ საქართველოს ზღუდე ერღვეოდა, და გადაწყვიტა საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილის დაპყრობა-შემომტკიცება, რათა ოსმალეთის წინსვლა შეეჩერებინა. ქაიხოსრო ათაბაგის მოწინააღმდეგე მესხი თავადების შემწეობით ლუარსაბმა ხელთ იგდო ჯავახეთი და სამცხე-არტაანის დიდი ნაწილი, მაგრამ თურქეთის წინსვლა ვერც ამან შეაჩერა.

XVI საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს დასავლეთის დიდი ნაწილი: ტაო, შავშეთი, კლარჯეთი თურქეთის ხელში აღმოჩნდა. სამცხე-საათაბაგოს ხელში ჩაგდებით მათ გზა ეხსნებოდათ აღმოსავლეთ ამიერკავკასიისაკენ. მაგრამ, როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, „სამცხე-საათაბაგოს მტკიცედ დაუფლების გარეშე კავკასიაში თურქეთის პოლიტიკური წარმატებები საეჭვო გახდებოდა“[6].

50 წლიანი ომი, რომელიც თურქეთსა და ირანს შორის წარმოებდა ამიერკავკასიის დაპყრობისათვის, 1555 წლის ამასიის ზავით დამთავრდა. ამ ზავის პირობები ასახულია ქართულ წყაროებშიც. „მაშინ განუყვეს ქვეყანანი და დარჩა სულტანს იმერეთი, ოდიში, გურია, ზემო ქართლი საზღვრამდე ქართლისა და კარი საზღვრამდე აბულისა და ერევნისა, სომხითი ვიდრე ბაღდადამდე, ხოლო შაჰ თამაზს დაუგდო ქართლი, კახეთი, ერევანი და ქურთისტანს აქათი და მშვიდობა ჰყვეს ურთიერთს“[7].

---

[5] ვახუშტი, ტ. II, გვ. 244, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 500.

[6] Н. Бердзенишвили, Очерки из истории развития феодальных отношений в Грузии XIII— XIV в., Тб., 1938, с. 38.

[7] ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 371.

ამრიგად, ამ ზავის შედეგად საქართველო ორ ნაწილად გაგლეჯილი აღმოჩნდა. ქართლი და კახეთი ირანს დაეთმო; იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია და სამეგრელო თურქეთს ერგო. რაც შეეხება სამცხე-საათაბაგოს, იგი ოსმალებმა და ყიზილბაშებმა გაიყვეს: ტაო, შავშეთი, კლარჯეთი ოსმალეთს ერგო; სამცხე, ჯავახეთი — ირანს. სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ცენტრი ქ. ახალციხითურთ ოსმალეთის გავლენის სფეროს გარეთ დარჩა. დაპყრობილი ტერიტორია ოსმალებმა ოთხ სანჯაყად დაჰყვეს და საბეგლარბეგოები დააარსეს[8].

სანჯაყი ანუ ლივა იყო ოსმალეთის ძირითადი სამხედრო სამმართველო ერთეული. სანჯაყს სანჯაყბეგი მართავდა. მას სამხედრო-ადმინისტრაციული სამსახურისათვის ხელფასის ნაცვლად ხასი ეძლეოდა. მისი წლიური შემოსავალი აღწევდა 20 000-დან 40 000 ახჩამდე. სანჯაყების დაარსების შედეგად მოხდა სამხრეთ საქართველოს ოლქების აღწერა, დავთარში გატარება და კანონ ნამეების შედგენა. ყოველივე ამან გამოიწვია ქართული ფეოდალური წეს-წყობილების მოშლა და მის ნაცვლად ოსმალურის შემოღება. საქართველოს სამხრეთი ნაწილის გაოსმალებას ხონთქარი უკვე XVI საუკუნის პირველ ნახევარში შეუდგა. ეს მტაცებელი სახელმწიფო მისთვის ჩვეული ძალადობით იპყრობდა აქაურ ქართულ ოლქებს, ახდენდა მის ინკორპორაციას, ნერგავდა აქ ოსმალობას ოსმალური მიწისმფლობელობის წესის შემოღებით[9].

ოსმალების მიერ შემოღებულ „კანონ ნამეებში“ ვრცლადაა საუბარი ოსმალური მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესებზე, გადასახადის სახეობებსა და აკრეფის წესებზე.

„გურჯისტანის კანონ ნამეში“ ჩამოთვლილია ადმინისტრაციული პერსონალი. მირი, ლივა (სანჯაყ ბეგი), ემინი, ყადი, სუბაში, დიზდარი, სალარი[10] და სხვა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე ოსმალური მართვა-გამგეობა იყო შემოღებული და მისი შესაბამისი აპარატიც არსებობდა, რასაც ჩვენში ოსმალური ფეოდალის შემოსვლა მოჰყვა.

თურქეთის სახელმწიფოს შემოსავლის ძირითად წყაროს დაპყრობილი ქვეყნების ძარცვა შეადგენდა. იგი XV საუკუნის II ნა-

---

[8] მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 80—81.

[9] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 31, თბ., 1954, გვ. 75.

[10] მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

ხევრიდან შეუსვენებლივ იპყრობდა და ძარცვავდა მთელ რიგ სახელმწიფოებს და მათ რიცხვში საქართველოსაც. ჩვენი ქვეყნიდან მათ გაჰქონდათ აბრეშუმი, ტილო, თაფლის სანთელი, ხე-ტყე დიდი რაოდენობით, რაშიაც დიდ მოგებას ნახულობენ. მაგრამ XVI საუკუნის II ნახევრიდან თურქეთი მწვავე ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. ეს უზარმაზარი სახელმწიფო დაცემის გზას დაადგა, რაც გამოწვეული იყო სამხედრო-ლენური სისტემის კრიზისით. ეს სისტემა ოსმალეთის სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების საფუძველს წარმოადგენდა. სამხედრო ძლიერების შესუსტება გამორიცხავდა დაპყრობითი ომების წარმოებას, ეს კი ამცირებდა ქვეყნის ეკონომიკურ შემოსავალს. მიუხედავად ამისა, ოსმალეთის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა დაეპყრო მეზობელი სახელმწიფოები და მათი ექსპლოატაციის ხარჯზე შეემსუბუქებინა ქვეყნის შიგნით დაწყებული კრიზისი.

თურქეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიაზე გამავალი სავაჭრო გზების ხელში ჩაგდებას. თურქი დამპყრობლები სდევნიდნენ ამიერკავკასიის ხალხთა ენებს, კანონებს, კულტურას, სარწმუნოებას და ადათ-ჩვევებს. მათი დაჟინებითი ცდა ქართველთა „გაოსმალებისა“ კიდევ უფრო ამჭიდროვებდა ოსმალების წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს. ოსმალებმა მართალია დიდი მსხვერპლის გაღებით შეძლეს ქართლის დაპყრობა, მაგრამ პოლიტიკურად ეს კუთხე მაინც ვერ დაიმორჩილეს. ქართლის ციხესიმაგრეებში თურქი მეციხოვნენი იდგნენ „მაგრამ თემი მეფე სვიმონს ჰქონდა და მეფის შიშით ურუმნი ციხით ვერ გამოდიოდნენ“[11]. თურქეთის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ჰამმერი აღნიშნავს „საქართველო თუმც დაპყრობილი იყო, მაგრამ არ იყო დამორჩილებული“[12].

1578 წელს თურქეთმა განაახლა საომარი მოქმედება ირანთან. რადგანაც მას ირანთან ომის დაწყების საბაბი არ ჰქონდა, ამიტომ ომის მიზეზად იმას ასახელებდა, რომ საქართველოს ურჩი ბეგების „დასაწყნარებლად“ მოდიოდა[13]. ამით მას საშუალება ეძლეოდა უშუალოდ დაეწყო შეტევა საქართველოზე და ქართლის დაპყრობის შემდეგ დაპირისპირებოდა ირანს.

---

[11] ფ. გორგიჯანიძის ისტორია, ტფ., 1926, გვ. 13.

[12] Hammer, Historie del Empire Ottoman, Paris, 1938, VII, გვ. 104.

[13] იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964, გვ. 38.

თურქეთის მრავალრიცხოვან ლაშქარს მეთაურობდა მუსტაფა ლალა ფაშა. 1578 წ. 5 აპრილს მან სტამბოლი დატოვა და თავისი ლაშქრით არზრუმს დაბანაკდა და წერილები დაუგზავნა ამიერკავკასიის გამგებლებსა და საქართველოს მეფე-მთავრებს მხარის დაჭერის მიზნით. მუსტაფა ლალა ფაშამ მოხერხებულად გამოიყენა საქართველოს პოლიტიკური დაშლილობა ოსმალეთის ინტერესების სასარგებლოდ და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. 7 აგვისტოს ოსმალებმა პირველი იერიში საზღვარზე მდებარე მგელ ციხეზე მიიტანეს, მაგრამ ციხის აღება ვერ შესძლეს. მეორე დღეს მათ შეტევა გააძლიერეს და მრავალი ციხე და სოფელი დაიპყრეს. „პარასკევსა დღესა, 8 მარიამობის თვესა ქალაქის ციხე, ველი და თეთრი ციხე წაგუართუეს ურუმთა და ქალაქის ციხის მეციხოვნენი სრულიად შემოეხოცნეს“[14].

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ქართველთა ლაშქარი დამარცხდა. ოსმალთა ხელში აღმოჩნდა ქაჯის ციხე, ველი, თეთრი ციხე, ხერთვისი, თმოგვის ციხე, ახალქალაქის და სხვა. ამ ციხეების დაპყრობის შემდეგ ოსმალთა ლაშქარი ჩილდირის ველზე დაბანაკდა. შეშფოთებულმა ირანის შაჰმა ოსმალებს ჩილდირის ველზე საქართველოში შესასვლელი გზა გადაუღობა. 1578 წ. 9 აგვისტოს ჩილდირის ველზე ოსმალეთსა და სპარსელებს შორის მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. ჩილდირის ბრძოლა ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა. მესხური მატიანე ჩილდირის ბრძოლის ამბებს ასე გადმოგვცემს: „პირველად გაიმარჯვეს ყიზილბაშთა და მერე ურუმნი მოერივნეს და გაიმარჯვეს“[15].

მანუჩარმა გამარჯვებულ ფაშას მორჩილების საზღაურად ქრისტიანობის შენარჩუნება და მამაპაპეული მამულების დაბრუნება მოსთხოვა, რასაც, რასაკვირველია, ოსმალეთის მთავრობა უარით შეხვდა. „ოსმალეთს სამცხე-საათაბაგოში აკმაყოფილებდა არა მოხარკეობაზე დაფუძნებული დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა, არამედ დაპყრობილი ქვეყნის სრული ინკორპორაცია, მისი საფაშოდ გადაქცევა, სანჯაყებად დაქუცმაცება. ოსმალებს აქ მოხელე (ფაშა) სჭირდებოდათ და არა მთავარი (ათაბაგი). ოსმალეთს არ სურდა, რომ სამცხე-საათაბაგო ერთი მთლიანი პოლიტიკური ერთეული ყოფილიყო“[16], ამ მიზნით ლალა მუსტა-

---

[14] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), ქრ. შარაშიძის გამოცემა, თბ., 1961, გვ. 47.

[15] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 48.

[16] მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

ფა ფაშამ ათაბაგის სახლის წევრებს, მანუჩარსა და ყვარყვარეს სანჯაყები უწყალობა. ლალა მუსტაფა ფაშას ღონისძიებას — ქვეყნის სანჯაყებად დაყოფას — საწინდარი უნდა შეექმნა მისი დამორჩილებისათვის, რაც მხოლოდ „ოსმალობის“ დასაწყისს ნიშნავდა.

ჩილდირის ველზე გამარჯვების შემდეგ ოსმალებს საშუალება ეძლეოდათ დაეწყოთ ლაშქრობა ქართლისა და შირვან-აზერბაიჯანის წინააღმდეგ. 1578 წლის 24 აგვისტოს ოსმალთა ლაშქარი თბილისისაკენ დაიძრა. დაუთ ხანმა თბილისი დატოვა, ოსმალთა ლაშქარმა თბილისის ციხე უბრძოლველად აიღო და ქართლის საბეგლარბეგო დააარსა. მის მმართველად კასტამონიის სანჯაყ ბეგი, სოლაქ ფერჰედ ფაშას ძე მეჰმედ ბეგი დანიშნა.

ქართლისა და თბილისის დაპყრობის შემდეგ ლალა მუსტაფა ფაშა შეუდგა ოსმალური მართვა-გამგებლობისა და ოსმალური წესების შემოღებას. მუსტაფა ლალა ფაშამ თბილისის საბეგლარბეგოსთან ერთად გორში სანჯაყი დააარსა. ამის შესახებ წერილობითი წყარო შემდეგ ცნობას გვაწვდის. „ტფილისს ჩავიდეს ურუმნი, ფაშა დასუეს და გორს სანჯახი“[17], „ოსმალთ დაიპყრეს ქართლი და ჰყვეს თბილისი საფაშოდ, გორი აღაშენეს და ჰყვეს სანჯაყად“[18].

ქართლის დაპყრობის შემდეგ ლალა მუსტაფა ფაშა შირვან-აზერბაიჯანისაკენ გაემართა. დაიპყრო შემახა, კაბალი, ბაქო და სხვა. ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობის შემდეგ შეცვალა თავისი დამოკიდებულება სამცხე-საათაბაგოსადმი. სულთანს აღარ აკმაყოფილებდა მესხეთის მოხარკეობის ფორმა და დღის წესრიგში აყენებდა სამცხე-საათაბაგოს გაუქმებისა და საბეგლარბეგოს (საფაშოს) დაარსების საკითხს.

სამცხე-საათაბაგოში საბეგლარბეგოს დაარსების მიზნით, სულთანის მოთხოვნით მუსტაფა ლალა ფაშამ მანუჩარი და ყვარყვარე სტამბოლში გაგზავნა. 1579 წლის 3 აპრილს მანუჩარი და ყვარყვარე კონსტანტინოპოლში წავიდნენ. „1579 წ. პატრონი ყვარყვარე და პატრონი მანუჩარ კონსტანტინოპოლს წავიდეს აზრუმიდამ. აპრილის 3 ორშაბათს გადგეს“[19]. 1579 წლის 3 ივნისს ორი ქართველი თავადი ეახლა სულთანს. ქართველ თავადებს უთ-

---

[17] ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 522; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 49.

[18] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 522.

[19] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 51, 42.

ხოვიათ სულთნისთვის ყოველწლიური გადასახადის შეწერა, მაგრამ მათი სურვილი სულთანს არ შეუწყნარებია და გამოუცხადებია, „რომ სულთანს გადაწყვეტილი აქვს, საბოლოოდ ჩამოაყალიბოს სანჯაყი მათ ქვეყანაში ან დანიშნოს იქ ქვეყნის მმართველი“[20]. „პატივმოყვარე უმცროსმა თავადმა (მანუჩარმა) მმართველობის ხელში ჩაგდების მიზნით ქრისტიანული სარწმუნოება უარყო. რამდენიმე კვირის შემდეგ დივანში (სამეფო საბჭოში) გადაწყდა ჩაბარდეს მანუჩარს ჯარის ნაწილი სათანადო უფლებით“[21].

მანუჩარმა მიიღო სულთნის წინადადება, გამაჰმადიანდა, მას მუსტაფა უწოდეს და ჩილდირის ფაშად დანიშნეს[22].

1579 წელს გამაჰმადიანებული მანუჩარი მთელი სამცხის მმართველად დაინიშნა არა როგორც სულთნის ვასალი, არამედ როგორც მისი მოხელე—ფაშა. „ამავე ქორონიკონსა გიორგობის თუესა პატრონი მანუჩარ მოვიდა კონსტანტინოპოლიდამა. ფაშობა ებოძა ხვანთქარს და სრულად მისი მამული“[23].

ამგვარად, სულთანმა გამაჰმადიანებული მანუჩარი ჩილდირის ბეგლარბეგად დანიშნა. ჩილდირის საფაშოს ტერიტორიაში შედიოდა შემდეგი მხარეები: ახალციხე, არტაანი და ჭოროხის ყელი. მაგრამ, აქედან ჭოროხის ყელი ოსმალებმა ჯერ კიდევ XVI საუკუნის შუა წლებში დაიპყრეს. სულთანმა ჩილდირის ვილაიეთის შექმნით ძირითადად გააერთიანა სამცხეში სხვადასხვა დროს თურქთა მიერ დაპყრობილი ტერიტორია და აქ ოსმალური მართვა-გამგებლობა დააწესა. ქართულ წერილობით წყაროებში ჩილდირის ვილაიეთის შესატყვისად დამოწმებულია ახალციხის საფაშო. ჩილდირის ვილაიეთს ახალციხის საფაშოს სახელწოდება იმის გამო უნდა მიეღო, რომ მის გამგებლებს, ფაშებს, ახალციხეში ჰქონდათ რეზიდენცია[24]. ჩილდირის ვილაიეთის გამგებლებს ახალციხის ფაშად იხსენიებენ, ხოლო ფაშის საგამგებლოს ახალციხის საფაშოდ[25].

---

[20] ციტირებულია გ. ნათაძის წერილიდან „საუკუნის სიღრმიდან“, XVI ს-ის გერმანელი მისიონერ-მოგზაური საქართველოს შესახებ, „დროშა“, № 11, 1961, გვ. 7.

[21] იქვე.

[22] იქვე.

[23] ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959 გვ. 526; სამხრეთ საქართველოს ისტ. მასალები, გვ. 53.

[24] ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოისა. თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1941, გვ. 125.

[25] მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

ამრიგად, 1579 წლის 25 ივნისს სულთანმა დააარსა ჩილდირის (ახალციხის) საფაშო და პირველ ბეგლარბეგად (ფაშად) დანიშნა გამაჰმადიანებული მანუჩარი, ამიერიდან მუსტაფად წოდებული. ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს დაარსებით იწყება ახალი ეტაპი ქვეყნის გაოსმალების საქმეში[26]. ამით სულთანს საშუალება ეძლეოდა სამცხე-საათაბაგო მოესპო როგორც პოლიტიკური ერთეული.

1578 წელს ამიერკავკასიაზე ბატონობისათვის დაწყებული ბრძოლა თურქეთსა და ირანს შორის დამთავრდა 1590 წლის ზავით თურქეთის სასარგებლოდ. ირანთან დაზავების შემდეგ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიულმა ზრდამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ოსმალეთის უკანასკნელი დიდი ომი, რომელიც მისი გამარჯვებით დამთავრდა[27]. ირანთან ომმა კიდევ უფრო გააღრმავა და დააჩქარა ოსმალეთის დაცემა-დაქუცმაცების პროცესი, რომელიც XVI საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, რაც გამოიხატა დაპყრობილი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლით ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. ოსმალეთის ექსპანსიის მთელი სიმძიმის გადატანა მოუხდა ამიერკავკასიის ხალხებს და მათ რიცხვში საქართველოსაც. დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები—იმერეთი, გურია, სამეგრელო — ოსმალეთის მოხარკე ქვეყნები იყვნენ. ასევე ხარკს უხდიდნენ თურქებს კახეთის სამეფო და ქართლი. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სამცხე-საათაბაგო. 1590 წლის ირან-ოსმალეთის ზავით სამცხე-საათაბაგო მთლიანად ოსმალეთს დარჩა. ზავის დადების შემდეგ ოსმალები კიდევ უფრო ენერგიულად შეუდგნენ აქ ოსმალური წესების შემოღებას. მხოლოდ ამ გზით შეეძლოთ ამ ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზაციის ოსმალურ ყაიდაზე გარდაქმნა. ამ მიზნით მათ შეადგინეს 1595 წელს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი"[28], რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ოსმალებს სამცხე-საათაბაგოში მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ოსმალური წესები შემოუღიათ და გადასახადებიც ოსმალური სისტემით დაუწესებიათ, რაც ქვეყნის „გაოსმალე-

---

[26] მ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

[27] იქვე, გვ. 182.

[28] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ, წ. I, 1948; წ. II, 1941; წ. III, 1958.

ბას“ ისახავდა მიზნად. ყოველივე ზემოჩამოთვლილიდან გამომდინარე, XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე ოსმალეთის იმპერია ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ ითვლებოდა და მას ანგარიშს უწევდნენ როგორც ევროპის, ისე აზიის სახელმწიფოები[29]. მხოლოდ ირანი უწევდა მეტოქეობას, მას არ აკმაყოფილებდა 1590 წლის საზავო პირობები და თურქეთთან ომის განახლებისათვის ემზადებოდა. ქართველებს ოსმალეთის წინააღმდეგ ომს ავალებდა.

1603 წელს ირანმა დაარღვია 1590 წლის ზავი და თურქეთთან ომი განაახლა. ირანი ამ ომში მიზნად ისახავდა ზავით დაკარგული ქვეყნების უკან დაბრუნებას. ამ ომის ასპარეზიც, ისევე როგორც წინამორბედი ომებისა, საქართველო იყო. შაჰის ძირითადი მიზანი იყო ახალციხის დაპყრობა და იქიდან თურქთა განდევნა, ამ კუთხის დაპყრობით მას საშუალება ეძლეოდა თავისუფლად გასულიყო დასავლეთ საქართველოსა და შავი ზღვის სანაპიროებზე, აქედან კი უმოკლესი გზით ევროპას დაკავშირებოდა. ამ ომში ოსმალეთი ზედიზედ დამარცხდა. აქ გამომჟღავნდა თურქეთის სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალის სისუსტე და სამხედრო-ლენური სისტემის კრიზისი[30].

ირანის წარმატებამ ოსმალეთი დააფიქრა და მან ზავი შესთავაზა. ირანმა მოითხოვა 1555 წლის ზავის პირობები და დაპირდა ყოველწლიურად 200 საპალნე აბრეშუმის გადახდას თუკი თურქეთი ამასიის ზავის პირობებზე დათანხმდებოდა. ოსმალებს არ ეთმობოდათ 1590 წლის ზავით მიღებული პირობები. განსაკუთრებით არ სურდათ სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილის დაკარგვა, რომლის ხელში ჩაგდებისთვისაც ოსმალები მრავალი წლის მანძილზე იბრძოდნენ. ამიტომ ამ მოლაპარაკებას შედეგი არ გამოუღია. თურქები დაჟინებით ეჭიდებოდნენ ახალციხეს, სადაც მათ ხალხის გაოსმალებისათვის ნიადაგი მომზადებული ჰქონდათ. ეს ორი აგრესორი ახალციხისათვის იბრძოდა არა მარტო XVI საუკუნეში, არამედ XVII საუკუნის პირველ ნახევარშიც. ახალციხე ხელიდან ხელში გადადიოდა, ვიდრე 1639 წ. ზავის შედეგად თურქებმა საბოლოოდ არ დაიმკვიდრეს.

1639 წლის ზავით შეწყდა ირან-ოსმალეთს შორის წარმოებული მრავალწლიანი ომები. „1639 წლის ზავმა საზღვარი გაავლო იმ ქვეყნებზე, რომლებიც ამ დროს დაპყრობილი იყო ირანისა და

---

[29] მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 185.

[30] იქვე, გვ. 230.

ოსმალეთის მიერ, ხოლო ის ქვეყნები, რომლებიც ისევე დასაპყრობი რჩებოდა, გავლენის სფეროებად განაწილდა"[31].

ხელშეკრულების ტექსტში გარკვევით წერია: „ახალციხის, ყარსის, ვანის, შეპრიზორის, ბასრას და სხვა საზღვრების შიგნით არსებული ციხეები შეუვალი და დაულაშქრავი იყო მეორე მხრიდან"[32]. აქედან ნათლად ჩანს, რომ ირანს საბოლოოდ აუღია ხელი სამცხეზე და იგი ოსმალეთს დაუსაკუთრებია. 1639 წლის ზავით ოსმალეთმა ირანს საბოლოოდ ააღებინა ხელი სამცხე-საათაბაგოზე და იგი თავის ადმინისტრაციულ ერთეულად—საფაშოდ აქცია.

ამ პერიოდში ოსმალებმა დაიკავეს სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი (ახალციხის ჩათვლით) და იქ მოსპეს ათაბაგობა. მთელი ქვეყანა გადააქციეს ოსმალეთის ადმინისტრაციულ ერთეულად — ახალციხის საფაშოდ. ახალციხის საფაშო ოსმალეთისათვის წარმოადგენდა დასაყრდენს ქართული სამეფო-სამთავროების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მურად IV (1623—1640) მიერ გიორგი სააკაძისადმი გაცემული ფირმანიდან ჩანს, რომ 1639 წლისათვის ბათუმი ოსმალეთის ხელშია და იგი ადმინისტრაციული ერთეულია, მას განაგებს თურქეთის მოხელე, ემირთა-ემირი ომერ ფაშა[33].

ახალციხის საფაშოს პირველი ოსმალო მოხელე ფაშა 1625 წელს დანიშნეს. ეს იყო საფარი, ჯაყელების საგვარეულოს ერთერთი წარმომადგენელი.

ახალციხის საფაშოს შექმნით ოსმალეთმა მოახდინა სამცხე-საათაბაგოს ოსმალურ ყაიდაზე გარდაქმნა. ამიერიდან სამცხის გამგებლები „არღარა იწოდებიან ათაბაგებად თვინიერ საქართველოთაგანა, გარნა ახალციხის ფაშად"[34].

ოსმალეთის მთავრობა იძულებული იყო ახალციხის ფაშად, მემკვიდრეობით ათაბაგის შთამომავალნი, ჯაყელების გვარიდან დაემტკიცებინა, „ხოლო ვინათგან მოეცა ხონთქარსა ფირმანი მემკვიდრეობისა საფარ ფაშისათვის, შემდგომად სიკვდილისა ზო-

---

[31] ვ. ჩ ო ჩ ი ე ვ ი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, 1957, გვ. 371.

[32] იქვე, გვ. 372.

[33] ს. ჯ ი ქ ი ა, ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი, ენიმიკის მოამბე, XIII, თბ., 1943, გვ. 237—239.

[34] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, ჩუბინოვის გამოც., 1854, გვ. 168.

მათა მამათათა წარვიდნენ სტამბოლს და მისცენ ქრთამი და მათ წარმოავლინიან ფაშად"[35].

საფარ ფაშას დროიდან სამცხეში სწრაფად ვრცელდება ოსმალობა. აღწერეს სამცხე და დაადვეს „ხარკი ქრისტიანთა სულზედ დრაჰკანი და ყოველსა მოსავალსა ზედა ხილითურთ შვიდისთავი, ცხვარზედ ორი შაური, ზროხაზედ აბაზი, ცხენსა და კამბეჩზედ ექვსი შაური: ხოლო საფაშოდ ხარკი დრაჰკანის მესამედი, რომელთ არს ათი შაური წესისამებრ ოსმალოთა"[36].

ოსმალეთის მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიები ძირითადად ჩილდირის, ტრაპიზონისა და, ნაწილობრივ, არზრუმის ვილაიეთში შედიოდა.

ჩილდირის ვილაიეთი თავის მხრით სანჯაყებად იყოფოდა: ჩილდირი, ოლთისი, ხერთვისი, არტანუჯი, დიდი არტაანი, ტაოს კარი, ჭანჭრაქი, ფოცხავი, ახალციხე, მაჭახელი — ახალქალაქი, აჭარა, ფანბაკი, ლივანა და ფანაკი[37]. მისი ყოველწლიური შემოსავალი 14 249 444 ახჩას შეადგენდა[38].

ტრაპიზონის ვილაიეთში შედიოდა ბათუმისა და გონიოს ლივები. ტრაპიზონის ყოველწლიური შემოსავალი 1 075 158 ახჩას შეადგენდა[39]. თურქებს მიტაცებული ტერიტორიებიდან უამრავი სიმდიდრე გაჰქონდათ. მარტო ჩილდირისა და ტრაპიზონის ვილაიეთიდან ყოველწლიურად 15 324 602 ახჩა შემოსავალი ჰქონდათ. ამის წყალობით კი პარტახდებოდა და ცარიელდებოდა საქართველოს ეს ერთ-ერთი კულტურულად და ეკონომიკურად დაწინაურებული მხარე.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი უდავოდ გამოიწვევდა ქვეყნის ამ ნაწილში ოსმალური ფულის დიდი რაოდენობით შემოსვლას და დაგროვებას, რაც კარგად დასტურდება ნუმიზმატიკური მასალით, როგორც განძების, ისე ცალკეულ აღმოჩენათა შემთხვევებით.

თურქული ფულის შემოსვლისა და გავრცელების საკითხში,

---

[35] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, გვ. 168.

[36] იქვე.

[37] მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, საქართველო თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს. დამდეგს, ბათუმი, 1960; აჭარის სახ. მუზ. შრომები, ტ. IV, გვ. 47; M. B e l i n, Du regime des fiefs militaire dans Islamisme et pricipaliment en Turquie. Journal Asiatique. Paris, 1870, XV, p. 279.

[38] იქვე, გვ. 280—286.

[39] მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

რომ აღარაფერი ვთქვათ იმ პოლიტიკურ მდგომარეობაზე, რომელიც ამ დროს დასავლეთ საქართველოსა და თურქეთს შორის არსებობდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სავაჭრო ურთიერთობის წარმოებას. XVI—XVIII საუკუნეების მანძილზე ქართული ქალაქების ვაჭრები ინტენსიურად ვაჭრობდნენ აღმოსავლეთთან, ხოლო აღმოსავლური ქალაქების შედეგად დაკავშირებული იყვნენ დასავლეთ ევროპის ქალაქებსა და ბაზრებთან. ამას გვიდასტურებენ გატანილი და შემოტანილი საქონლის ნუსხები, ანგარიშის დავთრები, ვაჭართა კერძო წერილები[40].

დასავლეთ საქართველოს ქალაქები შავ ზღვაზე ოსმალეთის გაბატონების წყალობით უკვე XV საუკუნეში დაეცა და გაღარიბდა. ოსმალთა ბატონობამდე შავი ზღვით წარმოებდა ცხოველი სავაჭრო ურთიერთობა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. შავ ზღვასთან დაკავშირებული იყო ერთ-ერთი მთავარი სამარშრუტო გზა[41].

დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთ მსხვილ ქალაქს, სადაც თავს იყრიდნენ ვაჭრები, წარმოადგენდა ქუთაისი. არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით ვაჭრობა იმართებოდა სამეგრელოს ქალაქ რუხში, საეკლესიო ცენტრების მახლობლად ციფურიაში, ილორში, ბედიაში. აქ ვაჭრობდნენ როგორც ადგილობრივი პროდუქტებით, ისე ირანიდან, თურქეთისა და სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი საქონლით. ოსმალო ვაჭრები თავიანთ ხომალდებს აჩერებდნენ შავი ზღვის სანაპიროს ციხე-სიმაგრეებთან[42]. „თურქების სავაჭრო გემები ყოველდღიურად მოადგებიან სავაჭროდ სამეგრელოს ნაპირებს, თურქები მეგრელებისაგან იღებენ აბრეშუმს, თაფლს, ცვილს, ტილოს, ბზის ხეს და სელის თესლს“[43].

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში აბრეშუმს წამყვანი ადგილი ეკავა. პიეტრო დელა-ვალე წერს, რომ დასავლეთ საქართველოს სამთავროებს „დიდი ვაჭრობა აქვთ კონსტანტინოპოლთან და მთელს საბერძნეთთან აბრეშუმითა და სხვა რამეებით“[44].

---

[40] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, გვ. 163.

[41] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

[42] Ш. М е с х и я. Города и городской строй Феодальной Грузии XVII—XVIII вв. Тб., 1959. с. 118.

[43] ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 157—158.

[44] ჟურნალი ივერია, 1879, № 3, გვ. 57.

ექსპორტის საგნებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ბზის ხე, საიდანაც თურქი ვაჭრები დიდ მოგებას იღებდნენ. „300—400 სკუდის მარილით ყიდულობდნენ იმდენ ხეს, რომელიც 5000 სკუდზე მეტი ღირს, თითო ხომალდში ატევენ 5—6 ათას ხეს და კონსტანტინოპოლში ჰყიდიან თითო ხეს თითო სკუდად"[45].

2. XVI—XVII სს. ოსმალეთის სამონეტო საქმის ზოგადი მიმოხილვა

XVI საუკუნეში ოსმალეთის სამონეტო საქმეში ძირეული ცვლილებები არ მომხდარა. ოქროს ფულის გაბატონებულ ერთეულად რჩება ალთუნი, ვერცხლის ფულის ძირითადი ერთეული კი არის ახჩა. მართალია, სელიმ I დროიდან რიგ პროვინციებში იწყება ვერცხლის ფულის სხვა ნომინალის — დირჰემის ემისიაც, მაგრამ ჩვენ მას არ შევეხებით, ვინაიდან ის უცნობია საქართველოს ფულის მიმოქცევისათვის.

ახჩას წონითი შემცირება, რომელიც XV საუკუნეში დაიწყო, შეჩერდა სელიმ II-ს დროს. ამ პერიოდში ახჩას წონითი მაჩვენებლები მერყეობს 0,61—0,80 გრამებს შორის[46]. მაგრამ მომდევნო სულთნის მურად III-სა (1574—1595) და მისი მემკვიდრეების დროს ახჩას წონა ჯერ 0,35—0,40 გრამებზე, მერე კი 0,37—0,25 გრამებამდე დაეცა. ოსმან II-ს (1618—1622) დროს ახჩას წონა 0,25 გ შეადგენდა[47].

ახჩას წონის დაქვეითება და გაუფასურება დაკავშირებული იყო ოსმალეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძნელეებთან, რამაც გამოიწვია ქვეყნის ფინანსური კრიზისი.

ახჩას ღირებულების დაცემას მოჰყვა საქონლის ფასების გაძვირება. 1651 წ. მოიჭრა ისეთი დაბალი სინჯის ახჩა, რომ დუკატის ღირებულებამ 50-დან 160 ახჩამდე აიწია[48], ხოლო XVII საუკუნის ბოლო წლებში ერთ ალთუნში 300—400 ახჩას იძლეოდნენ[49]. ახჩას ღირებულების დამაჯერებელ სურათს იძლევა ტალერებისა და დუკატების ღირბულების ურთიერთშეფარდება:

---

[45] არქანჯელო ლამბერტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15ბ.
[46] A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.
[47] იქვე.
[48] К. Новичев, История Турции, Л., 1963, გვ. 179.
[49] А. Быков, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

თარიღი	ნომინალი		ნომინალი	
	დუკატი	ახჩა	ტალერი	ახჩა
1460 წ.	1	10	1	—
1512	„	50	„	40
1528	„	50	„	40
1584	„	60	„	40
1587	„	120	„	80
1598	„	130	„	80
1600	„	160	„	100
1602	„	110	„	80
1624	„	120	„	80
1640	„	250	„	125
1655	„	250	„	120
1680	„	250	„	120
1689	„	300—400	„	120—160
1720	„	300—400	„	120—160[50]

ასეთივე სურათს იძლევა ოქროს მონეტისა და ახჩას ურთიერთშეფარდება. ასე მაგ., 1548 წელს ერთი ოქროს მონეტა (ოქროს მონეტა არ განიცდიდა ცვლილებას, მისი წონა არ კლებულობდა, სინჯი არ ეცემოდა) ღირდა 35 ახჩა, 1585 წელს — 110, 1590 წელს — 120 ახჩა, 1603 წელს გაუთანაბრდა 140, ხოლო მომდევნო წლებში 220 ახჩამდე ავიდა. ახჩას ღირებულების დაცემასთან ერთად მკვეთრად გაიზარდა ფასები საქონელზე. ასე მაგ., XVII ს-ის შუა წლებში ხორბალი გაძვირდა 10-ჯერ, რქოსანი პირუტყვის ფასი 15—20 ახჩადან 70—80 ახჩამდე ავიდა, ხოლო XVIII საუკუნის პირველ ათეულ წლებში რქოსანი პირუტყვის ფასი 300—400 ახჩას აღწევდა[51].

XVII საუკუნეში ვერცხლის მონეტის ემისიის სფეროში ხდება გარკვეული ცვლილებები. ჰიჯრის 1032 (1623) წლიდან სულთან მურად IV დროს პირველად იჭრება ახალი ნომინალი — ფარა[52], რომელიც 4 ახჩას უდრიდა და რომლის წონაც 1,10—1,23 გრამებს შორის მერყეობდა[53]. მაგრამ მომდევნო სულთნის იბრაჰიმ

---

[50] А. Бартье-Делагард. Ценность монетных номиналов в Крымском ханстве. Известия таврической ученой архивной комиссии, № 51. Симферополь, 1914, с. 178—179.

[51] К. Новичев, დასახ. ნაშრომი, გვ. 121—122.

[52] A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

[53] იქვე, გვ. 73.

I-ს (1640—1648) დროს ფარას რემედიუმი უფრო მნიშვნელოვანია 1,03—1,60 გ შორის[54], ხოლო მეჰმედ IV-ს (1648—1687) დროს ეცემა და სტაბილიზირდება 0,70—0,77 გრამებს შორის[55].

ეს დაბალი წონის ოსმალური ვერცხლის მონეტები ვერ უწევდნენ სათანადო კონკურენციას ევროპულ ტალერულ მონეტებს, რომლებსაც იმ დროს გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში. იმ მიზნით, რომ მოეჭრათ ვერცხლის მსხვილი ნომინალი, სულეიმან II-მ (1687—1691) ჩაატარა სამონეტო რეფორმა და მოაჭრევინა 2/3 ტალერის ზომის ვერცხლის ფული „ყურუში"-ს სახელწოდებით. ყურუში დამახინჯებული ფორმაა ლათინური grossus-ის, ეს სახელწოდება გამოიყენებოდა XV საუკუნეში ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოში მოჭრილი დენარიუსის (ვერცხლის მონეტა) სხვადასხვა ტიპის აღსანიშნავად. აქედან მომდინარეობს სხვადასხვა ევროპულ ენაში დამოწმებული მონეტის სახელწოდებანი: groat, gros, grosso, groschen. ამ უკანასკნელიდან მომდინარეობს ალბათ თურქული Kurus-ი[56].

პირველი ყურუში დათარიღებულია ჰიჯრის 1099 წ. (1686) და მოჭრილია კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში. მისი წონა შეადგენდა 19,24 გ, სინჯი 83%[57]. გარეგნული სახე ასეთი იყო:

შუბლი: ზედწერილი ხუთ ხაზად

السلطان سليمان	სულთანი სულეიმანი
بن ابراهيم خان	ძე იბრაჰიმ ხანისა
دام ملكه ضرب في	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
قسطنطينية	მოიჭრა კონსტანტინიას
١٠٩٩	1099 წ.

سلطان البرين	სულთანი ხმელეთებისა
و خاقان البحرين	და მპყრობელი ზღვებისა
السلطان ابن	სულთანი ძე
السلطان	სულთნისა

---

[54] იქვე.

[55] იქვე.

[56] H. A. R. Cubb. Harold Bowen. Islamic Society and the West. Vol. I. Islamic Societyhte Eighteenth century. p. 11. London., New-Jork, Toronto, 1957.

[57] A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 63—64.

ყურუში 40 ფარის ან 120 ახჩის ტოლფასოვანი იყო. სულეიმან II მოჭრა აგრეთვე ყურუშის 1/2 ნომინალი ირმილიქი, რომელიც 20 ფარას უდრიდა[58].

ა. ბიკოვი სულეიმან II-ს სამონეტო რეფორმის შესახებ გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებას: სულეიმან II ტახტზე ასვლის ისტორიული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ სამონეტო რეფორმა, თუნდაც მის მიერ ადრე ჩაფიქრებული, ვერ განხორციელდებოდა მისი ხანმოკლე მმართველობის პირველსავე წლებში. შეცვალარა ტახტზე ჯარის მიერ დამხობილი მუჰამედ IV, მწვავე საფინანსო კრიზისისა და ბოსნიასა და დალმაციაში სამხედრო წარუმატებლობათა პერიოდში, სულეიმან II დადგა ახალი სამხედრო აჯანყების საფრთხის წინაშე. მისი მმართველობის პირველმა წლებმა გაიარა იმის ცდაში, როგორმე ეხსნა ქვეყანა არსებული მდგომარეობიდან. ამ მიზნით მან შეწყვიტა საომარი მოქმედებანი და გაატარა სამონეტო რეფორმა[59].

იმავე წლით თარიღდება კიდევ ორი ნომინალის ემისია — ერთია ზოლოტა — 30 ფარის შემადგენლობით, მეორე ონლუქი, რომელიც 10 ფარას უდრიდა[60].

ამრიგად, XVII საუკუნის ბოლოს ოსმალური ვერცხლის მონეტის ძირითად ნომინალებს შორის ასეთი თანაფარდობა დამყარდა: 1 ყურუში = 2 ირმილიქს = 4 ონლუქს.

XVII ს. მიწურულში დაიწყო ცვლილებები ოქროს მონეტის ემისიის საქმეშიც, რაც დასრულდა XVIII ს. დასაწყისში და რის შესახებაც საუბარი ქვემოთ გვექნება.

3. ოსმალური მონეტების ტოპოგრაფია XVI—XVII სს.

ოსმალეთის სამხედრო-პოლიტიკურმა წარმატებებმა გავლენა მოახდინა საქართველოში ოსმალური საფასეს შემოსვლა-გავრცელებაზე. XVI—XVII საუკუნეებში მოჭრილი არაერთი თურქული მონეტაა აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე. ამჯერად ჩვენი მიზანია წარმოვადგინოთ ამ ცალკეული მონეტების თუ განძების ტოპოგრაფია, რაც ნუმიზმატიკური გამოკვლევის ჩვეულებრივი შემადგენელი ნაწილია.

---

[58] A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

[59] А. Быков, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

[60] A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

1. 1952 წელს ბორჯომის რაიონის სოფ. ახალდაბის მახლობლად მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ტაშკარმშენის № 6 უბანზე კლდის აფეთქების დროს ინჟინერმა საბანაძემ იპოვა სელიმ I (1512—1520) მცირე ზომის 4 ახჩა და სხვადასხვა სახის არქეოლოგიური ნივთი. მონეტები გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კაბინეტს[61].

2. 1947 წ. კასპის რაიონის მეჯვრისხევის მიდამოებში, მდ. ლეხურის ხეობაში, მიწის დამუშავების დროს, კოლმეურნეებმა იპოვეს ოქროს მონეტების განძი, რომლის შემადგენლობაში 13 დუკატი, სულთან სულეიმან I (1520—1566) ათი ოქროს მონეტა და ორი ირანული ნახევარ აშრეფი იყო[62].

3. 1937 წ. ადიგენის რაიონს სოფ. უდეს ძველი ციხის ნანგრევებში აღმოჩნდა განძი, რომლის შემადგენლობაში სულთან მურად III ერთი ალთუნი და 27 ევროპული მონეტა იყო[63]. განძი ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში.

4. 1946 წელს წულუკიძის რაიონის სოფ. პატარა ჯიხაიშის სასაფლაოზე აღმოჩნდა მცირე ზომის ვერცხლის ფულის განძი, რომლებიც თითქმის მთლიანად გაიფანტა. გადარჩა მხოლოდ სულთან სელიმ II (1566—1574) და მურად III (1574—1595) სახელით ხანჯის ზარაფხანაში მოჭრილი ოთხი ახჩა, 5 ცალი იმერთა მეფე გიორგი II (1564—1585) და 9 ირანული მინაბაძი[64].

5. დაახლოებით 1970 წ. მცხეთის რ-ნის სოფ. ხეკორძულაში, მცირე ღელეში ნაპოვნი იყო სელიმ I სახელით მოჭრილი 1 ალთუნი, დათარიღებული ჰიჯ. 918 (1512—1513) წ.[65]

6. 1945 წელს მახარაძის რაიონის სოფ. ლიხაურში აღმოაჩინეს ვერცხლის წვრილი ფულის განძი, რომელიც შეიცავდა XVI—XVII საუკუნეების ასიოდე თურქულ ახჩას, ათასზე მეტ

---

[61] საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში არსებული კარტოთეკა. გ. დ უ ნ დ უ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

[62] საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების განძების ფ. № 5104—5126.

[63] საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების განძების ფ. № 2232—2259; Е. П а х о м о в, Клады, IV, № 197.

[64] თ. ლ ო მ ო უ რ ი, პატარა ჯიხაიშში აღმოჩენილი XVI ს. განძის გამო, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVII—B 1953.

[65] საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყ., გ. ფ. № 12405.

ახჩის მინაბაძს და ოცამდე სხვადასხვა ზომის ვერცხლის ფირფიტას[66].

7. 1895 წ. ქუთაისში აღმოუჩენიათ განძი, რომლის შემადგენლობაში XVI—XVII საუკუნების 500-მდე თურქული, ტრაპიზონული და ირანული მონეტები ყოფილა თავმოყრილი[67].

8. 1903 წ. სოხუმის ოლქში, ოტობაების საზოგადოების სასაფლაოზე, სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ბალთები, ზარაკები, ღილები და სხვ. ვერცხლის მოგრძო ზოდი და XV ს. ვერცხლისა და სპილენძის ჯუჩიდური, XVI ს. თურქული და XVII ს. დავერცხლილი სპილენძის ესპანური მონეტები. აღმოჩენილი განძი გადაეცა კავკასიის (დღევანდელი საქართველოს) მუზეუმს[68].

9. 1910 წ. ყოფილი ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის სადგ. ნატანების მიდამოებში, ნავთის ძიების დროს, აღმოჩნდა ვერცხლის მცირე ზომის თურქული მონეტების განძი და მათი მინაბაძები, რომელთაგან 23 ცალი საჩუქრად გადაეცა აზერბაიჯანის სახელმწიფო მუზეუმს. მონეტები შეიცავდა: 1. მურად IV (1623—1640) 2 ახჩას, მოჭრილს ხანჯაში, ჰიჯ. 1032 (1622/23) წ. 2. იბრაჰიმ I (1640—1648) 3 ახჩას, მოჭრილს კონსტანტინოპოლში ჰიჯ. 1049 (1639/40) წ. 3. მეჰმედ IV (1648—1687) 4 ახჩას, მოჭ. კონსტანტინოპოლში ჰიჯ. 1058 (1648/49) წ. 3 ახჩას ძალზე გაცვეთილს და 11 ც. ახჩის ადგილობრივ მინაბაძს დამახინჯებული ზედწერილით. პახომოვის გადმოცემით შესაძლებელია ამავე განძს ეკუთვნოდა ის 20—30 ეგზემპლარი თურქული ახჩა, იმავე სულთნებისა და ისეთივე მინაბაძები, რომელიც მას უნახავს 1914 წ. ქ. ბათუმში[69].

10. 1913 წ. ბათუმის მახლობლად, ბლოკჰაუზის საძირკვლის თხრის დროს, სამების მთის მწვერვალზე, მდ. ქოროლის წყალსა და ბარცხანას ხეობაში, ძველი ეკლესიის ნანგრევების მახლობლად, ქოთანში აღმოჩნდა XVII ს. თურქული და ირანული მცირე ზომის ვერცხლის მონეტების განძი 537 ც. რაოდენობით. განძის დათვალიერების დროს პახომოვს უნახავს სულთან მურად IV (1623-1640) 2 მონეტა, რომელსაც შემოჭრილი ჰქონია ქალაქის სახელწოდება (მათი წონა იყო 1,62 და 1,74 გ), სულეიმან შაჰის (1667—

---

[66] საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების კარტოთეკა.

[67] Е. Пахомов. Монетные клады, I, Баку, 1926, № 193.

[68] Е. Пахомов, Клады, I, № 200.

[69] Е. Пахомов, Монетные клады, I, № 199.

1694) 4 მაჰმუდი, რომელთაგან ერთზე იკითხებოდა თბილისი და თარიღი 109*, მისივე შაჰი და 3 ც. თურქული ახჩის მინაბაძი დამახინჯებული ზედწერილით. ერთი თევზის გამოსახულებიანი გაურკვეველი ქართული მონეტა და 519 ცუდად შენახული თურქული ახჩა. განძი გადაეგზავნა საიმპერატორო არქეოლოგიურ კომისიას, რომელიც დაუბრუნეს მპოვნელს, განძის შემდგომი ბედის შესახებ პახომოვმა აღარაფერი აღარ იცოდა[70].

ამ განძიდან საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების ფონდში დაცულია 29 თურქული ახჩა[71].

11. 1933 წელს თბილისის მახლობლად სოფ. ტაბახმელაში იპოვეს მუსტაფა II (1695—1703) მიერ მოჭრილი დიდი ზომის ვერცხლის მონეტა—ყურუში, მოჭრილი კონსტანტინიაში ჰიჯ. 1106 (1695) წ. მონეტა ოქრომჭედელმა იყიდა[72].

12. 1894 წ. წულუკიძის რ-ნის სოფ. პატარა ჯიხაიშში, მშენებარე ეკლესიასთან აღმოჩნდა 500 ვერცხლის მონეტა, განძი შედგებოდა: თურქეთის სულთან სულეიმან I (1520—1566), სელიმ II (1566—1574), მურად III (1574—1595), მეჰმედ III (1595—1603) და აჰმედ I (1603—1617) მონეტების, ტრაპიზონის ასპრის ქართული მინაბაძების, იოანე III (1342—1344) ტრაპიზონის ასპრების და სეფიანთა შაჰების თაჰმასპ I (1524—1576) და აბას I (1587—1628) მონეტებისაგან[73].

ამრიგად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ XV ს. ოსმალური მონეტების ქართულ მინაბაძებს, საქართველოში XVI—XVII სს. ოსმალური მონეტების აღმოჩენის 12 შემთხვევაა ფიქსირებული, რომელთაგან ჩვენი ნუმერაციით № 2, 3, 4, 7, 8, 10 და 12 შერეული განძებია და სხვათა გვერდით შეიცავს ოსმალურ მონეტებს.

ოსმალური მონეტების გავრცელების არეალი, მოცემული ტოპოგრაფიის თანახმად, არის როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი და სამხრეთი საქართველო, თუმცა უფრო ფართოდ ოსმალური მონეტები წარმოდგენილია დასავლეთ საქართველოში.

სამონეტო განძები შეიცავს როგორც ოქროს, ისე ვერცხლის მონეტებს.

---

[70] Е. Пахомов, I, № 198.

[71] საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყ., გ. ფ. № 7146—7174.

[72] Е. Пахомов, III, 1940, № 890.

[73] Е. Пахомов, Монетные клады, VII, 1957, № 1836.

4. XVI—XVII სს. ოსმალური მონეტების განძები

(განსაზღვრა-აღწერილობა)

შრომის პირველ თავში აღნიშნული იყო, რომ საქართველოში ოსმალური ფულის შემოსვლა-გავრცელება XV ს. მეორე ნახევრით შეიძლება დათარიღდეს, მაგრამ ფაქტიური მასალა—მონეტები, როგორც ამას მონეტების ტოპოგრაფია გვიჩვენებს, საქართველოს ტერიტორიაზე XVI საუკუნის დასაწყისიდან ჩანს.

ყველაზე ადრეული ოსმალური მონეტა, რომელიც დღეისათვის საქართველოს ტერტორიაზეა აღმოჩენილი, არის სულთან სელიმ I (1512—1520) ჰიჯრის 918 (1512) წლით დათარიღებული ვერცხლის მცირე ზომის მონეტა ე. წ. ახჩა, ნაპოვნი ბორჯომის რ-ნის სოფ. ახალდაბაში და ოქროს მონეტა—ალთუნი, ნაპოვნი მცხეთს რაიონის სოფ. ხეკორძულაში.

ახალდაბის ახჩებს გ. დუნდუა ათრაიღებს XV საუკუნით[74], მაგრამ შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად ჩვენ მონეტები დავათარიღეთ ჰიჯ. 918 (1512—1513) წლით. თვით ამ მონეტაზე შემორჩენილი თარიღის ფრაგმენტი (..8) და სულთნის სახელი სელიმი გაძლევს იმის საშუალებას, რომ ეს მონეტა ზემოთ აღნიშნული წლით დავათარიღოთ. ვიძლევით ამ მონეტის აღწერილობას.

№ 7 ახჩა, ვერცხლი, წონა 0,67 გ, ზომა 11 მმ.

შუბლი: არაბული ზედწერილი სამ სტრიქონად.

سلطان	სულთანი
سليم شاه	სელიმ შაჰი
بن بايزيد خان	ძე ბაიაზედ ხანისა.

ზურგი: სამსტრიქონიანი ზედწერილი. იკითხება მოჭრის ადგილი და თარიღის ფრაგმენტი.

عز نصره	იდიდოს მისმა ძლიერებამ
ضرب نوار	მოიჭრა ნავარს
٠٠٨	წელსა (..8)[75] (ტაბ. I, 7).

მონეტის მოჭრის ადგილი ნოვარი, نوار სხვა ოსმალურ მონეტებზე აღნიშნული ნოვობერდა نوابرده სერბიაშია. ამ ქალაქის

---

[74] გ. დ უ ნ დ უ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

[75] A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

მიდამოებში იყო ვერცხლის მდიდარი საბადოები[76]. ოსმალური მონეტების ემისია აქ წარმოებდა ჰიჯრის 834—(1430—1431) — 1030 (1620—1621) წლებში[77]. მეორე მონეტაზე, რომელსაც № 8-ით წარმოვადგენთ, ამოვიკითხეთ სულთნის სახელი. მოჭრის ადგილი და თარიღის ფრაგმენტი (—8) ვიძლევით ამ მონეტის აღწერილობას.

№ 8. ახჩა, ვერცხლი, წონა 0,58 გ, ზომა 9 მმ.
შუბლი: არაბული ზედწერილი სამ სტრიქონად.

سلطان სულთანი
سليم شاه სელიმ შაჰი
بن يايزيد حان ძე ბაიაზედ ხანისა.

ზურგი: ცენტრში იკითხება მოჭრის ადგილი და თარიღის ფრაგმენტი.

صرب მოიჭრა
سرز სერეზს
سنه ٠٠٨ ..8 წელს[78] (ტაბ. I. 8).

სელიმ I სახელით მოჭრილი ალთუნი, რომელიც საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების ფონდში 1970 წელს შემოვიდა, ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია. თუ აქამდე საქართველოში აღმოჩენილ ყველაზე ადრეულ ოქროს მონეტად მივიჩნევდით სულეიმან I (1520—1566) ჰიჯრის 925 (1520) წლით დათარიღებულ მონეტას — ალთუნს[79], დღეისათვის ეს მოსაზრება შეცვალა სელიმ I ჰიჯრის 918 წლით (1512) დათარიღებულმა ალთუნმა, რაც რამოდენიმე წლით წინ წასწევს საქართველოში ოსმალური ოქროს მონეტის შემოსვლა-გავრცელების საკითხს.

ვიძლევით ამ მონეტის აღწერილობას

№ 9. გ. ფ. № 12405. ალთუნი, წონა 3,47 გ, ზომა 18—19 მმ.
შუბლი: არაბული ზედწერილი ოთხ სტრიქონად.

سلطان سليم شاه بن სულთანი სელიმ შაჰი ძე
يايزيد حان عزنصره ضرب ბაიაზედ ხანისა იდიდოს მისმა
سرز سنه ٩١٨ ძლიერებამ, მოიჭრა სერეზს
918 წელს.

---

[76] A. C. Schandlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.
[77] იქვე, გვ. 90—109.
[78] იქვე, გვ. 94.
[79] მ. ანთაძე, გიუმიშხანეში მოჭრილი იშვიათი თურქული მონეტები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXVII—B, თბ., 1967, გვ. 195.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი წარწერა, სულთნის ძალისა და ძლიერების გამომხატველი.

ضارب النصر	მოიჭრა ბრწყინვალე
صاحب العز النصر	მბრძანებლის, ძლევამოსილის
و فى البر	გამარჯვებულის ხმელეთსა
و البحر	და ზღვაზე. (ტაბ. I. 9).

სელიმ I მონეტებზე ადრეული ცალები ჩვენს ტერიტორიაზე ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის, თუმც წერილობითი წყაროების ცნობით სამცხე-საათაბაგოში ჯერ კიდევ 1475—1500 წლებში ყოფილა გავრცელებული ოსმალური ოქროსა და ვერცხლის მონეტები[80].

ლეხურის განძი[81]

საქართველოში ოსმალური მონეტების განძად აღმოჩენის შემთხვევა გვაქვს ლეხურის ხეობაში. განძში, გარდა ალთუნებისა, არის ვენეციური დუკატები და ირანული ნახევარაშრეფები, რის გამოც განძს შერეული ეწოდება.

ლეხურის ხეობა მდებარეობს შიდა ქართლში. დასავლეთით მას ესაზღვრება ტირიფონის ველი, აღმოსავლეთით—ქსნის ხეობა, ჩრდილოეთით—კავკასიონის კალთები და სამხრეთით კი მტკვარი.

ლეხურის ხეობას ვახუშტი უკავშირებს დაბა რეხას „ჭალასა ზეით არის რეხი, რომლის გამო იწოდება მდინარე ესე"[82].

ლეხურის ხეობა სიგრძით დაახლოებით ორმოცდაათი-სამოცი კილომეტრია. მდინარე ლეხურა ერთვის მტკვარს კასპთან. ამ ხეობაზე გადადიოდა გზა, რომელიც მდ. ყანჩაურას გასდევს და ქსანისა და ლეხურის ხეობის შემაერთებელია. ეს გზა სოფელ ყანჩაეთის და არმაზის გავლით ზახორში ჩადის. მიმოსვლა ამ გზით ამჟამადაც საკმაოდ გაცხოველებულია, ძველად კი მისი მნიშვნელობა უფრო დიდი უნდა ყოფილიყო[83].

---

80 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1897, გვ. 298.

81 დაწვრილებით განძის შემადგენლობის შესახებ იხ. M. Г. А н т а д з е, Р. В. К е б у л а д з е, Клад золотых монет из Лехурского ущелья. Нумизматика и эпиграфика, IX, М., 1971.

82 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოისა (საქ. გეოგრაფია) თბ., 1941, გვ. 72.

83 ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ. 1964, გვ. 7.

1947 წელს კასპის მიდამოებში, სოფ. მეჯვრისხევის ახლოს, მდ. ლეხურის ხეობაში, მიწის დამუშავების დროს კოლმეურნეებმა ოქროს ფულის განძი იპოვეს და ერთმანეთში დაინაწილეს. ამ განძიდან საქ. სახ. მუზეუმში 23 მონეტა შემოვიდა. იგი თავისი შემადგენლობით სამ ნაწილად იყოფა.

1. ვენეციური დუკატები, 13 ცალი
2. ოსმალური ალთუნები, 8 ცალი
3. ირანული ნახევარაშრეფები, 2 ცალი.

ვენეციური მონეტები წარმოდგენილია XV—XVI საუკუნეების ვენეციის დოჟების დუკატებით.

ოსმალური ალთუნები ეკუთვნის სულთან სულეიმან I და მოჭრილია ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ზარაფხანებში (კოსტანტინოპოლი. სადრეკაისსა, ჰალები, ამიდი და მისრი—ეგვიპტე). ამ მონეტათა უმრავლესობა, 5 ცალი, მოჭრილია სულეიმან I ზეობის პირველ წელს, ჰიჯრის 926 (1520) წ., ორი—ჰიჯრის 942 (1535—1536) წ. ერთზე კი თარიღი არ იკითხება.

10. გ. ფ. № 5104. ალთუნი, ზომა 20 მმ, წონა 3,50 გ.

შუბლი: ექვსსტრიქონიანი ზედწერილი, რომელიც შესრულებულია განსაკუთრებული სიფაქიზით და კალიგრაფიული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. მონეტაზე მოთავსებულია სულთნის სახელი, მამის სახელი და ტიტულატურა, მოჭრის ადგილი და თარიღი.

سليمان	სულეიმან
سلطان شاه	სულთან შაჰი
بن عز نصر	ძე დიდებული, გამარჯვებული
سليم شاه ضرب	სულეიმ შაჰისა, მოიჭრა
قسطنطينيه	კონსტანტინიაში
٩٢٦	926 წ.

მოჭრის ადგილი კონსტანტინია (قسطنطينيه) ანუ კონსტანტინოპოლი, ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთი უმთავრესი სამონეტო ცენტრი გახდა და 1460—1461 წწ. აქ იჭრებოდა ვერცხლის, ხოლო 1477—1478 წწ.—ოქროს მონეტებიც.

მონეტას გარს უვლის ერთი წერტილოვანი და ორი ხაზოვანი რკალი.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული წარწერა, რომელიც მიუთითებს სულთნის ძალას და უძლეველობაზე.

ضارب النصر	მოიჭრა ბრწყინვალე
صاحب العز النصر	მბრძანებლის, ძლევამოსილის
و فى البر	გამარჯვებულის ხმელეთსა და
و البحر	ზღვაზე (ტაბ. I, 10).

11. გ. ფ. № 5105. ალთუნის ზომა 21—22 მმ, წონა 3, 51 გ.
შუბლი: ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

سلطان سليمان	სულთანი სულეიმანი
بن سليم جان	ძე სელიმ ხანისა
عز نصره ضرب فى	იდიდოს მისმა ძლიერებამ
سدره قيسى	მოიჭრა სიდრე-კაისაში
٩٢٦	926 წ.

ზურგი: წერტილოვან და ხაზოვან რკალში, რომელიც მონეტას გარს უვლის, მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი, ისეთივე, როგორც № 5104 (ტაბ. I, 11).

მოჭრის ადგილი სიდრე-კაისა سدره قيسى ბიზანტიური სიდეროკაპსა, ქალაქი სალონიკის აღმოსავლეთით. ოსმალთა ბატონობის ხანაში იყო მთავარი ცენტრი ვერცხლის საბადოებისა ქალკედონიის ნახევარკუნძულზე[84]. მონეტების ემისია აქ წარმოებდა ჰიჯრის 926 (1519—1520)—1032 (1622—1623) წწ.[85] ჩვენს განძში მოხვდა ამ ზარაფხანაში მოჭრილი პირველივე ალთუნი.

12. გ. ფ. № 5106. ალთუნი. ზომა 21—22 მმ, წონა 3,40 გ.
შუბლი: ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

سلطان سليمان شاه	სულთანი სულეიმან შაჰი
بن سلطان سليم شاه	ძე სულთან სულეიმ შაჰისა,
	იდიდოს მისმა ძლიერებამ
عز نصره ضرب فى	მოიჭრა ჰალებში
حلب	926 წ.
سنه ٩٢٦	

მონეტას გარს უვლის წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი.
ზურგი: ისეთივე, როგორც № 5104 (ტაბ. I, 12).
ჰალები حلب იგივე ალეპო—ქალაქია ჩრდილოეთ სირიაში.

---

[84] A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.
[85] იქვე, გვ. 96—110.

ოსმალური მონეტების ემისია აქ წარმოებდა ჰიჯრის 922 (1516)—1188 (1774—1775) წწ.[86]

13. გ. ფ. № 5107. ალთუნი, ზომა 20 მმ, წონა 3,50 გ.

შუბლი: ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

سلطان سليمان	სულთანი სულეიმან შაჰი
بن سلطان سليم شاه	ძე სულთან სულეიმ შაჰისა
عز نصره صرب في	იდიდოს მისმა ძლიერებამ
آمد	მოიჭრა ამიდს
سنه ٩٢٦	926 წ.

ზურგი: ისეთივე, როგორც № 5104 (ტაბ. II, 13).

მონეტას გარს უვლის წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი.

ამიდი آمد ჩრდილოეთ მესოპოტამიაში დიარბექირის ოლქის მთავარი ქალაქი იყო. ოსმალური მონეტების ემისია აქ 903 (1497-1498)—1146 (1733—1734) წწ. წარმოებდა[87].

14. გ. ფ. № 5108. ალთუნი, ზომა 19—20 მმ, წონა 3,47 გ.

შუბლი: ექვსსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

سلطان سليمان شاه	სულთანი სულეიმან შაჰი
بن سلطان سليم شاه	ძე სულთან სელიმ შაჰისა
عز نصره صرب في	იდიდოს მისმა ძლიერებამ
مصر	მოიჭრა
سنه	მისრში
٩٤٢	942 წ.

ზურგი: ისეთივე, როგორც № 5104 (ტაბ. II, 14).

ზარაფხანა მისრის مصر ქვეშ მოჭრის ადგილად იგულისხმება ქ. კაირო, ეგვიპტის დედაქალაქი. ოსმალური მონეტები აქ მისი დაპყრობისთანავე, ჰიჯ. 923 (1517) წლიდან იჭრება[88].

15. გ. ფ. № 5109. ალთუნი. ზომა 19 მმ, წონა 3,65 გ.

შუბლი: ისეთივე, როგორც № 5107.

ზურგი: ისეთივე, როგორც № 5104.

16. გ. ფ. № 5110. ალთუნი, ზომა 20—21 მმ, წონა 3,54 გ.

შუბლი ისეთივე, როგორც № 5108.

ზურგი ისეთივე, როგორც № 5104.

---

[86] A. C. Schaenldlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 95—124.

[87] იქვე, გვ. 94—118.

[88] იქვე, გვ. 95.

17. გ. ფ. № 5111. ალთუნი. ზომა 19—20 მმ, წონა 3,46 გ.

შუბლი: მონეტის ზედწერილი განსხვავებულია ზემოაღნიშნული ცალებისაგან, მას თარიღი არ აზის. ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

العادل الكامل	დიდად სამართლიანი
سلطان	სულთანი
ابو اللطفى سليمان شان	აბუ ლუტფი სულეიმან შაჰი
ابن سلطان سليم خان	ძე სულთან სულეიმ ხანისა
عز نصره سنه	იდიდოს მისმა ძლიერებამ

ზურგი: ხუთსტრქონიანი არაბული ზედწერილი. მოჭრის ადგილი წარწერის შუაშია ჩართული.

سلطان البرين و البحرين	სულთანი ხმელეთებისა და ზღვებისა
صرب	მოიჭრა
حله	ალ-ჰილლას
خادم الحرمين الشريفين	ვსახური ამ დიდებული და უწმინდესი ადგილებისა[89] (ტაბ. II, 17).

მოჭრის ადგილი ამ ალთუნისა ქ. ჰილლა, მდებარეობდა ერაყში, მდ. ევფრატზე, ოსმალური მონეტების ემისია აქ წარმოებდა სულთან სულეიმან I დროს ჰიჯრის 926 (1519—1520)—974 (1566—1567) წწ. ამ მონეტებზე მოჭრის თარიღი, როგორც წესი, არ მიითითება[90].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განძის შემადგენლობაში ორი ირანული ნახევარაშრეფიც ერია, რომლებიც ეკუთვნის შაჰ თაჰმასპ I (1524—1576) და მოჭრილია ქ. ისპაჰანში.

მოგვყავს მათი აღწერილობა:

18.გ. ფ. № 5112. ოქრო, ზომა 10—12 მმ, წონა 2,32 გ.

შუბლი: სამსტრიქონიანი ზედწერილი, სადაც კარგად იკითხება კარტუშში მოთავსებული მოჭრის ადგილი და თარიღი.

سلطان	სულთანი
صرب إصبهان	მოიჭრა ისპაჰანში
۹۵۵	955 წელს.

---

[89] اسماعيل غالب დასახ. ნაშრომი, გვ. 105, № 252.

[90] A. C Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ 100.

ზურგი: მუსლიმანური შიიტური რწმენის სიმბოლო სამ სტრიქონად მოთავსებული კარტუშში. გარეთ სეგმენტებში თორმეტი იმამის სახელი, რომელთაგან იკითხება علي ალი და حسني ჰასანი

محمد მუჰამედი

رسول الله მოციქულია ალაჰისა

علي ولي الله ალი მახლობელია მისი (ტაბ. II, 18).

19. გ. ფ. № 5113. ოქრო, ზომა 13—14 მმ, წონა 2,07 გ.

შუბლი: წარწერა გაცვეთილია, შეიმჩნევა ცალკეული ფრაგმენტები, თარიღად იკითხება ჰიჯ. 953 (1546—1547) წ.

ზურგი: შიიტური რწმენის სიმბოლო სამსტრიქონიანი.

محمد მუჰამედი

رسول الله მოციქულია ალაჰისა

علي ولي الله ალი მახლობელია მისი (ტაბ. II, 19).

როგორც ვხედავთ, განძში არსებული მონეტები დათარიღებულია ჰიჯრის 926, 942, 953, 955 (1520, 1535, 1546 და 1548) წლებით. აქედან გამომდინარე, განძის ჩაფლობის სავარაუდო თარიღად XVI საუკუნის პირველი ნახევრის მიწურული უნდა მივიჩნიოთ.

უდეს განძი[91]

1937 წელს ადიგენის რ-ნის სოფ. უდეს ძველი ციხის ნანგრევებში იპოვეს XVI—XVII საუკუნეების მონეტების განძი, რომლის შემადგენლობაში აღმოჩნდა 28 ვერცხლისა და 1 ოქროს მონეტა. ვერცხლის მონეტები ევროპულია და შედგება ავსტრიული და უნგრული ტალერებისაგან, ჰოლანდიური არესდაალდერების, რაიქსდაალდერებისა და ახტენტვინგებისაგან, ესპანური პესოებისაგან, ხოლო ოქროს მონეტა ოსმალურია და ეკუთვნის სულთან მურად III, მოჭრილია ჰიჯრ. 982 (1574) წ. უდეს განძის ყველაზე ადრეული მონეტა, ერცჰერცოგ ფერდინანდის ტალერი 1564—1595 წლებშია მოჭრილი, ხოლო ყველაზე გვიანდელი, ფილიპე III პესო— 1598—1621 წლებში. განძის ქრონოლოგიური დიაპაზონი 57 წლით

---

[91] რ. ქ ე ბ უ ლ ა ძ ე, ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV—XVIII საუკუნეებში, თბ., 1971, გვ. 83—90.

განისაზღვრება. რაც შეეხება განძის ჩაფლობის სავარაუდო თარიღს, ყველაზე გვიანდელი მონეტის მიხედვით XVII ს. 20-იან წლებით უნდა განისაზღვროს.

მონეტის აღწერილობა ასეთია:

მურად III (1574—1595)

20. გ. ფ. № 2259. ალთუნი[92]. ზომა 21—22 მმ, წონა 3,34 გ.

შუბლი: ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

سلطان مراد بن	სულთანი მურადი ძე
سليم خان عز	სელიმ ხანისა იდიდოს
نصره ضرب في	მისმა ძლიერებამ მოიჭრა
مصر سنه	მისრში წელსა
٩٨٢	982

ზურგი: სულთნის ძალისა და ძლიერების გამომხატველი ეპითეტი ოთხ სტრიქონად

سلطان البرين	სულთანი ორი ხმელეთისა
و خاقان البحرين	დამპყრობელი ორი ზღვისა
السلطان بن	სულთანი ძე
السلطان	სულთნისა
	(ტაბ. II, 20).

წარწერას გარს უვლის ორი ხაზოვანი და ერთი წერტილოვანი რკალი.

პატარა ჯიხაიშის განძი

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი XVI ს. შერეული განძებიდან, რომლებშიც ოსმალური მონეტებიც გვხვდება, უაღრესად საინტერესოა პატარა ჯიხაიშის განძი[93].

განძი 1946 წლის შემოდგომაზე წულუკიძის რაიონის სოფ. პატარა ჯიხაიშში მიცვალებულის საფლავის თხრის დროს უპოვიათ თიხის პატარა საღვინეში, რომელიც ორ კილოგრამზე მეტს იწონიდა. განძი შეიცავდა ვერცხლის პატარა მონეტებსა და სხვადასხვა სამკაულებს. განძი დაკარგულია. ადგილობრივ მცხოვრებლებს გივი და გიორგი აბზიანიძეებს ამ განძის მხოლოდ 15 მო-

---

[92] რ. ქებულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 89—90.

[93] თ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრომი.

ნეტა გადაურჩენიათ და ტექნიკუმის დირექტორ Თ. მიქაძისათვის გადაუციათ. ამ უკანასკნელს კი ეს მონეტები 1948 წლის დეკემბერში საქართველოს სახ. მუზეუმისათვის შეუწირავს. შემდეგ განძი შევსებულა კიდევ სამი მონეტით. დღეისათვის განძი წარმოდგენილია 18 მონეტით. განძის შემადგენლობა ასეთია:

ქართული მონეტები 5 ცალი
ოსმალური „—“ 4 ცალი
ირანული „—“ 9 ცალი

განძში არსებული თურქული მონეტები ყველა ახჩაა. მონეტები საკმაოდ გაცვეთილია. ერთ მათგანზე, რომელიც შედარებით კარგადაა შენახული, იკითხება სულთან მურად III სახელი, მოჭრის ადგილი და თარიღი. ორი მონეტა მოჭრილია ხანჯის ზარაფხანაში, ერთზე გარკვევით იკითხება თარიღი ჰიჯრის 982 (1574) წ.

თ. ლომოურმა საფუძვლიანად შეისწავლა ეს განძი და აღნიშნა, „რომ ხანჯის ზარაფხანა, რამდენადაც ჩემს ხელთ მყოფი მასალა ამის დასკვნის საშუალებას იძლევა, ჰიჯრის მეათე საუკუნეზე ადრე არა ჩანს“[94].

ხანჯა (خانجه) იყო მეორე სახელწოდება გიუმუშხანესი[95]. პირველი მონეტები (ახჩები) ხანჯაში სულთან მეჰმედ II დროს მოიჭრა, მაგრამ მათზე არ არის მოჭრის თარიღი მითითებული. ჰიჯრის 926 (1520) წლიდან ვერცხლის მონეტებთან ერთად იჭრება ალთუნებიც. ხანჯის ზარაფხანის უკანასკნელი პროდუქცია მურად IV (1623—1640) დროს გვხვდება[96].

982 წ. ხანჯას ზარაფხანაში მოჭრილი ახჩები საერთოდ დიდ იშვიათობას წარმოადგენს და ისეთ დიდ საცავში, როგორიც ერმიტაჟის ნუმიზმატიკური ფონდია, არ მოიპოვება.

გარდა ამისა, მეტად საინტერესოა და საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების აღმოსავლური მონეტების ძირითად ფონდში დაცულია ერთი მოზრდილი კოლექცია, რომელიც შედგება 607 ცალისაგან. დიდი უმრავლესობა ამ მონეტებისა XVI საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება. ნომინალების მიხედვით ყველა ახჩაა. დათარიღებულია ძირითადად 982 წლით, იშვიათად გვხვდება ჰიჯ-

---

[94] თ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.
[95] A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.
[96] ი ქ ვ ე, გვ. 110.

რის 974 წელი. მონეტები ეკუთვნის თურქეთის ორ სულთანს: სელიმ II (1566—1574) და მურად III (1574—1595). ყველა მონეტა მცირედის გამოკლებით მოჭრილია ხანჯაში. კოლექციის შინაარსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი უნდა წარმოადგენდეს განძს, რომლის პასპორტი (ე. ი. მოპოვების გარემოება) დაკარგულია[97].

მოგვყავს პატარა ჯიხაიშის განძის ოსმალური მონეტების აღწერილობა.

20 ა. გ. ფ. № 5302. ვერცხლი, ზომა 13 მმ, წონა 0,44 გ.

შუბლი: მონეტა გაცვეთილია, ცენტრში იკითხება მოჭრის ადგილი

خانجه ხანჯა

ირგვლივ შეიმჩნევა წარწერის ფრაგმენტები, რომელთა ამოკითხვა ვერ ხერხდება.

ზურგი: იკითხება სულთნის სახელი

مراد خان მურად ხანი

(ტაბ. II, 20ა).

21. გ. ფ. № 5304. ვერცხლი, ზომა 11—15 მმ, წონა 0,70 გ.

შუბლი: ზედწერილი ნაწილობრივ გაცვეთილია, ჩანს ცალკეული ფრაგმენტები, რომელთა აღდგენა ნაწილობრივ ხერხდება.

سلطان مراد خان بن სულთან მურად ხანი ძე

ზურგი: იკითხება მოჭრის ადგილი და თარიღი

خانجه ۹۸۲ ხანჯა 982 წ. (ტაბ. II, 21).

22. გ. ფ. № 5305. ვერცხლი, ზომა 10—11 მმ, წონა 0,13 გ.

შუბლი: შეიმჩნევა ცალკეული ფრაგმენტები, რომელთა აღდგენა არ ხერხდება.

ზურგი: ხერხდება სულთნის ტიტულის ნაწილობრივი აღდგენა

مراد خان بن سليم მურადი ხანი ძე სელიმისა (ტაბ. II, 22).

---

[97] თ. ლომოურს, როდესაც აღნიშნული კოლექცია შეუსწავლია და 190 ცალი ინვენტარში გაუტარებია, აღ. ფ. ძ. № 4852—5041, იქვე მიუწერია, რომ ეს „ფულები განძი უნდა იყოს, მაგრამ ვინაიდან მისი პასპორტი დაკარგულია, განძში მათი შეტანა ვერ მოხერხდა“.

ლიხაურის განძი

XVII საუკუნით თარიღდება მოზრდილი განძი, რომელიც 1945 წელს მახარაძის რაიონის სოფ. ლიხაურში აღმოაჩინეს და რომლის შესახებაც დ. კაპანაძე შემდეგს წერს:

„იგი თავისი შემადგენლობით მეტად საინტერესოა. განძი შეიცავს XVII საუკუნის ასიოდე თურქულ ახჩას, დაახლოებით 1000-ზე მეტ მათ მინაბაძსა და 20-მდე სხვადასხვა ზომის ვერცხლის თხელ ფირფიტას. მინაბაძები სულ სხვადასხვა შტამპით არის შესრულებული, მაგრამ ერთნაირად დამახინჯებულ წარწერებს იძლევა. დასახელებული ვერცხლის ფირფიტები სისქითა და ლითონის ხარისხით ამ მინაბაძებს უდგება და აშკარა ხდება, რომ ეს ფირფიტები მინაბაძების მოსაჭრელი ნამზადია, რომელსაც თურქეთიდან ან სხვა რომელიმე დაშორებული ადგილიდან, რა თქმა უნდა, აქ არ ჩამოიტანდნენ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ ნამზადთა შორის ორი თუ სამი ფირფიტა ჯვრის მოყვანილობისაა და ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეცეს, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ მინაბაძების მომჭრელი თვითონ ქრისტიანი თუ არ იყო, ქრისტიან მოსახლეთა შორის, ე. ი. საქართველოში ცხოვრობდა“[98].

ლიხაურის ციხე ... ვახუშტის გადმოცემით მდებარეობს ყოფილი ოზურგეთის (ახლა მახარაძის რაიონი) სამხრეთით „ოზურგეთის სამხრეთით დის მდინარე ხონისი, ამ მდინარეს და შემოქმედს შუა არს ციხე ლიხაურისა მთისძირ“[99].

განძი თავისი შემადგენლობით ჩვენ სამ ჯგუფად დავყავით.

I ჯგუფში ერთიანდება მურად III (1574—1595) მიერ მოჭრილი ახჩები, რომლებიც ძირითადად ხანჯის ზარაფხანის პროდუქციას წარმოადგენს. ანალოგიური მოტივები გვხვდება წულუკიძის რაიონის სოფ. პატარა ჯიხაიშის განძში. ლიხაურის განძის მონეტათა წონა და ზომა მეტად უმნიშვნელოა. ისინი ისეთი პატარებია, რომ თითებს შორისაც შეიძლება დაიკარგოს. ამ მონეტათა აღწერილობა ასეთია:

შუბლი: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

عز نصره	იდიდოს მისმა ძლიერებამ
ضرب	მოიჭრა
خانجه	ხანჯას

[98] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 136.

[99] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოისა, თბ., 1941, გვ. 175.

ზურგი: სულთნის ვინაობის გამომხატველი ზედწერილი ოთხ სტრიქონად.

سلطان	სულთანი
مراد بن	მურადი ძე
سليم	სელიმ
خان	ხანისა

II ჯგუფში თავსდება მეჰმედ IV (1648—1687) და აჰმედ II (1691—1695) სახელით მოჭრილი მონეტები. ისინი დამზადებულია ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ზარაფხანებში. ვიძლევით ამ ორი სულთნის მონეტთა აღწერილობას.

მეჰმედ IV (1648—1687).

შუბლი: ძალზე გაცვეთილია, შეიმჩნევა წარწერის ცალკეული ფრაგმენტები

سلطان	სულთანი
محمد بن	მეჰმედი ძე
ابراهيم خان	იბრაჰიმ ხანისა

ზურგი: არაბული ზედწერილი ოთხ სტრიქონად, მოჭრის ადგილი და თარიღი.

عز نصره	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
ضرب	მოიჭრა ჰალებს
حلب	1058 წ.[100]
١٠٥٨	

აჰმედ II (1691—1695)

შუბლი: ზედწერილი სამ სტრიქონად

سلطان	სულთანი
احمد خان	აჰმედ ხანი
بن ابراهيم	ძე იბრაჰიმისა

ზურგი: ზედწერილი სამ სტრიქონად

عز نصره	იდიდოს მისმა ძლიერებამ
ضرب في	მოიჭრა
قسطنطينية	კოსტანტინიაში[101].

---

[100] ა. შაედლინგერის შემაჯამებელ ნაშრომში ჰალების 1058 წ. ახჩა დასახელებული არ არის. აქ მითითებულია სხვა ნომინალები, დირჰემი და ფარა A. C. Schaendlinger, გვ. 112.

[101] ასევე უცნობია კონსტანტინიაში მოჭრილი ახჩა აჰმედ II დროისა. A. C. Schaendlinger, გვ. 114—115.

III ჯგუფში ერთიანდება მონეტები, რომლებიც ადგილობრივ მინაბაძებად მიგვაჩნია.

სამების განძი

სამების განძი, რომელიც XVII საუკუნით თარიღდება, შერეულ განძთა რიცხვს მიეკუთვნება.

1913 წ. ბათუმის მახლობლად, სამების მთის მწვერვალზე მდ. ქოლორის წყალსა და ბარცხანას ხეობაში, ძველი ეკლესიის ნანგრევების მოშორებით, თიხის ქოთანში აღმოჩნდა XVII საუკუნის ოსმალური მცირე ზომის და ირანული ვერცხლის მონეტების განძი 537 ცალის რაოდენობით. განძის გადათვალიერების დროს ბახომოვს უნახავს სულთან მურად IV სახელით მოჭრილი ჰიჯრის 1033 წლის ორი მონეტა და სულეიმან შაჰის ოთხი მაჰმუდი, რომელთაგან ერთზე იკითხებოდა თბილისი და თარიღის ფრაგმენტი 109? მისივე შაური და სამი ოსმალური ფულის მინაბაძი, დამახინჯებული ზედწერილით. ერთი თევზის გამოსახულებიანი გაურკვეველი ქართული მონეტა და 519 ცალი ცუდად შენახული თურქული ახჩა[102].

ამ განძიდან საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდში დაცულია 29 მონეტა[103], რომელიც 1945 წელს პარიზიდან დაბრუნებულ ნუმიზმატიკურ მასალათა შორის იყო.

მონეტები ძალზე გაცვეთილია, ერთზე იკითხება ზარაფხანის სახელი. მოგვყავს ამ ნიმუშის აღწერილობა:

23. გ. ფ. № 7164. ვერცხლი, ზომა 12—14 მმ, წონა 0,27 გ.

შუბლი: არაბული ზედწერილი სამ სტრიქონად

عز نصره იდიდოს მისმა ძლიერებამ

صرب فى قسطنطينيه მოიჭრა კონსტანტინიას.

ზურგი: ზედწერილი სამ სტრიქონად.

سلطان სულთანი

مراد بى მურადი

احمد خان ახმედ ხანისა. (ტაბ. II, 23).

ამ განძის ჩაფლობის სავარაუდო თარიღად შეიძლება XVII საუკუნის მიწურული ან XVIII საუკუნის პირველი ათეული წლე-

---

102 Е. А. Пахомов, Монетные клады, I, № 198.

103 საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განძი, ფ. № 7149—7174.

ბი მივიჩნიოთ. სულეიმან შაჰი (1667—1694) თავისი მეფობის მთელ მანძილზე ჭრიდა მონეტებს.

ამავე პერიოდის, პარიზიდან დაბრუნებული მონეტებია დაცული საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების ფონდში, რომელზედაც პახომოვის ხელით აწერია: საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი XVII ს. თურქული და სპარსული მონეტები.

მონეტები ეკუთვნის სულთან მუსტაფა I (1617—1618—1622-1623).

ვიძლევით სანიმუშო ცალის აღწერილობას.

24. გ. ფ. № 2117. ვერცხლი, ზომა 15—18 მმ, წონა 1,85 გ.

შუბლი: მონეტის ცენტრში წრეხაზია, რომელშიაც მოთავსებულია სულთნის სახელი და მონეტის მოჭრის თარიღი, ირგვლივ წარწერის ფრაგმენტები, რომელთა წაკითხვა ძნელდება.

مصطفى მუსტაფა

١٠٣١ 1031 წ.

نصره გამარჯვება მისი.

ზურგი: არაბული ზედწერილი ოთხ სტრიქონად.

سلطان البرين სულთანი ორი ხმელეთისა

و خاقان البحرين და ხაკანი ორი ზღვისა

سلطان بن სულთანი ძე

السلطان სულთნისა.

მონეტის კიდეები შემოცვეთილია. (ტაბ. II, 24).

ჯიხანჯირის განძი

1977 წელს შემოდგომაზე ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჯიხანჯირის მკვიდრმა, მე-5 კლასის მოსწავლემ, გოდერძი გურგენიძემ ამავე სოფელში „ნასტეფანარის გორაზე" ქვის ქვეშ იპოვა 320 ოსმალური ვერცხლის პატარა ზომის მონეტა. ცოტა მოგვიანებით იქვე კიდევ იპოვა 5 მონეტა, ხოლო 1979 წლის ზაფხულში ამავე გორაზე კვლავ აღმოჩნდა 9 მონეტა. საერთო ჯამით 334 ცალი, რომელიც დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდში[104].

---

[104] საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განძების, ფ. №№ 17257—17576, 20144—20451.

ოსმალური ფულის აღმოჩენა გურიაში და კერძოდ, ლანჩხუთის რაიონში იშვიათობას არ წარმოადგენს. ამგვარი აღმოჩენები დასავლეთ საქართველოში და, სახელდობრ გურიაში დიდი მნიშვნელობისაა, რადგან საქართველოს ეს კუთხე არქეოლოგიურად ნაკლებადაა შესწავლილი. ნუმიზმატიკური ძეგლები დიდ დახმარებას უწევს ისტორიკოსებს ამ მხარის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლაში.

სოფ. ჯიხანჯირი ჩოჩხათის სასოფლო საბჭოში შემავალი ერთ-ერთი სოფელია. იგი ნიგოითის ქედის ერთ-ერთი განშტოების თხემზეა გაშენებული. თვით სოფლის სახელი ჯიხანჯირი მეგრულ-ჭანური წარმოშობისაა და ციხის ძირს ნიშნავს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ სოფლის მიდამოებში ოდესღაც ციხე ყოფილა.

მონეტების აღმოჩენის ადგილი „ნასტეფანარი" მაღალი გორაკია, რომელიც სოფელს აღმოსავლეთის მხრიდან გადასცქერის. „ნასტეფანარის" გორის თავზე რამდენიმე წლის წინათ სატრანგულაციო წერტილი დაუდგამთ და აქ შემორჩენილი შენობის ნაშთი, შესაძლებელია ციხისა, დარღვეულა და, როგორც ჩანს, დაფლული მონეტები ნათხარი მიწის ზედაპირთან ახლოს დაფანტულა.

„ნასტეფანარის" გორაკზე აღმოჩენილი მონეტები ე. წ. ახჩები იმდენად პატარებია, რომ მათი შემჩნევა მიწაში ცოტა ძნელია, სწორედ მიწის ჩიჩქნის და თამაშის დროს უპოვნია ისინი თენგიზ გურგენაძეს.

„ნასტეფანარის" გორაზე არსებული შენობის თუ ციხის ნაგებობის ნაშთების შესახებ არქეოლოგები იტყვიან სათქმელს, რაც შეეხება მონეტებს,ისინი XVI—XVII სს. თარიღდება.

როგორც უკვე ვთქვით, განძი შეიცავს 334 მონეტას. ყველა თურქულია. განძის ქრონოლოგიური დიაპაზონი 100 წელზე მეტია. განძში არსებული ადრეული მონეტა თარიღდება ჰიჯრის 926 წლით და ეკუთვნის თურქეთის სულთან ბაიაზედ II (886—918), გვიანდელი კი—ჰიჯრის 1003 (1595) წ. და ეკუთვნის მეჰმედ III (1003—1012).

დასავლეთ საქართველოში ოსმალური ფულის შემოსვლას ხელი შეუწყო შავი ზღვის სანაპიროზე თურქების გაბატონებამ. გამორიცხული არ არის, რომ ჩვენ მიერ ინფორმირებული განძი ამ გზით არის შემოსული და შემდგომში დაფლული, რაღაც საფრთხის გამო. ჯიხანჯირის მცხოვრებლებში არსებობს გადმოცემა,

თითქოს ამ მიდამოებში ყოფილა დიდი ბრძოლა. შეშინებულ მცხოვრებლებს თავი ციხისათვის შეუფარებიათ და განძი დაუფლავთ იქვე ახლოს. ამ გადმოცმას „ნასტეფანარის“ გორაზე აღმოჩენილ განძთან პირდაპირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ასეა თუ ისე, ჩვენ დღეს ხელთა გვაქვს მეტად მნიშვნელოვანი განძი, XVI საუკუნის ოსმალური ფულადი სისტემის ძირითადი ერთეულის—ახჩის სახით.

XVI ს. ოსმალეთის იმპერიის ძლიერების მწვერვალს წარმოადგენს. დაპყრობითი ომების შედეგად ოსმალეთმა არა მარტო გააფართოვა იმპერიის საზღვრები, არამედ დიდი მატერიალური დოვლათიც შექმნა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სამონეტო საქმეზე. იმპერიის 25 ქალაქში იჭრებოდა მაღალი სინჯისა და დადგენილი წონის მონეტები.

ჯიხანჯირის განძში თავმოყრილია ბაიაზედ II (886—918), სელიმ I (918—926), სულეიმან I (926—974), სელიმ II (974—982), მურად III (982—1003) და მეჰმედ III (1003—1012) მონეტები. მათი უმრავლესობა მოჭრილია ტრაპიზონის ვილაიეთის ქ. ხანჯის ზარაფხანაში. ხანჯაში მონეტები პირველად მეჰმედ II დროს მოიჭრა (848—886), მაგრამ მათზე თარიღი არ არის მითითებული. ჰიჯრის 926 (1520) წლიდან აქ ვერცხლის მონეტებთან ერთად ოქროც იჭრება. ხანჯის ზარაფხანის უკანასკნელი პროდუქცია მურად IV-ის (1623—1640) დროს გვხვდება.

982 წ. დათარიღებული ხანჯის ზარაფხანაში მოჭრილი ახჩები უკანასკნელ დრომდე ჩვენი ქვეყნის ფარგლებში ნაკლებად იყო აღმოჩენილი. ერმიტაჟის ნუმიზმატიკურ ფონდში 982 წ. ახჩები არ გვხვდება. ეს ხარვეზი შეავსო პატარა ჯიხაიშში აღმოჩენილმა ახჩამ, რომელთაგან ორზე გარკვევით იკითხება ხანჯა, ჩვენს ფონდში დაცულმა ფულის კოლექციამ, რომელიც 982 და 974 წწ. თარიღდება და ჯიხანჯირში აღმოჩენილმა განძმა, რომელთა უმეტესობა მოჭრილია ხანჯაში.

პატარა ჯიხაიშის ფონდში დაცული უპასპორტო მონეტები და ჯიხანჯირის განძში შემავალი მონეტები ერთნაირია. ჯიხანჯირის განძის უპირატესობა ის არის, რომ ხანჯის გარდა გვხვდება ოსმალეთის იმპერიაში შემავალ სხვადასხვა ქალაქებში მოჭრილი მონეტები. ესენია: კონსტანტინოპოლი, ედირნე, ნოვარი, კარატოვო, ნოვობერდა, სიდრე-კაისი, საკიზი, კეისარიე და ერზერემი.

ნიმუშისათვის მოვიყვანთ ერთი მონეტის აღწერილობას:

№ გ. ფ. № 17476. ვერცხლი, წონა 0,20 გ, ზომა 10—11 მმ.

შუბლი: მონეტის ცენტრში ვარდული, რომელშიც მოთავსებულია მოჭრის ადგილი خانبه ირგვლივ წარწერაა

იდიდოს მისმა ძლიერებამ მოიჭრა 982 წ.

ზურგი: სულთანის სახელი

سلطان مراد სულთანი მურადი

بن سليم خان ძე სელიმ ხანისა*

5. ოსმალური მონეტების მიმოქცევის ზოგიერთი თავისებურება XVI—XVII სს. საქართველოში

როგორც წინა პარაგრაფიდან გაირკვა, ოსმალური საფასეს გავრცელება საქართველოში XVI ს. დასაწყისიდან უკვე ფაქტობრივი მასალითაც დასტურდება. ჩვენს ხელთ არის არა მარტო მინაბაძები და წერილობითი წყაროების ცნობები, არამედ თვით ოსმალური მონეტებიც, როგორც ვერცხლის, ისე ოქროსი.

არსებული მასალით, საქართველოს ტერიტორიაზე XVI—XVII სს. ოსმალური მონეტების მხოლოდ სამი დამოუკიდებელი განძი მოგვეპოვება. სხვა შემთხვევაში ისინი, როგორც წესი, გვხვდება შერეულ განძებში. ოსმალური ფულის ერთეულებიდან განძებში წარმოდგენილია ოქროს ალთუნები და ვერცხლის ახჩები. ორივე ნომინალი საქართველოს სამონეტო განძებში ისეთსავე მეტროლოგიურ შინაარსს ატარებს როგორც ოსმალეთში, ალთუნის წონა საშუალოდ 3,52 გრამია, ხოლო ახჩისა, რომელიც უაღრესად დაკნინებულია, — 0,12 გრამი.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ოსმალური მონეტები გვიჩვენებს, რომ ისინი მისრის (ეგვიპტე), ჰილლას (ერაყი), ჰალების (სირია), ამიდის (სანჯარის, ჩრ. მესოპოტამია), ხანჯას (ტრაპიზონის ვილიეთი), კონსტანტინოპოლის, ნოვარის (სერბია), სერეზის, სიდრე-კაპსას (ქალკედონიის ნახევარკუნძული) ზარაფხანებშია მოჭრილი.

ოსმალეთის სამხედრო-პოლიტიკური წარმატებები უდავოდ აისახა საქართველოში ოსმალური მონეტების გავრცელების ინტენსიფიკაციაზე. ოსმალური მონეტები შერეულ განძში გვხვდება აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში, მაგრამ უფრო დიდი რაოდენობით ისინი წარმოდგენილი არიან დასავლეთ საქართვე-

* ჯიხანჯირის განძის შესახებ იხ.: მ. ა ნ თ ა ძ ე ჯიხანჯირი, თურქული მონეტების განძი, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXXV—B, თბ., 1981, გვ. 110—113.

ლოში. ოსმალური მონეტების ტოპოგრაფია გვეხმარება აღვადგინოთ ამ მონეტების გავრცელების არეალი, მაგრამ მარტო მის საფუძველზე ძნელია ვიმსჯელოთ საქართველოს სამონეტო ბაზარზე ოსმალური მონეტების როლზე და მნიშვნელობაზე. საჭიროა პარალელური ნუმიზმატიკური მასალის, წერილობითი წყაროების ცნობების და სხვადასხვა ფაქტორების (პოლიტიკურ-ეკონომიკური) გათვალისწინება.

განძების და ცალკეული მონეტების აღმოჩენა ხშირად შემთხვევითობაზეა დამოკიდებული. ზოგჯერ ისინი არ აღწევენ მკვლევარამდე და არ არის სათანადოდ ფიქსირებული. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა თურქეთის მიერ მიტაცებულ ოდინდელ ქართულ მიწებზე აღმოჩენილი მონეტები, რომელთა შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება.

სამცხე-საათაბაგო საქართველოში პირველი გაეცნო ოსმალურ საფასეს, რაც აისახა ათაბაგთა სააღაპე შეწირულობაში. გარდა ამისა, სამცხე-საათაბაგოში, პირველად საქართველოს ისტორიაში, იჭრება ოსმალური მონეტები. ესენია ახჩები და ალთუნები. მოჭრის ადგილია ქ. არტანუჯი[105].

არტანუჯში მოჭრილი ოსმალური მონეტები უცნობი იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის. უკანასკნელ ხანებამდე უცნობი იყო ისინი ნუმიზმატიკურ ლიტერატურაშიც. პირველი ცნობები მათ შესახებ, რამდენადაც ვიცით, მოცემულია გერმანელი ნუმიზმატის ა. შაედლინგერის წიგნში.

არტანუჯში მოჭრილი პირველი ახჩები სულთან სულეიმან I ტახტზე ასვლის პირველი წლით, ჰიჯრის 926 წ. თარიღდება[106].

სულთანი სულეიმანი ტახტზე ავიდა 1520 წლის 22 სექტემბერს, ხოლო ჰიჯრის 926 წ. დასრულდა—1520 წ. 11 დეკემბერს. ამრიგად, ამ მონეტის მოჭრის თარიღი შეიძლება იყოს 22. IX—11. XII 1520 წ.

რით შეიძლება ავხსნათ არტანუჯში ოსმალური მონეტის ემისია?

ვახუშტის თანახმად 1520 წ. „მოვიდა სპა ხონთქრისა და მოადგა საათაბაგოს არამედ ყუარყუარე ათაბაგმან განამაგრნა ციხე-სამაგრენი საათაბაგოსნი და დახიზნა ხიზანნი. მაშინ ოსმალთა რა

---

105 A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 27, 97, 101.

106 ეს მონეტა გერმანელი მეცნიერის გამოკვლევის ძირითად ნაწილში არ აისახა. ის დამატების სახით ავტორს ჩაუწერია საკუთარი ხელით, დაბეჭდვის შემდეგ, ფანქრით, გვ. 97.

ვერღარა რა ჰპოვეს სამცხეს, გარდავლეს სამცხეს და შემოვიდეს თრიალეთს და მერმე ქართლს"[107].

ლაშქრობის წელი და არტანუჯში პირველი ახჩის ემისიის თარიღი ემთხვევა ერთმანეთს. დაგვრჩენია ვივარაუდოთ, რომ 1520 წ. შემოდგომაზე ოსმალებმა დროებით დაიკავეს ქ. არტანუჯი და მოჭრეს აქ საოკუპაციო მონეტა, მაგრამ ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ მონეტის ემისია დიდხანს არ გაგრძელებულა. ქართლში შემოსული ოსმალნი „მუნ მოსწყვიდნა დავით მეფემან და ლტოლველთა გამოვლეს კუალად საათაბაგო". ათაბაგს მათთვის ბრძოლა აღარ გაუმართავს, პირიქით „მისცა საზრდელნი და განუტევა მშვიდობით"[108]. ოსმალებმა, როგორც ჩანს, არტანუჯიც დაცალეს, რადგანაც მომდევნო წლებში საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე აქაური მონეტა აღარ ჩანს.

თითქმის ნახევარმა საუკუნემ განვლო, ვიდრე არტანუჯში ხელახლა მოიჭრებოდა ოსმალური საფასე. სულთან სელიმ II-ს ძეობის პირველ წელს ჰიჯრის 974, ე. ი. 1566—1567 წწ. არტანუჯში ფიქსირებულია ფულის ორი ნომინალის, ახჩას და ალთუნის ემისია[109]. საქართველოს ისტორიაში, პირველად მესხეთის ტერიტორიაზე, XVI ს. 20-იან წლებში მოიჭრა მონეტა და ისიც უცხოელი დამპყრობლის მიერ.

თუ XVI ს. 20-იან წლებში ოსმალეთის ექსპანსია ის-ის იყო ფართოდ იშლებოდა საქართველოში, XVI ს. 60-იან წლებში მათ უკვე მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდათ მოპოვებული. როგორც ცნობილია, 1555 წ. ამასიის ზავის შემდეგ ირანმა და ოსმალეთმა შუაზე გაიყვეს საქართველო. ირანმა სცნო ოსმალეთის უფლება დასავლეთ საქართველოზე. სამცხე-საათაბაგო გავლენის სფეროებად გაინაწილეს. სამცხე ირანს ერგო, ტაო, შავშეთი და კლარჯეთი კი ოსმალეთს. ოსმალეთის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა ქ. არტანუჯი და სწორედ ამ პოლიტიკური აქტის გამომსახველია სულთან სელიმ II-ს სახელით მოჭრილი ზემოხსენებული მონეტები.

1579 წ., როგორც აღინიშნა, დაარსდა ჩილდირის, ე. ი. ახალციხის საფაშო, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა სამცხე-საათა-

---

[107] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 711.

[108] იქვე, გვ. 712.

[109] A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

ბაგოს მნიშვნელოვანი ნაწილი. ნაწილი მისი ტერიტორიისა გაერთიანდა სხვა ვილაიეთებში. ასე მაგ., ბათუმის სანჯაყი დაუქვემდებარეს ტრაპიზონის ვილაიეთს, ხოლო თორთუმი, ისპირი, ნაშრევანი, ბასიანი და პატარა არტაანი — არზრუმის ვილაიეთს.

ოსმალური მონეტების ემისია წარმოებდა არზრუმის და ტრაპიზონის ვილაიეთებში. რაც შეეხება ახალციხის საფაშოს, არც ქ. ახალციხეში და არც სხვა ქალაქებში ოსმალური მონეტის ემისია დღემდის არ არის ფიქსირებული. საფაშოს ფულად მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა თურქეთის პროვინციებიდან შემოსული ფულის მასა. ასე მაგალითად, უდეს განძში, რომელიც ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა, გამოვლენილია მისრის (ეგვიპტის) ალთუნი. ოსმალურ საფასესთან ერთად ახალციხის საფაშოში მიმოქცევაში იყო სინქრონული ხანის ევროპული მონეტებიც.

იგივე სურათი ჩანს ტრაპიზონის საფაშოს დაქვემდებარებულ ბათუმის სანჯაყში. სამონეტო ტოპოგრაფიაში მოვიხსენიეთ ლიტერატურაში დამოწმებული ნატანების განძი და, გარდა ამისა, ბათუმის მახლობლად აღმოჩენილი შერეული განძი. ამ განძებით ირკვევა, რომ ფულის მიმოქცევაში ყოფილა კონსტანტინოპოლისა და ხანჯას ზარაფხანებში მოჭრილი ახჩები. ირანული და ქართული მონეტები.

ახალციხის საფაშოსაგან განსხვავებით, ტრაპიზონის საფაშოს ტერიტორიაზე ტრიალებდა ადგილობრივ მოჭრილი მონეტებიც. ხანჯა, რომლის მონეტებიც XVII ს. საქართველოში ვრცელდებოდა, სწორედ ტრაპიზონის ვილაიეთის ფარგლებში მდებარეობდა. ხანჯას ახჩები ნატანების განძის გარდა, პატარა ჯიხაიშის და ლიხაურის განძშიც არის აღმოჩენილი.

ოსმალური და ევროპული, ოსმალური და ირანული მონეტების ერთდროული მიმოქცევა განძების მიხედვით დამახასიათებელი იყო საქართველოს სხვადასხვა რაიონებისათვის, მაგრამ მათგან განსხვავებით ახალციხის საფაშოს ფულის მიმოქცევის თავისებურება იყო ის, რომ აქ ოსმალური საფასე გახდა გადახდის ძირითადი კანონიერი საშუალება. საკმარისია თვალი გადაავლოთ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს“, ანდა ახალციხის ლივას „კანუნნამეებს“ — აშკარა ხდება, რომ ფასების, ბაჟების სხვადასხვა გამოსაღებების და გადასახადების, ანდა შემოსავლის გან-

საზღვრა ხდებოდა ოსმალური საფასით[110]. ყველა ეს საფასე გამოითვლებოდა ახჩებში. საფიქრებელია, რომ მიმოქცევაში მყოფი სხვა უცხოური მონეტების ღირებულებაც სწორედ ახჩებში იანგარიშებოდა.

რაც შეეხება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, ოსმალური საფასეს გავრცელების მიუხედავად, XVI—XVII სს-ში დაქვემდებარებული ადგილი ეჭირა სამონეტო ბაზარზე. საქართველოს სამონეტო ბაზარზე უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპულ მონეტებს (ვენეციურ დუკატებს, ესპანურ პესოებს) და ირანულ აბაზიანებს.

ვენეციური დუკატები და ესპანური პესოები საერთაშორისო ვალუტას წარმოადგენდნენ და მიმოქცევაში იყვნენ ტერიტორიულად უაღრესად ვრცელ გეოგრაფიულ არეალზე (როგორც ევროპაში, ისე მახლობელ აღმოსავლეთში). ასეთსავე ფუნქციას ატარებდნენ სხვა ეკონომიკურად განვითარებული ევროპული ქვეყნების მონეტებიც, რომელთაც ოსმალური საფასე წარმატებით ვერ უწევდა კონკურენციას. მახლობელი აღმოსავლეთის სამონეტო ბაზარზე მათი ეს უპირატესობა (წონისა და სინჯის სტაბილურობის წყალობით) აისახა საქართველოს ფულის მიმოქცევაშიც. ეს მოვლენა აღნიშნული აქვთ ევროპელ მოგზაურებს, მისიონერებს და დიპლომატებს.

ასე მაგ., არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოს ფულის მიმოქცევაში არ ასახელებს ოსმალურ მონეტას, სამაგიეროდ აღნიშნავს, რომ მოსახლეობა უპირატესობას ანიჭებდა უნგრულ ცეხინებს და ესპანურ რეალებს[111].

XVII ს. II ნახევრის დასაწყისში რუსი დიპლომატები ტოლოჩანოვი და იევლევი იმერეთის ფულის მიმოქცევაში ასახელებენ ევროპულ მონეტას (უნგრულ ოქროს, ტალერებს), მაგრამ არ იხსენიებენ ოსმალურს[112].

1701 წ. მიეკუთვნება, მაგრამ უეჭველად XVII ს. მიწურუ-

---

[110] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ. წიგნ. I, თბ., 1941, გვ. 3, 4 და ა. შ.; მ. სვანიძე, ახალციხის ლივას „კანონნამეები", მახლობელი აღმოსავლეთის სოციალ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, თბ., 1968, გვ. 159—164.

[111] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 156.

[112] М. А. Полиевтков, Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию 1650—1652 гг. Тифлис, 1926, с. 110.

ლის სინამდვილესაც ასახავს ფრანგი ტურნეფორის ცნობა, რომლის თანახმადაც თბილისში მიმოქცევაში იყო ჰოლანდიური დუკატი, ვენეციური ცეხინი, პიასტრი, აბაზი, კაზბეკი, მაგრამ არა ოსმალური საფასე[113].

ევროპულ მონეტებთან ერთად XVI—XVII სს-ში საქართველოს ფულის მიმოქცევაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სპარსულ საფასესაც. აღმოსავლეთ საქართველოში სპარსული ფულის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა XVII საუკუნიდან, როცა აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთმა დაიპყრო და აღმოსავლეთ საქართველოს ზარაფხანებში სპარსული ყაიდის მონეტების ემისია დაიწყო[114].

დასავლეთ საქართველოში სპარსული საფასეს ფართო გავრცელებაზე მიუთითებენ ზემოთ დასახელებული არქანჯელო ლამბერტი, ტოლოჩანოვი, შარდენი და იევლევი. არქანჯელო ლამბერტის თანახმად სამეგრელოს მთავარს ლევან II დადიანს (1611—1657) ირანული აბაზიანების ყაიდის მონეტების ჭრაც კი დაუწყია[115].

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში ამ დროს თურქული გავლენა მძლავრობდა და ეს კუთხე ძირითადად ოსმალური ფულით სარგებლობდა, რასაც ნათლად ადასტურებს ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა, სპარსული აბაზიანები მაინც საკმაო რაოდენობით ყოფილა გავრცელებული[116].

XVII საუკუნეში როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში სპარსული ფული იჭრებოდა. უცხოელ მოგზაურთა ცნობებიდან ირკვევა: როდესაც სამეგრელოს მთავარს და იმერეთის მეფეს საკუთარი ფულის მოჭრა განუზრახავთ, უპირატესობა ირანული აბაზიანებისათვის მიუნიჭებიათ, თუმცა დასავლეთ საქართველოში საფასეს მოჭრის ტექნიკა ჯერჯერობით შესწავლილი არ არის, არც აღმოჩენათა შემთხვევები მოგვეპოვება, გარდა XVI

---

113 P a r. M. de Tournefort. Relation d. un voyage du Levant. Lyon, MDCC. XVI p. 165—166.

114 დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 139; თ. ქ უ თ ე ლ ი ა, ზაგემში მოჭრილი მონეტები, ჟურ. „მაცნე", № 4. 1972, გვ. 138—139.

115 ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 156.

116 თ. ქ უ თ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

საუკუნის მეორე ნახევრის დაკნინებული მონეტებისა, რომლებიც ეკუთვნის იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510—1564) და გიორგი II (1564—1585). ე. ა. პახომოვი აღნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოში ამ დროისათვის საბოლოოდ ქრება ტრაპიზონული ასპრების მინაბაძები და იქმნება ცდა სპარსული მონეტის მინაბაძების მოჭრისა. შეიძლება ამ დროს მიეკუთვნება ის მოგრძო პატარა ზომის მონეტები, რომლებიც დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ამბროლაურის განძში და რომლებიც თავისი ფორმით და შინაარსით წააგავს თაჰმასპ I (1524—1576) მონეტებს[117]. რით აიხსნება ეს ფაქტი მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოში ჰეგემონობა თურქეთს ეკუთვნის? ეს შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ XVII საუკუნეში ახჩა იმდენად დაკნინდა, რომ მისი წონა 0,13 გრამამდე დავიდა, რაც ერთგვარ გავლენას ახდენს დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ირანი კი ამ დროს პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერია და მახლობელ აღმოსავლეთში ვაჭრობაში კონკურენციას უწევს თურქეთს. ასეთ სიტუაციაში, უდავოა, ირანულ ფულს უფრო ფართო გავრცელება ექნებოდა საერთაშორისო ბაზარზე და რასაკვირველია, ქართველი მეფე-მთავრები, თუ კი ფულის მოჭრას განიზრახავდნენ, ირანული ტიპის მონეტის მოჭრას ამჯობინებდნენ. ფრანგი კომერსანტი მოგზაური, ტავერნიე წერს: „იმერეთის მეფე ჭრის ფულს იმავე სიდიდისა და იმავე ზომისას, როგორიც სპარსეთის მეფის და ტფილისის ფულია, მაგრამ, რადგანაც მისი ფული იმავე სინჯის არ არის და აკლია 2%, ამიტომ მას ვაჭრობაში მსვლელობა არ ექნებოდა, მითუმეტეს რომ ვაჭრობა სპარსეთსა და იმერეთს შორის საკმაოდ დიდია, რომ იმერეთის მეფეს არ მიემართა შემდეგი ზომისათვის. სახელდობრ ფულზე ის აჭრევინებს სპარსეთის შაჰის სახელთან ერთად თავის სახელსაც, რის გამოც ეს ფული თავისუფლად გადის. იმერეთის მეფე მოაჭრევინებდა დიდი ხელმწიფის (ოსმალეთის სულთნის) სახელით და აქედან მას მეტი მოგებაც ექნებოდა, მაგრამ მთელ ოსმალეთში იჭრებოდა პატარა ფული ასპრი“[118].

ანალოგიურ ცნობას გვაწვდის ფრანგი კომერსანტი შარდენი, რომელიც საქართველოში ყოფილა 1672—1673 წლებში და სამე-

---

[117] Е. А. Пахомов, Клады..., I, с. 31—32.

[118] ტავერნიეს მოგზაურობიდან, ზ. ჭიჭინაძის თარგმანი, ჟურნალი მოამბე, ტფ., 1898, № 6, გვ. 7.

გრელოში მიმოქცევაში შეხვედრია ქართლში მოჭრილი აბაზიანები[119]. მისივე ცნობით XVII საუკუნის 50-იან წლებში სამეგრელოში უცხო ფულის გვერდით ბრუნვაში ყოფილა ადგილობრივი მონეტები. იგი წერს: სამეგრელოს მთავარი, რომელიც უკვე 20 წელია გარდაიცვალა, საკუთარ ფულს ჭრიდაო[120]. ამ მონეტათა აღმოჩენის შემთხვევები კი დღემდე არ დასტურდება.

---

[119] Chardin, Voyages du chevalier chardin en Parse et auxä in des orientalis, 1. Paris, 1811, p. 186.

[120] იქვე.

თავი მესამე

ოსმალური მონეტების მიმოქცევა საქართველოში XVIII საუკუნეში

1. ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII საუკუნეში

მძიმე მარცხი განიცადა საქართველომ XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე ოსმალეთსა და ირანთან ბრძოლაში. ოსმალეთმა საბოლოოდ მოჰგლიჯა მას სამცხე-საათაბაგო და მის გამაჰმადიანებას ენერგიულად შეუდგა.

XVIII საუკუნის დასაწყისში მახლობელ აღმოსავლეთში საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე აქტიურად გამოვიდა რუსეთი. ქართველები შეუკავშირდნენ პეტრე I-ს და იმედს გამოსთქვამდნენ, რომ რუსეთის დახმარებით გამოიხსნიდნენ საქართველოს მაჰმადიანური სამყაროსგან.

1722 წლის 2 ივლისს პეტრე I-მა ვახტანგ მეფეს აცნობა, რომ სპარსეთზე ლაშქრობას აპირებდა და ამ ომში მასაც იწვევდა. ვახტანგმა თანხმობა შეუთვალა. 3 აგვისტოს რუსეთის ჯარი დარუბანდ-ბაქოსაკენ დაიძრა და 23 აგვისტოს დაიკავა იგი.

რუსეთის გამოჩენამ პოლიტიკურ სარბიელზე არა მარტო სპარსეთი შეაშფოთა, არამედ თურქეთიც საგონებელში ჩააგდო. თურქეთის სულთანმა წინადადებით მიმართა ვახტანგს მის მხარეზე გადასულიყო, ვახტანგს თურქეთთან კავშირი ხელს არ აძლევდა, მას საკუთარი მიზნები ამოქმედებდა. რუსეთის დახმარებით იგი ფიქრობდა სპარსეთის უღლისგან გამოხსნას, სამცხე-საათაბაგოს შეერთებას და ქართლ-კახეთის გაერთიანებას.

პეტრე I-მა სპარსეთის წინააღმდეგ დაწყებული ომი მოულოდნელად შეწყვიტა და უკან დაბრუნდა. რუსეთის უკან დაბრუნებით სპარსეთი კატასტროფულ მარცხს გადარჩა[1]. სამაგიეროდ

---

[1] შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 184.

ახლა საფრთხე ქართლს და მის დედაქალაქს—თბილისს მოელოდა. ვახტანგ მეფის უკმაყოფილო იყვნენ სპარსეთიცა და ოსმალეთიც და შესაფერის დროს ურჩევდნენ ანგარიშის გასასწორებლად. ვახტანგი აშკარად გრძნობდა თურქულ-ირანული საფრთხის მოახლოებას და ცდილობდა როგორმე თავიდან აეცდინა ეს საფრთხე. ამ მიზნით იგი მტერს ზოგჯერ მოჩვენებით ერთგულებას აღუთქვამდა.

XVIII ს. 20-იან წლებში კახეთისა და ქართლის ურთიერთობა გაუარესდა. 1723 წ. კონსტანტინე კახთა ბატონმა ლეკების დახმარებით თბილისი გადაწვა და ააოხრა. „დაჯდა მამად-ყული ხანი ქალაქსა თბილისსა". ქართლ-კახეთის შინაური უთანხმოებით ისარგებლა ოსმალეთმა და ხელთ იგდო ქართლ-კახეთი. 1723 წლის ივნისში ოსმალები ქართლში შემოვიდნენ. კონსტანტინე კახთა ბატონმა, რომელიც ამ დროს გადამწვარ თბილისში იჯდა, თურქებს წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაუბედა და უომრად გადასცა თბილისის ციხის გასაღები. კონსტანტინე დააპატიმრეს. ბაქარ ვახტანგის ძე გაამაჰმადიანეს, იბრეჰიმი უწოდეს და ქართლი მისცეს. შემდეგ ოსმალებმა ქართლში გამაჰმადიანებული იესე დასვეს (ვახტანგ IV-ს ძმა).

ოსმალთა მძიმე ბატონობის შესახებ დიმიტრი კათალიკოსი 1723 წლის 13 მაისს პეტრე პირველს სწერდა: „ჩემ სამწყსო საქართველოს უსჯულონი მოერივნენ და ძმა ჩემი ვახტანგ იავარ ჰყვეს, ხატი და ჯვარი, ეკლესიანი ცეცხლსა მიერ დაწვნეს და მრავალნი სულნი ქრისტიანენი მოსწყვიდნეს, ოხერ ჰყვეს ქალაქნი და სოფელნი"[2].

1727 წელს, როდესაც ქართლის ნომინალური მმართველი იესე-მუსტაფა გარდაიცვალა, მას ოსმალებმა მემკვიდრე არ დაუნიშნეს და ამით მეფობა ქართლში გააუქმეს. ოსმალებმა ქართლის მმართველად ისააყ ახალციხის ფაშა დანიშნეს. მან სატახტო ქალაქად თბილისი გაიხადა და აქედან აწარმოებდა ყოველგვარ ურთიერთობას ოსმალეთთან, როდესაც ისააყ ფაშა ქართლის მმართველად დაამტკიცეს, მის განკარგულებაში აღმოჩნდა მთელი მესხეთი და ქართლი. ამის შემდეგ სულთანმა მას კახეთის დაპყრობაც დაავალა და ორთუღიან მოხელეს ერთი თუღი კიდევ მოუმატა. სამთუღიანი ისააყ ფაშა სულთნის ვაზირის უფლებებით

---

[2] შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

სარგებლობდა და ვაზირადაც ითვლებოდა[3]. ისააყ ფაშამ თანდათან კახეთიც დაიმორჩილა და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მასვე ჰქონდა მინდობილი დასავლეთ საქართველოს სამეურვეო ზედამხედველობა და საკონტროლო უფლებები, მაშინ ცხადი გახდება, რომ XVIII საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს ისააყ ფაშას ხელქვეით იყო მოქცეული მთელი საქართველო[4].

ისააყ ფაშამ ქართლი ექვს ერთეულად დაჰყო და მმართველობა თავადებს ჩააბარა. ისინი ჰკრეფდნენ საოსმალო გადასახადებს და პასუხისმგებელნი იყვნენ ქართლის ფაშის წინაშე. ასე დაიწყო ქართლში „ოსმალობა". ოსმალური გადასახადები მწარმოებელი მოსახლეობის ყველა ფენას აწვა. ყველაზე აუტანელ პირობებში გლეხები იყვნენ ჩავარდნილნი. ისინი ვერ უძლებდნენ ორმაგ ხარკს ოსმალურსა და საბატონოს და თავიანთი სამკვიდრო ადგილებიდან გარბოდნენ. უკმაყოფილო იყო ფეოდალური საზოგადოება და ვაჭრებიც. ირან-ოსმალეთის გაუთავებელი ომების გამო მათი სავაჭრო მიმოსვლა ფერხდებოდა. ოსმალების წინააღმდეგი იყო ეკლესიაც, რომელთა ქონება და ყმა-მამულიც დახარკეს. სულთნის მოხელეები ხარკს უკლებლივ მოითხოვდნენ მებატონეებისაგან. ართმევდნენ ყველაფერს, რისი წაღებაც შეიძლებოდა, არ ერიდებოდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც კი, რითაც უკმაყოფილების ცეცხლს აღვივებდნენ. ოსმალებმა ქართლში მნიშვნელოვანი სოციალური დასაყრდენი ვერ გაიჩინეს. ამიტომაც იყო რომ ქვეყანა განსაკუთრებული შეურიგებლობით ებრძოდა დამპყრობელთა ბატონობას. 12 წლის განმავლობაში ქართლში არც ერთი დღე დამშვიდებული არ ყოფილა. ყველა ამ ძნელბედობის შედეგი ის იყო, რომ კულტურული მეურნეობა დაეცა და მცხოვრებთა რიცხვი კატასტროფულად შემცირდა, ზოგიერთი მხარე მოსახლეობისაგან სავსებით დაიცალა. „აღარ დაშთა მსახლობელნი მუხრანს, ქართლს და საციციანოს და ადგილ საბარათიანოს სომხითაც თვინიერ სიმაგრეთა"[5]. — წერს ვახუშტი 1730 წლისათვის. მოსახლეობა სამცხე-ჯავახეთში სახლდებოდა. შედარებით დამშვიდებული ეს მხარე თანდათან მოშენდა[6], „აღაშენდა სამცხე

---

[3] შ. ლ ო მ ს ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

[4] იქვე.

[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 137.

[6] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 155.

და ჯავახეთი მუნიდამ, ვინაიდან გადმოშენდნენ და გამდიდრნეცა ბეგნი, აღაი, ბეგნი და ფაშანი ხვეჭითა მითითა"[7].

1723 წლიდან 1735 წლამდე, როგორც დავინახეთ, ქართლი ოსმალთა მძიმე უღელქვეშ იყო მოქცეული, რომელიც არანაკლებ მძიმე ყიზილბაშობამ შესცვალა.

2. XVIII ს. ოსმალეთის სამონეტო საქმის ზოგადი მიმოხილვა

მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ოსმალეთის სამონეტო საქმეში XVII ს. 80-იანი წლებიდან დაიწყო, გაგრძელდა XVIII საუკუნეშიც.

XVIII ს. I მესამედში იჭრება ვერცხლის მსხვილი ნომინალის—ყურუშის ახალი შემადგენელი ერთეულები.

აჰმედ III-მ (1703—1730) განახორციელა ბეშლიქისა და ონბეშლიქის ემისია[8]. ეს მონეტები ჰიჯრის 1115 წ. მოიჭრა კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში[9].

ბეშლიქი შეადგენდა 200 ფარას[10], ხოლო ონბეშლიქი — 15 ფარას[11]. ვინაიდან ფარას წონა ამ დროს იყო 0,58—0,64 გ, ბეშლიქის და ონბეშლიქის წონითი მაჩვენებლები შესაბამისად იყო 2,9,—3,2 გ და 4,5 გ[12].

ა. შაენდლინგერის მითითებით აბდალ-ჰამიდ I (1774—1789) დროს მოიჭრა ნომინალი, რომელიც ერთნახევარ ყურუშს შეადგენდა[13]. ის იყო სამოცი ფარა და ალთმიშლუხი ეწოდებოდა, მაგრამ იგივე ავტორი სხვაგან, სხვადასხვა წლებში მოჭრილი მონეტების ცხრილში, არაერთხელ მიუთითებს, რომ სამოცფარიანი ნომინალის ემისია წარმოებდა უკვე მუსტაფა III-ს (1757—1774) დროს — კონსტანტინოპოლისა და ისლამბულის ზარაფხანების მითითებით[14].

XVII ს. ბოლოს და XVIII ს. მთელ მანძილზე ჩატარებული

---

[7] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, ჩუბინოვის გამ., სანქტ-პეტერბ. 1854, გვ. 175.

[8] A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

[9] იქვე, გვ. 115.

[10] იქვე, გვ. 64—65.

[11] იქვე.

[12] იქვე, გვ. 73.

[13] იქვე, გვ. 64.

[14] იქვე, გვ. 121—122.

რეფორმების შედეგად ყურუშის და მასთან დაკავშირებული ერთეულების ერთობლიობამ ასეთი სახე მიიღო:

1 ყურუში = 2 ირმილიქის = 4 ონლუქს = 8 ბეშლიქს

$1\frac{1}{2}$ ყურუში = ალთმიშლიხს.

XVIII ს-ში ფარასა და ახჩას ურთიერთმიმართულება იყო 1:3. ეს ურთიერთმიმართება დამყარდა აჰმედ I დროს[15].

ფარას წონითი სტანდარტი აჰმედ III ხანაში, როგორც აღინიშნა, 0,58—0,64 გ შორის მერყეობდა, სინჯი კი 68—70%. ოსმან III (1754—1757) დროს 0,58 გ, მუსტაფა III (1757—1774) დროს 0,25—0,42 გ. ასევე მერყეობს ახჩის წონითი მაჩვენებლები XVIII ს. მთელ მანძილზე[16].

აჰმედ III-ს დროს ახჩას წონითი სტანდარტი 0,19—0,32 გ-ზე მოდის, სინჯი კი 68—70%. ოსმან III-ს და მუსტაფა III-ს დროს მისი წონა 0,12 გ, ხოლო აბდალ ჰამიდის ზეობის წლებში — 0,19 გ[17].

1 ყურუში XVIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის 120 ახჩას შეადგენდა[18].

მუსტაფა II-ს (1695—1703) დროს დაიწყო და აჰმედ III-ს დროს დამთავრდა ოქროს სამონეტო რეფორმა.

ამიერიდან, XVIII ს. მთელ მანძილზე ოსმალეთში იჭრება ორი ტიპის მონეტა. ერთია ფინდიკ ალთუნი, რომლის წონაც საშუალოდ იყო 3,5 გ, ხოლო სინჯი 93—99%, მეორე უფრო მსუბუქი მონეტა, ზერ-ი მაჰბუბი, რომლის წონაც იყო 2,6 გ[19].

ზერ-ი მაჰბუბის ემისია პირველად ჰიჯრის 1113 (1701—1702) წ.[20] განხორციელდა მისრის ზარაფხანაში. ფინდიკ ალთუნის კი—1115 (1703) წწ.[21] ამ წლითაა აღნიშნული, მაგრამ აჰმედ III ზეობის სხვადასხვა წლებშია მოჭრილი ისლამბულის, თავრიზის, თბილისის, ერევნის, ტარაბულუსის, განჯას და სხვ. ფინდიკ ალთუნები[22].

სპილენძის ფულის ერთეულად რჩება მანგირი, ახჩა-მანგი-

---

[15] A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.
[16] მაჩვენებლები აღებული გვაქვს A. C. Schaendlinger-ის წიგნიდან გვ. 73.
[17] A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 73—74.
[18] იქვე, გვ. 64.
[19] იქვე, გვ. 60.
[20] A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 60, 69.
[21] იქვე, გვ. 69, 115.
[22] იქვე, გვ. 115.

რის მიმართება ადრეულ ხანებში იყო 8—16, მოგვიანებით—24—32, 40 და 48 მანგირი ერთ ახჩაში[23].

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ოსმალეთის იმპერიაში იჭრებოდა კიდევ სხვა ნომინალებიც, მაგრამ ჩვენ ყურადღებას ვაჩერებთ მხოლოდ იმ ერთეულებზე, რომელთა გავრცელება და გამოყენება დადასტურებული გვაქვს XVIII ს. საქართველოს ფულის მიმოქცევაში.

3. XVIII ს. ოსმალური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში

XVIII ს-ში XVI—XVII საუკუნეებთან შედარებით, ოსმალური მონეტა განძებში თუ ცალკეული ეგზემპლარების სახით საქართველოს ტერიტორიაზე უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი. ამის ნათელი ილუსტრაციაა ქვემოთ მოტანილი ტოპოგრაფია.

1. 1937 წელს ახალქალაქის რაიონის სოფ. მურჯახეთში, ძველი წისქვილის ნანგრევებში, ქვის ქვეშ აღმოჩნდა თიხის ქილა 355 ვერცხლის მონეტით. მონეტები ეკუთვნის: სულეიმან II-ს (1687—1691), აჰმედ III-ს (1703—1730) და მაჰმუდ I-ს (1730—1754)[24].

2. 1900-იან წლებში გორის მიდამოებში აღმოჩნდა XVIII საუკუნის თურქული მონეტების განძი. განძის შემადგენლობაში ყოფილა:

ა. აჰმედ III-ს (1703—1730) 29 თბილური ონლიქი.

ბ. მაჰმუდ I (1730—1754)[25].

3. 1909 წელს თბილისის მიდამოებში აღმოჩნდა განძი, რომლის შემადგენლობაში იყო ჰიჯრის 1115 (1703—1704) წ. აჰმედ III სახელით მოჭრილი ონლიქები[26].

4. 1935 წ. ქუთაისში ბაგრატის ტაძრის გალავანში, სხვადასხვა დროს, აღმოჩენილ იქნა XVIII საუკუნის თურქული მონეტები[27].

5. 1941—1943 წწ. დმანისის რაიონის დამბლუთის ხევში ოქროს ძიების დროს ნაპოვნი აჰმედ III-ს (1703—1730) ბეშლიქი დაიტოვა სამუშაოს უფროსმა ჯიოევმა[28].

---

[23] A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

[24] საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყ., გ. ფ. № 1873—2226.

[25] Е. Пахомов, Монетные клады, I, № 210.

[26] იქვე, № 209.

[27] Е. Пахомов, III, 1940, № 897.

[28] საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყ. კარტოთეკა.

6. 1892 წ. ქუთაისის რაიონის სოფ. ზარათში აღმოჩნდა სპილენძის ქვაბი, რომელშიც იყო 8 კილოგრამამდე თურქული ვერცხლის მონეტები. განძი თარიღდება 1703—1786 წლებით[29].

7. 1954 წ. აგვისტოში ხაშურის რაიონის სოფ. ნაბახტევში მიწის ხვნის დროს ტრაქტორმა ამოაგდო აჰმედ III-ს მიერ კონსტანტინოპოლში მოჭრილი ვერცხლის მონეტა[30].

8. 1959 წელს გორის რაიონს სოფ. ზღუდერში ორთუბნის ციხესთან მდ. ძამას ხეობაში არხის გაყვანის დროს ა. გაგლოევმა იპოვა XVIII ს. დასაწყისის თურქული ვერცხლის მონეტები[31].

9. 1959 წელს ხაშურში, ტელმანის ქ. № 19 ა. აბაშიძემ სახლის სარდაფში ქვევრისათვის მიწის თხრის დროს, დაახლოებით ორი მეტრის სიღრმეზე, იპოვა აჰმედ III-ს ყურუში, რომელიც საქართველოს სახ. მუზეუმში მოიტანა განსაზღვრისათვის და უკანვე წაიღო[32].

10. 1935 წ. გაზაფხულზე საჩხერის რაიონის სოფ. ქორეთის მიდამოებში ნაპოვნი მონეტებიდან მასწავლებელმა გოგიტაშვილმა აჰმედ III-ს 3 ახჩა და მუსტაფა III-ს ორი ყურუში სკოლის მუზეუმს გადასცა[33].

11. 1949 წ. თერჯოლის მიდამოებში აღმოჩნდა მაჰმუდ I-ს, მუსტაფა III-ს და აბდ ალ-ჰამიდ I-ს (1774—1789) 6 თურქული ახჩა[34], რომლებიც სახ. მუზეუმს გადაეცა.

12. 1958 წლის ზაფხულში ახალქალაქის რაიონის სოფ. კარწახში სანგრების თხრის დროს იპოვეს მაჰმუდ I-ს ერთი ყურუში[35].

13. 1941 წ. ქუთაისში კათოლიკეთა ეკლესიის ეზოში თავშესაფარის თხრის დროს აღმოჩნდა XVIII საუკუნის პირველი ნახევრის 21 ოქროს მონეტა; მათ შორის 13 თურქული ალთუნი და რვა ვენეციური დუკატი.

ამ განძიდან თბილური ალთუნი ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში[36].

---

[29] Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, წ. I, 1926, № 229.

[30] საქ. სახ. მუზ. ნუმიზ. გ. ფ. № 9 123.

[31] იქვე, გ. ფ. № 11461—11466.

[32] იქვე, კარტოთეკა.

[33] იქვე, კარტოთეკა.

[34] იქვე, გ. ფ. № 5390—5396.

[35] საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყ. გ. ფ. № 9737. მ. ანთაძე, გიუმიშხანეში მოჭრილი იშვიათი თურქული მონეტები. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXVII—B, 1967.

[36] Е. Пахомов, დასახ. ნაშრომი, IV, 1949, № 1205; საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზ. განყ., გ. ფ. № 5086.

14. 1964 წ. 1 სექტემბერს ციხისძირში, შიდაციხის ბაზილიკის ჩრდილო ნავში, მიწის ზედაპირიდან 120 სმ სიღრმეზე, იპოვეს აჰმედ III-ს ახჩა. მონეტა განსაზღვრისათვის საქართველოს სახ. მუზეუმში მოიტანა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელმა დ. ხახუტაიშვილმა და უკანვე წაიღო[37].

15. 1952 წ. ნოემბერში თბილისში ორთაჭალჰესის მშენებლობაზე მტკვრის ძველ კალაპოტში მოსწავლეებმა იპოვეს მუსტაფა III-ს (1757—1774) სპილენძის მონეტა და ისტორიის მასწავლებელს რ. ჩოჩიევს გადასცეს, რომელმაც მონეტა განსაზღვრისათვის მუზეუმში მოიტანა და უკანვე წაიღო[38].

16. 1869 წ. გაგრის რაიონის სოფ. ბიჭვინთაში ეკლესიის რესტავრაციის დროს აღმოჩნდა სულთან აბდალ ჰამიდ I-ს (1774—1789) ვერცხლის მონეტა, მოჭრილი მისრში, ჰიჯრის 1187 (1774) წ. მონეტა გადაეცა აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოების მუზეუმს[39].

17. 1900-იან წლებში ბათუმში ა/კ. რკინიგზის მეოთხე კილომეტრზე აღმოჩნდა თიხის ქილა — 106 თურქული ვერცხლის მონეტით, რომლებიც ოდესის ისტორიისა და სიძველეების საზოგადოებას გადასცეს. განძი შეიცავდა აბდალ ჰამიდ I-ს და სელიმ III-ს (1789—1807) სახელით მოჭრილ მონეტებს[40].

18. 1930 წ. გორის რაიონის სოფ. ტყვიავში გ. მერაბიშვილმა მიწის ხვნის დროს იპოვა სულთან აბდალ ჰამიდ I-ს (1774—1789) ვერცხლის მონეტა მოჭრილი კონსტანტინიაში. მონეტა მპოვნელს დარჩა[41].

19. 1935 წელს სოხუმში, ბაგრატის ციხის ნანგრევებში მოქ. ანძიბამ იპოვა სულთან აბდალ ჰამიდ I-ს სპილენძის მონეტა, რომელიც აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმს გადასცა[42].

20. 1958 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჭანჭათში ე. წულუკიძის საკარმიდამო ნაკვეთში მიწის დამუშავების დროს იპო-

---

37 საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზ. განყ. კარტოთეკა.

38 იქვე.

39 Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, II, 1938. № 531.

40 იქვე, I, 1926, № 237.

41 იქვე, IV, 1949. № 1213.

42 საქ სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების კარტოთეკა.

ვეს თხის კოჭობი, რომელშიც იყო XVIII საუკუნის თურქული ვერცხლის პატარა ზომის მონეტები[43].

21. 1950 წ. მახარაძის რაიონში ლიხაურის ციხესთან აღმოჩნდა განძი, რომელიც XVIII საუკუნის თურქულ ახჩებს შეიცავდა[44].

22. 1954 წ. 5 მარტს ახალქალაქის მახლობლად „ამირანის გორაზე" მიწის დამუშავების დროს ტრაქტორმა ამოაგდო ქოთანი, რომელშიც დიდი რაოდენობით ვერცხლის მონეტები იყო. მონეტები დაიტაცეს. მპოვნელს 24 ცალი ერგო და ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ჩააბარა[45].

23. 1936 წ. წალკის მიდამოებში ხრამის ხეობის ერთ-ერთ გამოქვაბულში 0,7 მ სიღრმეზე აღმოუჩენიათ XVIII საუკუნის თურქული ახჩა[46].

24. 1964 წ. სექტემბერში თელავის მახლობლად ხევის მარცხენა ნაპირზე „პატარა ეკლესიის" გასუფთავების დროს აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ზემო ალაზნის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა XVIII ს. მეორე ნახევრის თურქული მცირე ზომის ვერცხლის მონეტა[47].

25. 1936 წ. მახარაძის რაიონში ყავრიშვილის მიერ ნაპოვნი სელიმ III-ს (1789—1807) მონეტა ინახება საქართველოს მუზეუმში[48].

26. 1939 წ. სამტრედიის რაიონის სოფ. იანეთში მიწის ხვნის დროს ა. კოპალეიშვილმა იპოვა სელიმ III-ს ორი მონეტა, რომელიც მუზეუმში განსაზღვრისათვის მოიტანა და უკანვე წაიღო[49].

27. 1955 წლის შემოდგომაზე ორჯონიკიძის რაიონის სოფ. ქვებისში დ. ყანდაშვილმა ვენახში მუშაობის დროს იპოვა სელიმ III-ს ყურუში. მპოვნელმა მონეტები მუზეუმში მოიტანა და უკანვე წაიღო[50].

28. 1967 წლის 15 სექტემბერს ცაგერის რაიონში, დაბა ცა-

---

43 იქვე, გ. ფ. № 9855—9938.

44 იქვე, კარტოთეკა.

45 საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყ. არსებული კარტოთეკა.

46 Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, III, 1940, № 908.

47 საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყ. კარტოთეკა.

48 იქვე, გ. ფ. №1677; Е. Пахомов, დასახ. ნაშრ., IV, 1949, № 1220.

49 Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, IV, 1949, № 1221.

50 საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზ. განყ. კარტოთეკა.

გერში ძველი ხიდის დუღაბების ნანგრევებში მოქ. ახვლედიანმა იპოვა სელიმ III-ს სახელით მოჭრილი ერთი თურქული მონეტა, რომელიც მპოვნელს დარჩა[51].

29. 1831 წ. ილორის ეკლესიასთან აღმოჩნდა XVII—XIX სს. თურქული ახჩის განძი. ამ განძის ნაწ. მოქ. ანძიბამ აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმს გადასცა[52].

30. 1916 წ. ბათუმის გარეუბანში თხრილის გათხრის დროს ნაპოვნი იყო ერთი ოქროსა და ვერცხლის რამდენიმე მსხვილი ოსმალური ნომინალი, რომლებიც პახომოვის აზრით XVIII—XIX საუკუნის მონეტები უნდა ყოფილიყო. მონეტები მპოვნელს დარჩა[53].

31. 1944 წ. 20 ივლისს საჩხერის რაიონის სოფ. კორბოულის მახლობლად ოქროს ძიების დროს ინჟინერმა ლობჟანიძემ იპოვა მაჰმუდ I-ს სახელით მოჭრილი მცირე ზომის ვერცხლის მონეტა და უკანვე წაიღო[54].

32. 1952 წ. ჩოხატაურის რაიონის სოფ. გორაბერეჟოულში ა. თავაძეს ჩაის პლანტაციის დამუშავების დროს უპოვია თურქეთის სულთან აბდალ ჰამიდის სახელით მოჭრილი 6 ყურუში. მონეტები მპოვნელს დარჩა[55].

33. 1959 წლის აგვისტოში კასპის რაიონის დაბა კასპის მიდამოებში ა. მირზოევმა იპოვა XVIII—XIX საუკუნეების ორი თურქული მონეტა და ამავე დროის სპარსული სპილენძის მონეტა, რომლებიც საქართველოს სახ. მუზეუმს გადასცა[56].

34. 1960 წ. ზაფხულში სვანეთში მოგზაურობის დროს ს. ხუციშვილმა იპოვა აბდალ ჰამიდ I-ს სპილენძის მონეტა, რომელიც მასთან ინახება[57].

35. 1960 წლის იანვარში თბილისში ფიოლეტოვის ქ. № 5-ში ბაღის ბარვის დროს ს. რიზოევმა იპოვა აბდალ ჰამიდ I-ს სპილენძის მონეტა, რომელიც განსაზღვრისათვის მუზეუმში მოიტანა და უკანვე წაიღო[58].

---

[51] საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზ. განყ. კარტოთეკა.

[52] საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმ. განყ. კარტოთეკა.

[53] Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, II, 1938, № 530.

[54] იქვე, V, 1949, № 1481.

[55] საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზ. განყ. კარტოთეკა.

[56] საქ. სახ. მუზეუმ. განყ. გ. ფ. № 1205—1207.

[57] ი ქ ვ ე, განყოფილების კარტოთეკა.

[58] ი ქ ვ ე.

36. 1963 წლის აგვისტოში თელავის რაიონის სოფ. ფშაველში მიწის დამუშავების დროს იპოვეს ქოცო, რომელშიც მოთავსებული იყო პატარა სურა მონეტებით, რომლებშიც ოთხი თურქული ფულიც ერია. განძი ინახება თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში[59].

37. 1967 წლის 23 დეკემბერს მოსკოვის პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმში მიუტანიათ 336 ცალი დაბალი ხარისხის ოსმალური ვერცხლის მონეტა, ნაპოვნი აფხაზეთში[60].

38. 1876 წ. ზუგდიდის რაიონის სოფ. ცხემის ეკლესიის მიდამოებში იპოვეს განძი, რომელიც 400 თურქულ მონეტასთან ერთად 115 კირმანეულს შეიცავდა[61].

39. 1907 წელს წყალტუბოს რაიონის კოპიტნარის მიდამოებში აღმოჩენილი იყო ვერცხლის მონეტების განძი 652 ც. განძში შედიოდა ტრაპიზონული ასპრები 16 ც. ერთი ბულგარული, ორი თურქული და 633 ც. დასავლურ-ქართული ფული — კირმანეული[62].

40. 1940-იან წლებში წულუკიძის რაიონის სოფ. ქუტირის მიდამოებში კოლმეურნე ს. ტყემალაძემ იპოვა დაბალი ხარისხის ვერცხლის წვრილი ფულის განძი, რომელიც 1949 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადასცა[63].

41. 1955 წლის ზაფხულში მანგლისის პიონერთა ბანაკში მიწის თხრის დროს ვ. კატკოვს უპოვია აბდალ ჰამიდ I-ს ყურუში. მპოვნელმა მონეტა მუზეუმში მიიტანა განსაზღვრისათვის და უკანვე წაიღო[64].

42. 1937 წ. ქუთაისის რაიონის სოფ. გეგუთის სასახლის არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი, ძალიან გაცვეთილი თურქული მონეტა. რუსთაველის მუზეუმს გადაეცა[65].

43. 1940-იან წლებში საგარეჯოში მიწის დამუშავების დროს ნაპოვნი თურქული სპილენძის მონეტა, მოჭრილი აბდალ ჰამიდის

---

[59] საქ. სახ. მუზ. ნუმიზ. განყ. კარტოთეკა.

[60] მონეტები ინახება მოსკოვის პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმში.

[61] Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, II. № 487.

[62] საქ. სახ. მუზ. ნუმიზმ. განყ. გ. ფ. № 5573—6223; Е. Пахомов, დასახ. ნაშრომი, წ. I, № 166; თ. აბრამიშვილი, დასავლურ-ქართული ფული კირმანეული. თბ., 1959.

[63] საქ. სახ. მუზ. ნუმიზ. განყ. გ. ფ. № 5391—5393.

[64] საქ. სახ. მუზ. ნუმიზმ. განყ. კარტოთეკა.

[65] Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, IV, № 1223.

სახელით, მუზეუმში მოიტანეს განსაზღვრისათვის და უკანვე წაიღეს[66].

44. 1960 წელს ქ. ახალციხის ძველ ნაწილში სახლის მშენებლობის დროს იპოვეს თიხის ჭურჭელი ვერცხლის მონეტებით. განძის შემადგენლობაში აღმოჩნდა 1620—1626 წწ. 3 ც. ავსტრიული ტალერი, XVI ს. დასასრულისა და XVIII ს. დასაწყისის სამოცამდე ესპანური პესო და ოსმალეთის სულთან აჰმედ III-ს (1703—1704) 6 ონლუქი[67].

45. 1948 წლის შემოდგომაზე მახარაძის რ-ნის სოფ. გომში ივანე მახარაძემ იპოვა 49 ვერცხლის მონეტა, რომელთაგან 19 ც. გადაეცა ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, დანარჩენი 30 ცალი კი დაცულია მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

46. 1975 წლის ივნისში ჭიათურის რაიონის სოფ. მანდაეთში „ცხევარის ღელის" მარჯვენა ნაპირზე, 80 სმ სიღრმეზე, საკოლმეურნეო ნაკვეთის დამუშავების დროს, მოსწავლეებმა იპოვეს თიხის ჭურჭელი, რომელშიც მოთავსებული იყო XVIII ს. ოსმალური ვერცხლის მონეტები, სულ 270 ცალი[68].

4. XVIII ს. ოსმალური მონეტების განძები საქართველოში

(განსაზღვრა-აღწერილობა)

წინა პარაგრაფში წარმოდგენილი ტოპოგრაფია გვიჩვენებს ოსმალური მონეტების გავრცელების ფართო არეალს XVIII ს. საქართველოში. ფიქსირებულია არაერთი მონეტისა და სამონეტო განძის აღმოჩენის შემთხვევა. სამწუხაროდ, რიგი განძებისა დღეისათვის აღარ არის ხელმისაწვდომი და ლიტერატურაში მათ შესახებ არსებული ცნობების გადმოცემით დავკმაყოფილდით. ამჯერად კი განვიხილავთ XVIII ს. ოსმალური მონეტების 9 განძს, რომლებიც აღმოჩენილია დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში. ესენია ქუთაისის, მურჯახეთის, ჭანჭათის, თერჯოლის, ლიხაურის, ახალქალაქის, გომის და ზღუდერის განძები.

---

[66] საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების კარტოთეკა.

[67] განძი ინახება ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

[68] 205 ც. გადაეცა ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, 35 ც. ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყ. განძ. ფ., 30 ც. დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

ქუთაისის განძი

საყურადღებოა 1941 წ. ნოემბერში ქ. ქუთაისში კათოლიკეთა ეკლესიის ეზოში, თავშესაფარის თხრის დროს ნაპოვნი XVIII ს. პირველი ნახევრის ოსმალური და ვენეციური ოქროს მონეტების განძი.

ეს განძი შედგებოდა 13 ალთუნისა და 8 ვენეციური დუკატისაგან. 13 ალთუნიდან 10 მოჭრილი ყოფილა სულთან აჰმედ III-ს მიერ ჰიჯრის 1115 (1703) წ. აქედან 8 კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში, ერთი მისრში და ერთიც თბილისში. სამი ალთუნი მოჭრილი ყოფილა სულთან მაჰმუდ I-ს მიერ ჰიჯრის 1143 (1730) წ. კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში. ეს მონეტები ქუთაისის რაიონულ კომიტეტს სახელმწიფო ბანკისათვის გადაუცია მოსკოვში თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად. თბილისური ალთუნი კი ხანგრძლივი მიწერ-მოწერის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისათვის დაუბრუნებიათ[69]. მოგვყავს ამ მონეტის აღწერილობა.

25. გ. ფ. № 5086. ალთუნი, ზომა 19 მმ, წონა 3,47 გ. შუბლი: მონეტის ცენტრში „თუღრა"—აჰმედ III-ს სახელის დაქარაგმება.

ზურგი: არაბული ზედწერილი სამ სტრიქონად.

صرب فى	მოიჭრა
تفليس	თბილისში
١١١٥	1115 წ.

ირგვლივ ორმაგი რკალი, წერტილოვანი და ხაზოვანი[70] (ტაბ. II, 25).

მურჯახეთის განძი

საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების განძების ფონდში დაცულია ოსმალური მონეტების ერთი მეტად მნიშვნელოვანი განძი, რომელიც 355 მონეტას შეიცავს. ეს განძი 1937 წლის შემოდგომაზე ახალქალაქის რაიონის სოფელ მურჯა-

---

[69] Е. Пахомов, დასახ. ნაშრომი, IV, 1949, № 1206; რ. ქებულაძე, საქართველოში ვენეციური ოქროს დუკატების მიმოქცევის საკითხისათვის, „მაცნე", № 4, თბ., 1965, გვ. 110; რ. ქებულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. გვ. 39—40.

[70] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 145, ტაბ. XIV, № 186.

ხეთში, ძველ ნაწისქვილარში, მიწის თხრის დროს, თიხის ქილაში აღმოაჩინა მოქ. თ. გაგლოევმა, ქილა დალეწეს, ხოლო განძი საქართველოს სახ. მუზეუმს გადასცეს[71].

სოფ. მურჯახეთი მდებარეობს ჯავახეთის ახალქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სამი-ოთხი კილომეტრის მოშორებით, მდ. ყერხ-ბულახის (ორმოცი წყარო) მარცხენა ნაპირას. იგი აღნიშნულია საქართველოს ისტორიულ რუკაზე დაბა-სოფლის ნიშნით[72].

ე. თაყაიშვილი ასევე ასახელებს მურჯახეთს ახალქალაქის სამხრეთით 4 კილომეტრის მოშორებით. აქ ყოფილა ძველი ეკლესია XVII საუკუნის მხედრული წარწერით[73].

1933 წ. ს. მაკალათიამ იმოგზაურა სამხრეთ საქართველოში, მოინახულა დიდი მურჯახეთი, პატარა მურჯახეთი მას ნანგრევებად ქცეული დახვედრია[74].

ძველი საისტორიო წყაროებიდან იგი მოხსენებულია ქართლის ცხოვრების პირველ ტექსტში ... „გარდავლეს მთა და მოუხდნენ ყუარყუარე ათაბაგს მუჯახეთს“[75]. როგორც საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, მურჯახეთი იმდენად ახლოს მდებარეობს ახალქალაქთან, რომ ზოგი ისტორიკოსი ცალკე არც კი იხსენიებს მას[76]. ახალქალაქზე გადიოდა ის დიდი სავაჭრო გზა, რომელსაც აკად. ივ. ჯავახიშვილი უწოდებს „გზასა ქართლისასა“ და რომელიც თბილისიდან თრიალეთ-თავფარავანზე გავლით ჯავახეთს უკავშირდება. ამ გზის გავლით მგზავრი მიაღწევდა კლარჯეთის გზას და მოხვდებოდა ვაჭრობით განთქმულ ცენტრ არტანუჯში, სადაც თავს იყრიდნენ სოვდაგრები სხვადასხვა, მახლობელი და შორეული ქვეყნებიდან[77]. რა თქმა უნდა, ამ გზასთან ახლო მდებარე მურჯახეთი ჩაბმული იქნებოდა ცხოველ სავაჭრო ურთიერთობაში, რომელიც იმ დროს იქ წარმოებდა.

---

[71] საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყ., გ. ფ. № 1873—2225; მ. ა ნ თ ა ძ ე, თურქული მონეტების მურჯახეთის განძი. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXVIII—B, თბ., 1969.

[72] საქართველოს ისტორიული რუკა ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ., 1923.

[73] Е. Т а к а н ш в и л и, МАК, М., 1906, გვ. 27—28.

[74] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938, გვ. 114.

[75] ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 354.

[76] ი ქ ვ ე, გვ. 497.

[77] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1948, გვ. 67.

სოფ. მურჯახეთი მნიშვნელოვანია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით. ის ჯავახეთის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს და მოხერხებულად უკავშირდება სამხრეთ საქართველოს დანარჩენ კუთხეებს. სოფლები დიდი, პატარა და შუა მურჯახეთი განლაგებული იყვნენ იმ გზების ახლოს, რომლებიც ძველი ჯავახეთის ზეგანს სერავდნენ. აღნიშნული სოფლები ქ. ახალქალაქთან განუყრელ კავშირში იყვნენ. თბილისი-თრიალეთის გარდა ახალქალაქიდან გზა ერთის მხრივ აბოც-სომხეთის მიმართულებით მიდიოდა, მეორეს მხრივ ჩილდირ-ერზერუმის მიმართულებით, მესამე გზით ახალციხე-დასავლეთ საქართველოში შეიძლებოდა ჩასვლა, ხოლო მეოთხე გზა კი ბაკურიან-ბორჯომის გავლით შიდა ქართლში ჩადიოდა.

პროფ. ს. ჯიქია მურჯახეთის შესახებ აღნიშნავს, რომ გურჯისტანის დიდი დავთრის შედგენის დროს „გურჯისტანის დავთარი" ოსმალო მოხელეებმა 1003 (1595) წელს შეადგინეს სამცხე-საათაბაგოზე გადასახადების გაწერის მიზნით. იგი მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტია, რადგან წარმოადგენს პირველხარისხოვან წყაროს XVI ს. დამლევის სამცხე-სათაბაგოს ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესასწავლად. მურჯახეთის სახელით სამი სოფელი ყოფილა ცნობილი.

დიდი მურჯახეთი	مرجخیت نرك
შუა მურჯახეთი	مرجخیت وسط
პატარა მურჯახეთი	مرجخیت کوچك

დიდ მურჯახეთში 9 კომლია აღრიცხული, პატარა მურჯახეთში—6, ხოლო შუა მურჯახეთი უკვე „დავთრის" დროსვე დაცარიელებულა[78]. მოსახლეობის ასეთი სიმცირე შედეგია იმ ისტორიული ძნელბედობისა, რაც ამ კუთხეს დაატყდა თავს. შემდეგ ამ სოფლების დაქვეითება გრძელდებოდა და ჩვენ დრომდე მოაღწია მხოლოდ ერთმა სოფელმა მურჯახეთმა. ს. ჯიქიას მოსაზრებით „მურჯახი" შეიძლება გვარეულობის სახელიც იყოს[79].

მურჯახეთის განძში თავმოყრილი მონეტები მოიცავს პერიოდს ჰიჯრის 1099—1143 წწ. ჩვ. წ. 1687—1730 წწ. და წარმოდგენილია შემდეგი სულთნების მონეტები.

---

[78] ს. ჯ ი ქ ი ა , გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. III, თბ., 1958, გვ. 334.

[79] იქვე, გვ. 335.

1. სულეიმან II	1099—1102	(1687—1691)
2. აჰმედ II	1102—1106	(1691—1695)
3. მუსტაფა II	1106—1115	(1695—1703)
4. აჰმედ III	1115—1143	(1703—1730)
5. მეჰმედ I	1143—1168	(1730—1754)

განძში წარმოდგენილია შემდეგი ნომინალები: ყურუში, ნახევარყურუში ანუ როგორც ოსმალურ ნუმიზმატიკაშია ცნობილი ირმილიქი, ონლიქი და ახჩა.

ეს მონეტები დროის არც თუ ისე დიდი ინტერვალით არიან ერთმანეთისაგან დაშორებულნი. განძის ყველაზე ადრეულ და გვიანდელ მონეტებს შორის სხვაობა დაახლოებით ნახევარი საუკუნეა. ყველაზე ადრეული, ჰიჯრის 1099 (1687) წ. დათარიღებული მონეტა განძში მხოლოდ ერთი ცალია. იგი ეკუთვნის სულთან სულეიმან II-ს.

მოგვყავს ამ მონეტის აღწერილობა.

26. საინვ. № 1966. ვერცხლი, ირმილიქი ზომა 29—30 მმ. წონა 9,60 გ.

შუბლი: ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

السلطان سليمان	სულთანი სულეიმანი
بن ابرهيم خان	ძე იბრაჰიმ ხანისა
عز نصره صرب فى	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
قسطنطينيه	მოიჭრა კონსტანტინიაში
١٠٩٩	1099 წელს.

ირგვლივ ხაზოვანი და შემდეგ წერტილოვანი რკალი.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

سلطان البرين	სულთანი ორი ხმელეთისა
و خاقان البحرين	და ხაკანი ორი ზღვისა
السلطان ابن	სულთანი ძე
السلطان	სულთანისა.

ირგვლივ ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი. (ტაბ. III, 26).

განძში მომდევნო სულთნის, აჰმედ II სახელით მოჭრილი ორი მონეტა აღმოჩნდა, ერთი ყურუში და ერთი ირმილიქი.

27. საინ. № 1895. ვერცხლი, ყურუში, ზომა 40 მმ, წონა 19,24 გ.

შუბლი: ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

سلطان احمد	სულთანი აჰმედი
بن ابراهيم خان	ძე იბრაჰიმ ხანისა
دام ملكه ضرب فى	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
قسطنطينية	მოიჭრა კონსტანტინიაში
١١٠٢	1102.

მონეტას გარს უვლის ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი.
ზურგი: მონეტის ცენტრში ოთხსტრიქონიანი ზედწერილი

سلطان البرين	სულთანი ორი ხმელეთისა და
و خاقان البحرين	ხაკანი ორი ზღვისა
السلطان ابن	სულთანი ძე
السلطان	სულთანისა.

ირგვლივ წერტილოვანი და ხაზოვანი რკალის ფრაგმენტებია შემორჩენილი (ტაბ. III, 27).

28. საინვ. № 1967. ირმილიქი. ვერცხლი
ზომა 28/29 მმ. წონა 9,52 გ.
შუბლი: ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

سلطان احمد	სულთანი აჰმედი
بن ابراهيم خان	ძე იბრაჰიმ ხანისა
دام ملكه ضرب فى	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
قسطنطينية	მოიჭრა კონსტანტინიაში
١١٠٢	1102 წ.

ირგვლივ ერთი ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი.
ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

سلطان البرين	სულთანი ორი ხმელეთისა
و خاقان البحرين	და მპყრობელი ზღვისა
السلطن ابن	სულთანი ძე
السلطان	სულთნისა.

ირგვლივ ერთი ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი. (ტაბ. III, 28).

განძში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სულთან მუსტაფა II, აჰმედ III-სა და მაჰმუდ I-ს სახელით მოჭრილი მონეტები.

სულთან მუსტაფა II-ს მონეტები განძში 109 ცალია და მოჭრილია მისი ზეობის სხვადასხვა წელს, თუმცა თარიღად მისი ზე-

ობის პირველი წელია აღებული. ამ მონეტებიდან 100 ცალი მოჭრილია კონსტანტინოპოლში. 7 — ქ. ედირნეში (ადრეანოპოლი), I — ერზერუმში, 1-ზე კი ზარაფხანა არ იკითხება. ეს უკანასკნელი ტიპით კონსტანტინოპოლში მოჭრილ მონეტას წააგავს. მუსტაფა II-ს მონეტები ტიპოლოგიურად ზემოაღნიშნული მონეტებისაგან არ განსხვავდება. მოგვყავს მათი აღწერილობა ნომინალებისა და ზარაფხანების მიხედვით.

29. საინვენ. № 1878. ვერცხლი, ყურუში,
ზომა 40 მმ, წონა 19, 30 გ.

შუბლი: ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

السلطان	სულთანი
مصطفى بن محمد خان	მუსტაფა ძე მუჰამედ ხანისა
دام ملكه صرب فى	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
قسطنطينيه	მოიჭრა კონსტანტინიაში
١١٠٦	1106 წ.

ირგვლივ ორმაგი რკალია — ერთი ხაზოვანი და ერთიც წერტილოვანი.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

سلطان البرين	სულთანი ორი ხმელეთისა
و خاقان البحرين	და მპყრობელი ორი ზღვისა
السلطان ابن	სულთანი ძე
السلطان	სულთნისა

ირგვლივ ორი ხაზოვანი და ერთი წერტილოვანი რკალი (ტაბ. III, 29).

30. საინვ. № 1970. ვერცხლი, ყურუში,
ზომა 36—38 მმ, წონა 18, 70 გ.

შუბლი: ისეთივე, როგორც დანარჩენი აღწერილი მონეტები, მხოლოდ მოჭრილია სხვა სიქით.

السلطان	სულთანი
مصطفى بن محمد خان	მუსტაფა ძე მუჰამედ ხანისა
دام ملكه صرب فى	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
قسطنطينيه	მოიჭრა კონსტანტინიაში
١١٠٦	1106 წ.

მონეტას შემოვლებული აქვს ერთი ხაზოვანი და ერთი წერტილოვანი რკალი.

ზურგი: ცენტრში არაბული ზედწერილი ოთხ სტრიქონად.

السلطان البرين	სულთანი ორი ხმელეთისა
و خاقان البحرين	და მპყრობელი ორი ზღვისა
السلطان ابن	სულთანი ძე
السلطان	სულთნისა.

ირგვლივ ხაზოვანი და წერტილოვანი რკალის ფრაგმენტები (ტაბ. IV, 30).

31. საინვ. № 2025. ვერცხლი, ირმილიქი,
ზომა 28 მმ, წონა 8,90 გ.

შუბლი: ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

السلطان	სულთანი
مصطفى بن محمد خان	მუსტაფა ძე მუჰამედ ხანისა
دام ملكه صرب في	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
قسطنطينيه	მოიჭრა კონსტანტინიაში
١١٠٦	1106 წ.

ირგვლივ ორმაგი რკალი, ხაზოვანი და წერტილოვანი.

ზურგი: ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

მუსტაფა II სამონეტო საქმეში შეიტანა ზოგიერთი ცვლილება. გახსნა ახალი ზარაფხანა ქ. სმირნაში (იზმირში) და განაახლა ადრეანოპოლის ზარაფხანის მოქმედება[80], სადაც ჯერ კიდევ XV საუკუნის დასაწყისში, კერძოდ მეჰმედ I-ს დროს (1402—1421), იჭრებოდა მონეტები.

32. საინვ. № 2042. ვერცხლი. ყურუში,
ზომა 37—38 მმ, წონა 18,76 გ (ტაბ. IV, 31)

შუბლი: ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი:

السلطان	სულთანი
مصطفى بن محمد خان	მუსტაფა ძე მუჰამედ ხანისა
دام ملكه صرب في	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
ادرنه	მოიჭრა ედირნეს
١١٠٦	1106 წ.

ირგვლივ ორი ხაზოვანი და ერთი წერტილოვანი რკალი.

ზურგი: არაბული ზედწერილი ოთხ სტრიქონად.

سلطان البرين	სულთანი ორი ხმელეთისა
و خاقان البحرين	და ხაკანი ორი ზღვისა

[80] А. А. Быков, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

السلطان ابن სულთანი ძე
السلطان სულთნისა.

ირგვლივ ორი ხაზოვანი და ერთი წერტილოვანი რკალი.

მესამე სტრიქონის ბოლო სიტყვის ابن ბოლო ასო ن -ში მოთავსებულია ء-ის მსგავსი ნიშანი. ამ ნიშნის მნიშვნელობის შესახებ სტენლი ლენ პული აღნიშნავს: კონსტანტინოპოლისა და სხვა ზარაფხანების მონეტები იძლევიან ინიციალური ასოების სხვადასხვაობას, რომლებიც მოთავსებული არიან სიტყვა ابن-ის თავზე ფორმულა B-ში, ავერსზე ან ضرب-ს თავზე ან თარიღის გვერდით რევერსზე. ეს ასოები შეიძლება მივიჩნიოთ ოფიციალური მოხელის, მმართველის, დიდი ვეზირის ან ზარაფხანის ოსტატის სახელად[81] (ტაბ. IV, 32).

33. საინვ. № 2043. ვერცხლი, ირმილიქი,
ზომა 28—29 მმ, წონა 10,41 გ.

შუბლი: ზედწერილი ხუთ სტრიქონად

السلطان სულთანი
مصطفى بن محمد خان მუსტაფა ძე მუჰამედ ხანისა
دام ملكه ضرب في ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
ادرنه მოიჭრა ედირნეს
١١٠٦ 1106 წელს.

ირგვლივ წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი.

ზურგი: ისეთივე როგორც ზემოაღწერილი მონეტები.

سلطان البرين სულთანი ორი ხმელეთისა
و خاقان البحرين და ხაკანი ორი ზღვისა
السلطان ابن სულთანი ძე
السلطان სულთნისა.

ირგვლივ ორი ხაზოვანი და ერთი წერტილოვანი რკალი (ტაბ. IV, 33).

არსებობს ცნობა, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ მურად III-ს (1574—1595), აჰმედ I-ს (1600—1617), მუსტაფა I-ს (1617—1618)—(1622—1623), მურად IV-ს (1623—1640) და მუს-

---

[81] Stanley-Lene-Poole. Catalog of oriental coine in the Britich myseum, vol. VIII. London, 1883, p. 38.

ტაფა II-ს (1695—1703) დროს ერზერუმში მოქმედებდა ზარაფხანა და სულთნის სახელით იჭრებოდა მონეტები[82].

ერზერუმი ძველთაძველი ქალაქია[83]. შექმნილი პოლიტიკური ვითარების მიხედვით იგი ხან არაბების, ხან ბიზანტიელების და სპარსელების ხელთ იყო. 1201 წელს იგი სელჩუკებმა დაიპყრეს. 1247 წელს მონღოლები იმორჩილებენ. 1472 წელს ამ კუთხეს სპარსელები დაეპატრონენ, ხოლო 1522 წლიდან იგი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაშია, როგორც საფაშალიკო ერთეული. აქ მჯდომ ფაშას და სერასკერს ემორჩილებოდნენ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მყოფი ფაშები და მათ შორის ახალციხის ფაშაც.

ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით ერზერუმში ზარაფხანის არსებობა სელჩუკების დროიდან დასტურდება. სელჩუკების მიერ მოჭრილი პირველი მონეტა ჰიჯრის 607 (1210—1211) წ. თარიღდება[84].

ოსმალეთმა ამ მხარის დამორჩილებისთანავე გაავრცელა თავისი უფლებები. 1590 წლის საზავო ხელშეკრულების შემდეგ მურად III ამიერკავკასიის მფლობელის როლში გვევლინება. იგი ჭრის ფულს ერზერუმის, თავრიზის, შემახას და განჯის ზარაფხანებში. ერზერუმის ზარაფხანას არც შემდეგ წლებში შეუწყვეტია მოქმედება. ჩვენს განძში დაცულია ჰიჯრის 1106 წ. დათარიღებული მონეტა. მოგვყავს ამ მონეტის აღწერილობა.

34. საინვ. № 2044. ვერცხლი, ყურუში,
ზომა 36—38 მმ, წონა 18, 76 გ.

შუბლი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი:

السلطان	სულთანი
مصطفى بن محمد خان	მუსტაფა ძე მუჰამედ ხანისა
دام ملكه صرب في	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
ارصزروم	მოიჭრა ერზერუმს
١١٠٦	1106 წ.

ირგვლივ ორი ხაზოვანი და ერთი წერტილოვანი რკალი.

ზურგი: არაბული ზედწერილი ოთხ სტრიქონად:

---

[82] A. C. Schanedlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 28, III.

[83] იგი შეესატყვისება ძველ სომხურ ქალაქ კარინს. 1047 წელს კარინის მახლობლად მდებარე უძველესი ქალაქი არზანი სპარსელებმა სასტიკად ააოხრეს. აქ მცხოვრები ხალხი გადასახლდა კარინში და შეარქვეს მას თავიანთი ქალაქის სახელი—არზან-არ-რუმი (შემდეგში ერზერუმი).

[84] E. Zambaur, die münzpragungen des islams I. Wenbaden, 1968, s. 42.

سلطان البرين	სულთანი ორი ხმელეთისა
و خاقان البحرين	და ხაკანი ორი ზღვისა
السلطان ابن	სულთანი ძე
السلطان	სულთნისა.

სტრიქონებს შორის ვარდულებია გაბნეული. ირგვლივ შემოვლებული აქვს ორი ხაზოვანი და ერთი წერტილოვანი რკალი (ტაბ. IV, 34).

განძში სულთან აჰმედ III-ს (1703—1730) სახელით მოჭრილი 155 მონეტიდან დიდი ნაწილი ქ. კონსტანტინოპოლის ზარაფხანისაა, მაგრამ, როგორც გამონაკლისი, გვხვდება თბილისსა და განჯაში მოჭრილი მონეტებიც. მოგვაქვს წამყვანი ტიპების აღწერილობა.

35. საინვ. № 1903. ვერცხლი: ყურუში.
ზომა 35 მმ. წონა 19,35 გ.
შუბლი: ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

السلطان	სულთანი
احمد بن محمد خان	აჰმედი ძე მუჰამედ ხანისა
دام ملكه صرب فى	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
قسطنطينيه	მოიჭრა კონსტანტინიაში
١١١٥	1115 წელს.

ირგვლივ ერთი ხაზოვანი და ერთ წერტილოვანი რკალი.
ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

سلطان البرين	სულთანი ორი ხმელეთისა
و خاقان البحرين	და ხაკანი ორი ზღვისა
السلطان ابن	სულთანი ძე
السلطان	სულთნისა.

ირგვლივ ერთი წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი (ტაბ. V, 35).

36. საინვ. № 1907. ვერცხლი, ყურუში,
ზომა 39 მმ, წონა 26,33 გ.

შუბლი: ცენტრში რთული მონოგრამა ეგრეთ წოდებული „თუღრა“, მის ქვემოთ მოჭრის ადგილი და თარიღი ჰიჯრით.

صرب فى	მოიჭრა
قسطنطينيه	კონსტანტინიაში
١١١٥	1115 წ.

მონეტაზე გაბნეულია ვარდულები. ირგვლივ წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი არაბულად

سلطان البرين	სულთანი ორი ხმელეთისა
و خاقان البحرين	და ხაკანი ორი ზღვისა
السلطان ابن	სულთანი ძე
السلطان	სულთნისა.

ირგვლივ ორი ხაზოვანი და ერთი წერტილოვანი რკალი.

მურჯახეთის განძში ყურუშების და ირმილიქების გარდა გვხვდება ფულის ყველაზე მცირე ნომინალი — ახჩა. ეს ნომინალი ოსმალეთში ფულის ძირითად და ამავე დროს უკნინეს ერთეულს წარმოადგენდა და მიუხედავად მისი თანდათანობითი გაუფასურებისა, იგი ფულის ძირითად ერთეულად ითვლებოდა და XVIII საუკუნეშიც იჭრებოდა.

მოგვაქვს განძში არსებული ახჩის აღწერილობა (ტაბ. V, 36).

37. საინვ. № 2161. ვერცხლი, ახჩა,

ზომა 15 მმ, წონა 0,64 გ.

შუბლი: ცენტრში რთული მონოგრამა „თუღრა“, ირგვლივ წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი.

ზურგი: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

ضرب في	მოიჭრა
قسطنطينيه	კონსტანტინიაში
١١١٥	1115 წ.

ჩვენს საკვლევ განძში დაცულია თბილისში მოჭრილი მონეტების რამდენიმე ეგზემპლარი.

ვიძლევით ამ მონეტათა აღწერილობას (ტაბ. V, 37).

38. საინვ. № 2162. ვერცხლი, ონლიქი,

ზომა 19 მმ, წონა 0,52 გ.

შუბლი: მონეტის ცენტრი „თუღრა“, მის ქვემოთ ზედწერილი სამ სტრიქონად.

ضرب في	მოიჭრა
تفليس	თბილისში
١١١٥	1115 წელს.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

سلطان البرين სულთანი ორი ხმელეთისა
و خاقان البحرين და ხაკანი ორი ზღვისა
سلطان ابن სულთანი ძე
السلطان სულთნისა.

ირგვლივ ორმაგი რკალი, ხაზოვანი და წერტილოვანი (ტაბ. V, 38).

როგორც ვიცით ირანსა და ოსმალეთს შორის 1590 წელს დადებული შეთანხმების შედეგად ირანმა სცნო თურქეთის ბატონობა მთელს ამიერკავკასიაზე. თურქეთის ხელში აღმოჩნდა დიდი სავაჭრო სახელოსნო ქალაქები: ბაქო, თავრიზი, ნახჩევანი, განჯა, ყარაბახი, შირვანი, დარუბანდი, შემახა. განჯასა და შემახაში სულთანმა თავისი სახელით მოაჭრევინა მონეტები. განძში განჯაში მოჭრილი ერთი ონლიქი მოიძებნება, რომელიც განსხვავდება თბილისში მოჭრილი ონლიქისაგან.

39. საინვ. № 2163. ვერცხლი, ონლიქი,
ზომა 18 მმ, წონა 2,63 გ.

შუბლი: მონეტის ცენტრში „თუღრა“.

ზურგი: ზედწერილი სამ სტრიქონად:

ضرب في მოიჭრა
گنجي განჯაში
١١١٥ 1115 წ.

მონეტას გარს უვლის ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი. ტაბ. V, 39).

მურჯახეთის განძის ყველაზე გვიანდელი მონეტა თარიღდება ჰიჯრის 1143 (1730) წ. მონეტები ეკუთვნის მაჰმუდ I (1730—1754) ეს მონეტები ძირითადად მოჭრილია კონსტანტინოპოლში. აქედან რვა ცალი მოჭრილია გიუმიშხანეს ზარაფხანაში.

გიუმიშხანე ტრაპიზონის საფაშალიკოს ერთ-ერთი ცენტრია. მართალია თურქებმა ტრაპიზონის საკეისრო 1461 წელს დაიპყრეს, მაგრამ ამ ტერიტორიაზე ამ ზარაფხანის არსებობა 1730 წლამდე არც წერილობითი წყაროებით და არც ფაქტიური ნუმიზმატიკური მასალით არ დასტურდება.

გიუმიშხანე ძველთაგანვე ქართული ტომებით ყოფილა დასახლებული[85]. და ცნობილი იყო ვერცხლისა და სპილენძის მდი-

[85] С. Заврие в, К новейшей истории восточных вилаиетов Турции, Тб., 1947, с. 166, 167.

დარი საბადოებით. განსაკუთრებით უხვად მოიპოვებდნენ აქ ვერცხლს. აქედან უნდა იყოს ხალდიის მთავარი ქალაქის ბერძნული დასახელება არგიროკასტრა[86]. თურქებმაც, ეტყობა ზუსტად თარგმნეს ამ ქალაქის ძველი სახელწოდება (گموش თურქულად ნიშნავს ვერცხლს) და მას გიუმიშხანე უწოდეს, რაც ვერცხლის ადგილსამყოფელს ნიშნავს. პროფ. გ. გოზალიშვილი აღნიშნავს, რომ ისტორიის მთელ მანძილზე სულ უკანასკნელ ხანამდე გიუმიშხანე განთქმული იყო თავისი ვერცხლის საბადოებით, რომ იგი ხალდიის მთავარი ქალაქი იყო და სახელი ვერცხლისაგან არის წარმოშობილი: „ეს ის რაიონია, სადაც უწინ ხალდებად წოდებული, შემდეგში კი ჭანებად მოხსენებული ქართველი ტომები ცხოვრობდა და რომ ეს რაიონი იყო მეტალურგიის პირველი კერა და რომელთანაც არის დაკავშირებული ხალიბთა ქვეყანაში ვერცხლის წარმოების შესახებ უძველესი ცნობები[87].

იბნ ბატუტამ იმოგზაურა XIV საუკუნის პირველ ნახევარში წინა აზიაში. აღნუსხა პუნქტები, რომლებიც განთქმული იყო წიაღისეული სიმდიდრეებით. გიუმიშხანე, — აღნიშნავს გორდლევსკი, — როგორც დასახელება გვიჩვენებს, ნიშნავს ვერცხლის საბადოს. ამიტომაც მიიზიდა ამ ქალაქმა ვაჭრები ერაყიდან და სირიიდან[88].

XVII საუკუნის განთქმული მოგზაური ევლია ჩელები გიუმიშხანეს საბადოების შესახებ წერს: „არც ერთ ქვეყანაში არ იყო ისეთი ვერცხლის მადანი, როგორიც აქაა, იმ დროს ქალაქს ეწოდებოდა გუმუშხანე, ოსმალეთის დავთარში ჯათიჯად ჩაიწერა. მთელი მოსახლეობა ყველა გადასახადისაგან განთავისუფლებულია და ვერცხლის მადნების დამუშავება ევალება. აქ სამოცდაათი ვერცხლის საბადოა, რომელთაგან ზოგი გაუქმებულია და ზოგიც მოქმედი. ქალაქ გიუმიშხანეს მადნეულის ძარღვები შვიდი ხელისგულის დადებაზე უფრო სქელია და ყველა ძარღვი ტყვიის შენარევის გარეშე, ხალასი განძია. ამ ქალაქის ემინის უბანში ზარაფხანაა. მაგრამ ამჟამად უქმადაა. მე ახლაც ვინახავ რამდენიმე ახჩას, რომელსაც აწერია: მოიჭრა ჯათიჯაში“[89].

---

[86] გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტელი, თბ., 1962, გვ. 79.

[87] იქვე, გვ. 179.

[88] В. А. Гордлевский, Избранные сочинения, т. III, М., 1962, с. 228.

[89] В. А. Гордлевский, Изб. соч. т. III, с. 225; ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 318—319.

ინგლისელი მოგზაური ვ. ჰამილტონი, რომელმაც იმოგზაურა 1835 წელს მცირე აზიასა და პონტოში, წერს — „გიუმიშხანეს ვერცხლის საბადოები უმნიშვნელოვანესია თურქეთის სამფლობელოში“[90]. მას პირადად უნახავს გიუმიშხანეს მახლობლად მაღარო, სადაც წარმოებდა მადნის ამოღება და დამუშავება.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ეს მხარე მოინახულა ფრანგმა მოგზაურმა თ. დეიროლმა, რომელსაც მადნის წარმოება მიტოვებული დახვედრია. ამის შესახებ იგი წერს: დამუშავება ვერცხლისა და ტყვიის მადნებისა, რისგანაც მიიღო ამ მხარემ თავისი სახელი, თითქმის მიტოვებულია. 1812 წ. მთავრობა აქედან იღებდა ყოველთვიურად ოცდაათიათას პიასტრს, ხოლო 1845 წელს აიღო არა უმეტეს ასი პიასტრისა, ამჟამად კი მადანს თითქმის არავითარი შემოსავალი არ მოაქვს[91].

ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ ეს მხარე ოსმალეთმა საფაშალიკოდ აქცია, დაჰყო სანჯაყებად, გაავრცელა თურქული კანონმდებლობა, ხელთ იგდო მადნის საბადოები, ხელი მიჰყო მათ დამუშავებას. როგორც ეტყობა, თურქეთის მთავრობამ მიზანშეწონილად ჩათვალა საბადოს მოპოვების ადგილზე ზარაფხანის ამოქმედება. არსებობს ცნობა, რომლის მიხედვით ჰიჯრის 1106 (1694) წ. საბადოს მოპოვების ადგილზე უნდა მოჭრილიყო მონეტა, მაგრამ მთავრობას სასწრაფოდ დასჭირვებია სპილენძი და გიუმიშხანეში გაუგზავნია ბრძანება და ამ წელს მონეტა არ მოჭრილა[92]. აჰმედ ბეფიკის ცნობით XVI საუკუნეში გიუმიშხანეში იჭრებოდა ოქროს მონეტაც[93].

გიუმიშხანეს ზარაფხანის პროდუქცია დღემდე ნაკლებად იყო ცნობილი. გიუმიშხანეში მოჭრილი მონეტის არსებობის შესახებ ჩვენს შეკითხვაზე ცნობილმა ნუმიზმატმა ა. ბიკოვმა გვაცნობა, რომ ისეთ დიდი ნუმიზმატიკურ საცავში, როგორიცაა ერმიტაჟი, მას ამდაგვარი მონეტა არ შეხვედრია. ირკვევა აგრეთვე, რომ ამ ქალაქში მოჭრილი მონეტა არც მოსკოვის ისტორიულ მუზეუმშია დაცული. პროფ. ე. პახომოვის უმდიდრეს კოლექციაში ასეთი მონეტა მხოლოდ ერთი აღმოჩნდა. ჩვენს ხელთ არსებულ ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში გიუმიშხანე მოხსენებული აქვს კონდ-

---

[90] W. T. Hamilton, Boisen in kleinson pontos. Leipzig, 1843, s. 162.
[91] Т. Дейрол, Путешествие в Лазистана и Армению, с. В9.
[92] В. А. Гордлевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 246.
[93] იქვე, გვ. 261.

რიკტონს ზარაფხანათა სიაში[94]. ცნობილ თურქოლოგს, ისმაილ ჰალებს ოსმალური მონეტების კატალოგში გიუმიშხანეში მოჭრილი მონეტა ერთ ცალად აქვს აღნიშნული და ფოტორეპროდუქცია ტაბულაზე მოცემული არა აქვს[95]. იგი მოჭრილია ჰიჯ. 1143 (1730) წ.

მურჯახეთის განძში გიუმიშხანეს ზარაფხანაში მოჭრილი 8 მონეტაა მოხვედრილი, რომელთაგან 3 ყურუშია და 5 ირმილიქი[96].

ვიძლევით სანიმუშო ცალების აღწერილობას.

40. საინვ. № 2223. ვერცხლი, ყურუში,
წონა 25, 72 გ, ზომა 39 მმ.

შუბლი: მონეტის ცენტრში „თუღრა", მის ქვემოთ ზედწერილი სამ სტრიქონად.

صرب في	მოიჭრა
كمشخانه	გიუმიშხანეს
١١٤٣	1143 წ.[97]

მონეტის არეზე გაფანტულია ვარდულები. ირგვლივ ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

سلطان البرين	სულთანი ორი ხმელეთისა
و خاقان البحرين	და ხაკანი ორი ზღვისა
السلطان ابن	სულთანი ძე
السلطان	სულთნისა.

ზედწერილის მესამე სტრიქონის ابن სიტყვის ზემოთ მოთავსებულია არაბული ასო ع, რომლის მნიშვნელობა ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება. ირგვლივ ორმაგი რკალია — ხაზოვანი და წერტილოვანი (ტაბ. V, 40).

---

[94] C. Condrington. A. Manual of Musalman numismatic. London, 1940. p. 182.

[95] ისმაილ ჰალები, ოსმალური მონეტების კატალოგი, გვ. 291, № 702.

[96] საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყ., გ. ფ. № 1952, 2220—2226; მ. ანთაძე, გიუმიშხანეში მოჭრილი იშვიათი თურქული მონეტები, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XXVII—B, თბ., 1967, გვ. 195—201.

[97] اسماعيل غالب დასახ. ნაშრომი, გვ. 291, № V. F

41. საინვ. № 2225. ვერცხლი, ირმილიქი,
ზომა 32 მმ, წონა 12,90 გ.

შუბლი: მონეტის ცენტრში მაჰმუდ I „თუღრა“, მის ქვემოთ მოჭრის ადგილი და თარიღი.

ضرب في	მოიჭრა
كمشجابه	გიუმიშხანეს
١١٤٣	1143 წ.

ზურგი: სულთნის ამაყი ტიტული და მედიდური ეპითეტი ოთხ სტრიქონად, ისეთივე როგორც ზემოაღწერილ მონეტაზე. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მესამე სტრიქონის ბოლო ابن სიტყვის თავზე მოთავსებულია ع ნიშანი, რომლის მნიშვნელობა, როგორც აღვნიშნეთ, გაურკვეველია. მონეტის არეზე გაფანტულია ვარდულები. გარშემო ორმაგი რკალი — წერტილოვანი და ხაზოვანი (ტაბ. VI, 41).

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ მაჰმუდ I დროს გიუმიშხანეს ზარაფხანა ჭრიდა მონეტებს და არც თუ ისე დიდი რაოდენობით, მიუხედავად ამისა, მისი პროდუქცია ორი ნომინალის — ყურუშისა და იგირმილიქის სახითაა ცნობილი. ინტერესმოკლებული არ არის ის გარემოება, რომ ამ მცირერიცხოვანი მასალის დიდი უმრავლესობა აღმოჩენილია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

ამრიგად, მურჯახეთის განძის ოსმალური მონეტების ქრონოლოგიური დიაპაზონი 67 წლით განისაზღვრება. იმ დროს არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების შედეგად ეს მონეტები ჩვენს ტერიტორიაზე ყოფილა ბრუნვაში და აქვე ჩაუფლავთ განძის სახით, განძის ჩაფლობა კი ყველაზე გვიანდელი მონეტის მიხედვით XVIII საუკუნის 50-იან წლებზე ადრე ვერ მოხდებოდა.

ჭანჭათის განძი

1958 წ. ლანჩხუთის რ-ნის სოფ. ჭანჭათში, ეკატერინე წულაძის საკარმიდამო ნაკვეთში, მიწის დამუშავების დროს, აღმოჩნდა თიხის კოჭობი, რომელშიც მოთავსებული იყო XVIII საუკუნის ოსმალური და ევროპული ვერცხლის მონეტები. განძის შემადგენლობა ასეთია:

1. პოლონეთის მეფის სიგიზმუნდ III-ს 2 ტალერი.

2. თურქეთის სულთან აჰმედ III-ს 24 ახჩა და მაჰმუდ I-ს 58 ახჩა[98].

სოფ. ჭანჭათი ლანჩხუთის რაიონშია[99]. ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიულ რუკაზე ეს სოფელი აღნიშნული არ არის[100]. როგორც ჩანს, იგი ისტორიული თვალსაზრისით რაიმე მნიშვნელოვან პუნქტს არ წარმოადგენდა. ვახუშტისაც არა აქვს ეს სოფელი ნახსენები. მას აღნიშნული აქვს მხოლოდ ლანჩხუთი. „რიონის თავზედ, სამხრეთის კიდესა ზედა, არს ფოთის ციხე, რომელი აღაშენეს ოსმალთა წელსა ჩღკე ქართლსა უიგ ნავსადგურობისათვის და დგანან მუნ მჯდომარის ფაშით. აქ ერთვის რიონს მცირე მდინარე და ამ ფოთის აღმოსავლეთით რიონის კიდესა ზედა არს ლანჩქუთი“[101].

ჭანჭათის განძის მონეტები ტიპოლოგიურად არ განსხვავდებიან ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი მონეტებისაგან.

42. გ. ფ. № 9857. ვერცხლი, ირმილიქი, ზომა 31 მმ, წონა 12,97 გ. შუბლი: მონეტის ცენტრში მოთავსებულია „თუღრა“, ქვემოთ მოჭრის ადგილი და თარიღი.

ضرب في	მოიჭრა
قسطنطينية	კონსტანტინიაში
١١١٥	1115 წ.

მონეტა შემკულია ვარდულებით, ირგვლივ ერთი წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი, სულთნის ძალისა და ძლიერების გამომხატველი

سلطان البرين	სულთანი ორი ზღვისა
و خاقان البحرين	და ხაკანი ხმელეთებისა
السلطان ابن	სულთანი ძე
السلطان	სულთნისა

---

98 რ. ქ ე ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

99 ჭანჭათის განძი სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე ცნობილი იყო როგორც ჭალკათის განძი (იხ: რ. ქ ე ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 121), მაგრამ ასეთი პუნქტი საქართველოში არ არსებობს. მისი ნამდვილი სახელია ჭანჭათი (იხ. საქართველოს სსრ ადმინისტრაციული დაყოფა თბ., 1966, გვ. 62—63).

100 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული რუკა, თბ., 1923.

101 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოისა (საქ. გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 174.

ირგვლივ ერთი წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი (ტაბ. VI, 42).

43. გ. ფ. № 9858. ვერცხლი, ახჩა, ზომა 16 მმ, წონა 0,61 გ.

შუბლი: მონეტის ცენტრში „თუღრა“.

ზურგი: მონეტის ცენტრში მოჭრის ადგილი და თარიღი

ضرب في	მოიჭრა
قسطنطينية	კონსტანტინიაში
١١١٥	1115 წ.

თარიღის შემდეგ იკითხება ასო ع დანარჩენ მონეტებზედაც გვხვდება ასოთა მოხაზულობა. რას უნდა ნიშნავდეს ეს დაბეჯითებით ამის თქმა არ შეგვიძლია. შესაძლებელია ხელოსნის ან ზარაფხანის აღმნიშვნელი ნიშანი იყოს (ტაბ. VI, 43).

განძში შედარებით მეტია სულთან მუჰამედ I-ს მონეტები.

44. საინვ. № 9879, ვერცხლი, ყურუში, ზომა 39 მმ, წონა 24,63 გ.

შუბლი: ცენტრში „თუღრა“, ქვემოთ მოჭრის ადგილი და თარიღი

ضرب في	მოიჭრა
قسطنطينية	კონსტანტინიაში
١١٤٣	1143 წ.

მონეტას გარს უვლის ორი წერტილოვანი რკალი

ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი

سلطان البرين	სულთანი ორი ზღვისა
و خاقان البحرين	და ხაკანი ხმელეთისა
السلطان ابن	სულთანი ძე
السلطان	სულთნისა

ირგვლივ ორი წერტილოვანი რკალი. ზედწერილის მესამე ხაზის ბოლო ასოს ن თავზე მოთავსებულია ٨ ნიშანი (ტაბ. VI, 44).

45. საინვ. № 9881. ვერცხლი, ახჩა,

ზომა 16—17 მმ, წონა 0,50 გ.

შუბლი: მონეტის ცენტრში „თუღრა“.

ზურგი: მონეტის ცენტრში მოჭრის ადგილი და თარიღი

ضرب في	მოიჭრა
مصر سنه	მისრში
١١٤٣	1143 წ.

პირველ ხაზზე სიტყვა ضرب ბოლო ასო ب-ში ჩასმულია ع ნიშანი მონეტას გარს უვლის წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი (ტაბ. VI, 45).

ჭანჭათის განძის მონეტები მეტად ერთფეროვანია. მოჭარბებულად გვხვდება მცირე ნომინალი—ახჩა. განძი გურიაში XVIII საუკუნის პირველ ნახევარშია შემოსული და ამავე საუკუნის მეორე ნახევარშია ჩაფლული.

თერჯოლის განძი

XVIII საუკუნით არის დათარიღებული 1949 წელს თერჯოლის მიდამოებში ნაპოვნი თურქული მონეტების განძი, რომლის შემადგენლობაშია: 1. მაჰმუდ I-ს სახელით მოჭრილი ჰიჯრის 1143 (1730—1731) წ. 2 ახჩა. 2. მუსტაფა III-ს სახელით მოჭრილი ჰიჯრის 1171 (1757—1758) წ. 2 ახჩა. 3. აბდალ ჰამიდ I-ს მიერ მოჭრილი ჰიჯრის 1187—1774) წ. 2 ახჩა. განძის სავარაუდო თარიღად XVIII საუკუნის მიწურული უნდა მივიჩნიოთ.

მოგვყავს სანიმუშო ცალების აღწერილობა

46. საინვ. № 5390 ა. ბილონი, ახჩა,

ზომა 15 მმ, წონა 0,34 გ.

შუბლი: მონეტა გაცვეთილია. ჩანს „თუღრა", ირგვლივ ერთი წერტილოვანი და ერთი ხაზოვანი რკალი.

ზურგი: სამსტრიქონიანი ზედწერილი.

ضرب في	მოიჭრა
مصر سنه	მისრში
١١٤٣	1143 წ.

47. საინვ. № 5390 ბილონი, ახჩა, ტაბ. VI, 46).

ზომა 14—15 მმ, წონა 0, 25 გ.

შუბლი: მონეტის ცენტრში „თუღრა".

ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი, მოჭრის ადგილი და თარიღი.

ضرب في	მოიჭრა
مصر سنه	მისრში
١١٧١	1171 წ. (ტაბ. VI, 47).

48. გ. ფ. № 5390[3] ბილონი. ახჩა.

ზომა 16 მმ. წონა 0,25 გრ.

შუბლი: მონეტის ცენტრში მოსჩანს „თუღრა", შეიმჩნევა წერტილოვანი და ხაზოვანი რკალის ფრაგმენტები

ზურგი: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

ضرب في	მოიჭრა
مصر سنه	მისრში
١١٨٧	1187 წ.

(ტაბ. VII, 48).

ლიხაურის განძი

1950-იან წლებში მახარაძის რაიონის სოფ. ლიხაურში აღმოჩნდა საკმაოდ მოზრდილი განძი, რომელიც თავის შემადგენლობით მეტად ფართო დიაპაზონისაა. აქ თავმოყრილია აჰმედ III-ს (1703—1730), მაჰმუდ I-ს (1730—1754), ოსმან III-ს (1754—1757), მუსტაფა III-ს (1757—1774) და სულთან აბდალ ჰამიდის (1774—1789) 362 მონეტა[102]. მუშაობის პროცესში მონეტები დავაჯგუფეთ ქრონოლოგიურად, დავყავით ჯგუფებად, ჯგუფები კი—ნვეჯგუფებად ზარაფხანებისა და მოჭრის თარიღის მიხედვით.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით ვიძლევით მონეტათა დახასიათებას და სანიმუშო ცალების აღწერილობას.

1. აჰმედ III-ს მონეტა განძში 10 ცალია. აქედან 7 მოჭრილია კონსტანტინოპოლში, 3—მისრში, ნომინალი — ფარა.

1) ვერცხლი, წონა 0,36 გ, ზომა 16 მმ.

შუბლი: ცენტრში „თუღრა“, ირგვლივ წერტილოვანი რკალი

ზურგი: არაბული ზედწერილი ოთხ ხაზად

ضرب في	მოიჭრა
قسطنطينيه	კონსტანტინიას
...د١١١٥	1115 წ.

თარიღს გვერდით უზის არაბული ასო د და ორი წერტილი. მონეტა ერთგან გახვრეტილია, შესაძლოა იგი სამკაულის როლს ასრულებდა მოგვიანებით (ტაბ. VII, 50) .

2) ვერცხლი, წონა 0,34 გ, ზომა 15 მმ.

შუბლი: ცენტრში „თუღრა“.

ზურგი: არაბული ზედწერილი ოთხ ხაზად.

ضرب في	მოიჭრა
مصر	მისრში
سنه	წელსა
١١١٥	1115

[102] განძი ინახება მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

II. სულთან მაჰმუდ I-ს სახელით მოჭრილი მონეტები განძში 47 ცალია. აქედან 19 მოჭრილია მისრში, 27 კი კონსტანტინოპოლში. I ძალზე გაცვეთილია. მოგვყავს სანიმუშო ცალების აღწერილობა.

1) ფარა, ვერცხლი, წონა 0,37 გ, ზომა 15 მმ.

შუბლი: „თურღა“.

ზურგი: ხუთსტრიქონიანი ზედწერილი.

ضرب في	მოიჭრა
مصر	მისრში
سنه	წელსა
١١٤٣	1143

ضرب სიტყვის ბოლო ასო ب მოთავსებულია არაბული ع ასო. მონეტას გარს უვლის ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი.

2) ფარა, ვერცხლი, წონა 0, 47 გ; ზომა 16 მმ.

შუბლი: „თურღა“ შემკული ვარდულებით

ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

ضرب في	მოიჭრა
قسطنطينيه	კონსტანტინიას
١١٤٣ ع	1143 წ.

თარიღს გვერდით უზის არაბული ასო ع. მონეტას გარს უვლის წერტილოვანი რკალი.

III. განძში ოსმან III-ს დროს მოჭრილი მონეტები სულ 5 ცალია. ოთხი მოჭრილია კონსტანტინიაში, ერთი კი მისრში.

1. ფარა. ვერცხლი, წონა 0,52 გ, ზომა 16 მმ.

შუბლი: „თურღა“.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

ضرب في	მოიჭრა
قسطنطينيه	კონსტანტინიაში
١١٦٧	1167 წელს

2. ფარა. ვერცხლი, წონა 0,37 გ, ზომა 15 მმ.

შუბლი: ცენტრში „თურღა“.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

ضرب في	მოიჭრა
مصر	მისრში
سنه	წელსა
١١٦٨	1168

ضرب სიტყვის ბოლო ასო ب ჩასმულია არაბული ص ირგვლივ წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი.

IV. სულთან მუსტაფა III-ს მონეტები განძში საკმაოდ ბევრია. აქედან 54 მონეტა მოჭრილია ისლამბულში.

ეს მონეტები თავისი შინაარსის მიხედვით შეიძლება შემდეგ ქვეჯგუფებად დავყოთ.

1) 2 მონეტა მოჭრილია მუსტაფა III-ს ტახტზე ასვლის 1 წელს
2) 3 ცალი „ მე-2 „
3) 1 „ „ მე-4 „
4) 2 „ „ მე-6 „
5) 3 „ „ მე-5 „
6) 1 „ „ მე-7 „
7) 8 „ „ მე-8 „
8) 2 მონეტა მოჭრილია მუსტაფა III-ს ტახტზე ასვლის მე-9 წელს
9) 4 „ ب თავზე მოთავსებულია რიცხვითი ნიშანი 81
10) 3 „ 82
11) 3 „ 83
12) 2 „ 85
13) 5 „ 86
14) 3 „ 87

15) 15 მონეტაზე არაფერი არ შეიმჩნევა მონეტათა გაცვეთის გამო. რაც შეეხება მისრში მოჭრილ მონეტათა რაოდენობას, 59 ცალით არის წარმოდგენილი აქედან:

1) 13 ცალი მოჭრილია სულთანის ტახტზე ასვლის 1 წელს
2) 5„ 6“
3) 3“ გვხვდება ასო س სიტყვა ضرب თავზე
4) 3“
5) 11“
6) “ რიცხვითი ნიშანი ٨٢ —82 სიტყვა ب თავზე
7) 1“ ٨٦ 86*
8) 18“ არაფერი არ იკითხება მონეტების გაცვეთილობის გამო.

მოგვყავს სანიმუშო ცალების აღწერილობა ჯგუფების მიხედვით:

ქ. ისლამბული. ტახტზე ასვლის 1 წელი

---

* შესაძლებელია ზარაფხანის ნომერი ან ხელოსნის ნიშანი იყოს.

1. ფარა, ვერცხლი. წონა 0,40 გრ. ზომა 16 მმ.
შუბლი; ცენტრში „თუღრა“
ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი

ضرب في	მოიჭრა
اسلامبول	ისლამბულში
١١٧١	1171
سنه	წელს

როგორც ზედწერილიდან ჩანს ضرب სიტყვის ბოლო ასო ب-ში მოთავსებულია რიცხვითი ნიშანი 1, რაც სულთნის ტახტზე ასვლის 1 წელს მიუთითებს. მონეტას გარს უვლის წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი.

2. ფარა, ვერცხლი, წონა 0,35 გ, ზომა 16 მმ.
შუბლი: მონეტის ცენტრში „თუღრა“.
ზურგი: ისეთივე ზედწერილი, როგორც ზემოთ აღწერილ ცალზე, მხოლოდ ضرب სიტყვის ბოლო ასო ب მოთავსებულია რიცხვითი ნიშანი ٢.
რაც სულთნის მეფობის მე-2 წელს უნდა ნიშნავდეს.

3. ფარა, ვერცხლი, წონა 0,38 გ, ზომა 15—16 მმ.
შუბლი: ცენტრში „თურღა“.
ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი

ضرب في	მოიჭრა
اسلامبول	ისლამბულში
١١٧١	1171
سنه	წელს

ضرب სიტყვის ბოლო ასო ب თავზე მოთავსებულია არაბული რიცხვითი ნიშანი ٤, რაც სულთნის გამეფების მე-4 წელს უნდა მიუთითებდეს. მონეტას გარს უვლის წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი.

4. ფარა, ვერცხლი, წონა 0,27 გ, ზომა 15 მმ.
შუბლი: ცენტრში „თურღა“.
ზურგი: ძალზე გაცვეთილია, მაგრამ შეიმჩნევა წარწერის ფრაგმენტები. მკაფიოდ მოჩანს ضرب სიტყვის თავზე მოთავსებული ნიშანი, რაც 5 ნიშნავს და სულთნის მეფობის მეხუთე წელზე მიუთითებს.

5. ფარა, ვერცხლი, ზომა 0,35 გ, წონა 15 მმ.

შუბლი: ცენტრში „თუღრა“.
ირგვლივ ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი
ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი

ضرب في	მოიჭრა
اسلامبول	ისლამბულში
١١٧١	1171
سنه	წელს

ضرب სიტყვა ب თავზე მოთავსებულია რიცხვი ٦—6, რაც მიუთითებს სულთნის მეფობის მე-6 წელზე.

ირგვლივ წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი.

6. ფარა, ვერცხლი, წონა 0,39 გ, ზომა 16 მმ.

შუბლი: სულთნის სახელის დაქარაგმება ე. წ. „თუღრა“.

ზურგი: ისეთივე ზედწერილი, როგორც ყველა ზემოთ აღწერილ მონეტაზე, მხოლოდ ب თავზე მოთავსებულია რიცხვითი მაჩვენებელი ٨—8, რაც სულთნის მეფობის მერვე წელს მიუთითებს

7. ფარა, ვერცხლი, წონა 0,43 გ, ზომა 15 მმ.

შუბლი: ისეთივე, როგორც ზემოთ აღწერილი მონეტები. ب თავზე V.

ზურგი: მოთავსებულია არაბული რიცხვითი ნიშანი — ٧ სულთნის მეფობის მე-7 წელი. ირგვლივ ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი.

8. ფარა, ვერცხლი, წონა 0,33 გ. ზომა 15 მმ.

შუბლი: მონეტის ცენტრში „თუღრა“.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზეწერილი

ضرب في	მოიჭრა
اسلامبول	ისლამბულში
سنه ١١٧١	1171 წ.

ضرب სიტყვის ბოლო ب ასოში მოთავსებულია არაბული რიცხვითი მაჩვენებელი ٨١—81, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს ეს რიცხვი ჩვენთვის ჯერჯერობით გაურკვეველია.

9. ფარა, ვერცხლი. წონა 0,38 გ, ზომა 15 მმ.

შუბლი: ისეთივე, როგორც № 8

ზურგი: ისეთივე, როგორც № 8, მხოლოდ ب თავზე მოთავსებულია არაბული რიცხვითი მაჩვენებელი ٨٢ 82

მონეტას გარს უვლის წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი

10. ფარა, ვერცხლი, წონა 0,49 გ, ზომა 16 მმ.

შუბლი: მონეტის ცენტრში რთული მონოგრამა, ე. წ. „თურღა“.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი

ضرب في	მოიჭრა
مصر	მისრში
سنه ١١٧١	1171 წ.

სიტყვის თავზე მოთავსებული რიცხვი I სულთნის მეფობის პირველ წელს უნდა მიუთითებდეს.

მონეტას გარს უვლის წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი.

11. ფარა, ვერცხლი, წონა 0,32 გ, ზომა 15 მმ.

შუბლი: მონეტის ცენტრში „თურღა“.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი

ضرب في	მოიჭრა
مصر	მისრში
سنه	წელსა
١١٧١	1171.

ضرب სიტყვის თავზე მოთავსებული რიცხვითი ნიშანი ٦ სულთნის მეფობის მე-6 წელს უნდა მიუთითებდეს, ხოლო ასოთა შერწყმა مد რას უნდა ნიშნავდეს გაურკვეველია. ასეთი ასოები ჩვენ ქვემოთ აღწერილ მონეტებზედაც შეგვხვდება. შესაძლებელია იგი ზარაფხანის პირობითი ნიშანი ან ხელოსნის ინიციალიც იყოს.

12. ფარა, ვერცხლი, წონა 0,36 გ, ზომა 16 მმ.

შუბლი: ისეთივე, როგორც მონეტა № 10

ზურგი: ისეთივე, როგორც № 12, მხოლოდ ب თავზე მოთავსებულია არაბული ასოები.

IV. სულთან აბდალ-ჰამიდის სახელით მოჭრილი მონეტები ჩვენს განძში 143 ცალია. აქედან კონსტანტინოპოლშია მოჭრილი 74 მონეტა, მისრში — 62, ხოლო 7 ცალზე ზარაფხანა არ იკითხება.

მოგვყავს სანიმუშო ცალების აღწერილობა.

13. ფარა. ვერცხლი. წონა 0,46 გ, ზომა 16 მმ.

შუბლი: სულთნის სახელის დაქარაგმება—„თურღა“.

ضرب في მოიჭრა
قسطنطينية კონსტანტინიაში
١١٨٧ 1187 წ.

ضرب სიტყვის თავზე მოთავსებულია რიცხვი I, რაც მიუთითებს იმაზედ, რომ მონეტა სულთნის მეფობის პირველ წელს არის მოჭრილი. მონეტას გარს უვლის ორი ხაზოვანი რკალი.

14. ფარა. ვერცხლი. წონა 0,24 გ, ზომა 15 მმ.

შუბლი: ისეთივე, როგორც № 13.

ზურგი: არაბული ზედწერილი სამ სტრიქონად

ضرب في მოიჭრა
قسطنطينية კონსტანტინიას
١١٨٧ 1187 წ.

ضرب სიტყვის თავზე ასო ب მოთავსებულია არაბული რიცხვითი ნიშანი 2, რაც სულთნის მეფობის მეორე წელზე უნდა მიუთითებდეს.

მონეტის ირგვლივ შეიმჩნევა ხაზოვანი და წერტილოვანი რკალის ფრაგმენტები.

ახალქალაქის განძი

XVIII საუკუნის ბოლო წლებს განეკუთვნება ახალქალაქის რაიონში, ამირანის გორაზე ნაპოვნი თურქული მონეტების განძი*.

1954 წლის 5 მარტს ახალქალაქის მახლობლად, „ამირანის გორაზე", მიწის სამუშაოების დროს ტრაქტორს ამოუგდია თიხის ქილა, რომელშიც ყოფილა დიდი რაოდენობით ვერცხლის მონეტები. მონეტები მუშებს დაუტაციათ. მპოვნელს რ. ჯანაევს 24 ცალი შეხვედრია და ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მიუტანია. განძის შესწავლის დროს გამოირკვა, რომ ბორჯომის მუზეუმს 10 მონეტა რიგის მუზეუმისთვის გადაუცია საჩუქრის სახით. დარჩენილი 14 მონეტა, რომელიც ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია, ეკუთვნის თურქეთის სულთან მუსტაფა III-სა (1757—1774) და აბდალ ჰამიდ I-ს (1774—1789).

ჯავახეთის „ამირანის გორა" ძველთაგანვეა ცნობილი. მას

* განძი ინახება ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

პირველად იხსენიებს ვახუშტი. იგი წერს: „აქ ახალქალაქ ზეით არს ამირანის გორა მტკვრის სამხრის კედელზედ“[103].

ეს მთა მდებარეობს ახალქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით მისგან 700 მ. მანძილზე. მთას სიმეტრიულად მომრგვალებული ფორმა აქვს. საკუთრივ მწვერვალი წარმოადგენს დიდ ფართობზე მოსწორებულ მოედანს. გორა 360 მეტრის სიმაღლისაა. მისი მწვერვალი ზღვის დონიდან 200 მეტრზე მაღლა მდებარეობს. იმ ადგილას, სადაც გადმოცემით ამირანის კერპი მდგარა, უკანასკნელ დრომდე დუღაბით ნაგები ციხის გალავნის საძირკველი და პატარა ეკლესიის უმნიშვნელო ნაშთები ყოფილა შემორჩენილი. სადღეისოდ ეს ქრისტიანული ძეგლები უკვე თითქმის მთლიანად გამქრალია[104].

სამცხე-საათაბაგოში თურქული ელემენტის გაძლიერებამ გამოიწვია ქრისტიანული ძეგლების მოსპობა-განადგურება და მათ ადგილზე მაჰმადიანური სალოცავების გაჩენა. რა თქმა უნდა, თურქული ელემენტის ესოდენ მომძლავრებამ თურქული ფულის სავაჭრო ურთიერთობაში ჩაბმა გამოიწვია, რაც კარგად შემოგვინახა მიწის წიაღმა განძების სახით.

წარმოვადგენთ ამირანის გორაზე ნაპოვნი მონეტების წამყვანი ტიპების აღწერილობას.

საინვ. № 1069/5*. ვერცხლი, ყურეში,
ზომა 39 მმ, წონა 18, 26 გ.

შუბლი: მონეტის ცენტრში „თურღა“, ირგვლივ წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი.

ზურგი: სამსტრიქონიანი ზედწერილი.

ضرب في	მოიჭრა
اسلامبول	ისლამბულს
١١٧١	1171 წ.

٧٣

სიტყვა ضرب ბოლო ასო ب-ში ჩასმულია რიცხვითი ნიშანი ٨٣—83.

საინვ. № 1070/5. ვერცხლი, ყურეში,
ზომა 42/45 მმ, წონა 19,52 გ.

შუბლი: ხუთსტრიქონიანი ზედწერილი

---

103 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

104 ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, ამირანის გორა, თბ., 1963, გვ. 14.

* საინვენტარო ნომერი ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისაა.

السلطان	სულთანი
عبدالحميد بن احمد خان	აბდალ ჰამიდი ძე აჰმედ ხანისა
دام ملكه ضرب في	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
قسطنطينيه	მოიჭრა კონსტანტინიაში
١١٨٧	1187 წ.

ზურგი: სულთნის ძლიერების გამომხატველი ტიტული ოთხ სტრიქონად.

سلطان البرين	სულთანი ორი ზღვისა
و خاقان البحرين	და მპყრობელი ხმელეთისა
السلطان ابن	სულთანი ძე
السلطان	სულთნისა.

ირგვლივ ხაზოვანი რკალი.

საინვ. № 1071/5. 3 ცალი. ეს მონეტებიც სულთან აბდალ ჰამიდ I ეკუთვნის და მოჭრილია იმავე წელს და იმავე ზარაფხანაში, როგორც ზემოთ აღწერილი მონეტა.

საინვ. № 1072/5. 2 ცალი, ვერცხლი, ყურუში, ზომა 42 მმ, წონა 19,73 გ.

შუბლი: ხუთსტრიქონიანი ზედწერილი

السلطان	სულთანი
مصطفى بن احمد خان	მუსტაფა ძე აჰმედ ხანისა
دام ملكه ضرب في	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
اسلامبول	მოიჭრა ისლამბულში
١١٧١	1171 წ.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი.

سلطان البرين	სულთანი ორი ზღვისა
و خاقان البحرين	და ხაკანი ხმელეთისა
السلطان ابن	სულთანი ძე
السلطان	სულთანისა

მესამე ხაზის ابن -სიტყვის ن -ში მოთავსებულია რიცხვითი ნიშანი. ٣. ირგვლივ ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი.

გომის განძი

XVIII საუკუნის 70—80-ანი წლებით თარიღდება გომის განძი. იგი ნაპოვნია 1948 წლის შემოდგომაზე მახარაძის რაიონის

სოფ. გომში ივანე მახარაძის მიერ. განძი შეიცავს 49 ვერცხლის მონეტას. აქედან 19 ცალი ინახება ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ჩვენ მთლიანად შევისწავლეთ ეს განძი. მონეტები ეკუთვნის სულთან აბდალ ჰამიდ I (1774—1789). ნომინალების მიხედვით თითქმის ერთგვაროვანია, გვხვდება ერთი ბეშლიქი. დანარჩენი ყურუშებია. ყველა ეგზემპლარი მოჭრილია კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში.

ვიძლევით სანიმუშო ცალების აღწერილობას.

1. ვერცხლი, ყურუში, ზომა 39 მმ. წონა 17,92 გ.

შუბლი: მონეტის ცენტრში „თუღრა", მის ქვემოთ მოჭრის ადგილი და თარიღი.

ضرب في	მოიჭრა
قسطنطينيه	კონსტანტინიაში
١١٨٧	1187 წ.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი.

سلطان البرين	სულთანი ორი ზღვისა
و خاقان البحرين	და მპყრობელი ხმელეთისა
السلطان ابن	სულთანი ძე
السلطان	სულთნისა.

მესამე ხაზის ბოლო ابن სიტყვის თავზე მოთავსებულია რიცხვითი ნიშანი. შესაძლებელია, რომ მონეტა სულთნის ზეობის მე-9 წელს მოუჭრიათ. მონეტას გარს უვლის ორი წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი.

2. ყურუში, ვერცხლი, წონა 26,22 გ, ზომა 42 მმ.

შუბლი: ამ მონეტის ზედწერილი განსხვავდება № 1 მონეტის შუბლის ზედწერილისაგან.

السلطان	სულთანი
عبدالحميد بن احمد خان	აბდალ ჰამიდი ძე აჰმედ ხანისა
دام ملكه ضرب في	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
قسطنطينيه	მოიჭრა კონსტანტინიაში
١١٨٧	1187 წ.

მონეტას გარს უვლის ხაზოვანი რკალი.

ზურგი: ისეთივე, როგორც № 1 მონეტის.

3. ვერცხლი, ბეშლიქი, ზომა 25 მმ, წონა 4,61 გ.

შუბლი: ცენტრში „თუღრა“, ქვემოთ მოჭრის ადგილი და თარიღი

ضرب فى	მოიჭრა
قسطنطينيه	კონსტანტინიაში
١١٨٧	1187 წ.

ზურგი: ისეთივე, როგორც ზემოთ აღწერილ მონეტებზე, მხოლოდ სიტყვის თავზე მოთავსებულია რიცხვითი ნიშანი 12. ირგვლივ წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი. დანარჩენი მონეტები ისეთივეა, როგორც № 1 აღწერილი მონეტა.

ზღუდერის მონეტები

XVIII ს. პირველი ნახევრით თარიღდება ზღუდერის 6 მონეტა, რომელიც 1959 წ. მდ. ძამას ხეობაში, ორთუბნის ციხესთან არხის გაყვანის დროს მილიციის რწმუნებულმა ა. გაგლოევმა იპოვა და საქართველოს სახ. მუზეუმს გადასცა საჩუქრად (გ. ფ. № 11461—11466). მონეტები ეკუთვნის: 1) აჰმედ III-ს (1703—1730) 2 ცალი: ერთი ონლიქი (№ 11461) მოჭ. თბილისში ჰიჯ. 1115 წ. და 1 ახჩა (11466), მოჭრილი კონსტანტინიაში ჰიჯ. 1115 წ. 2) მაჰმუდ I-ს (1730—1754) 4 მონეტა. (№ 11462—11465). აქედან ორი ონლიქი, მოჭრილი თბილისსა და განჯაში ჰიჯ. 1143 წ. (№ 11462—11463), ერთი ბეშლიქი მოჭ. თბ. 1143 წ. (№ 11464) და ერთი ახჩა მოჭრილი მისრში ჰიჯ. 1143 წ. (№ 11465).

ვიძლევით სანიმუშო ტიპების აღწერილობას.

აჰმედ III (1703—1730)

49. საინვ. № 11461. ვერცხლი, ონლიქი, ზომა 24—25 მმ, წონა 5,41 გ.

შუბლი: მონეტის ცენტრში „თუღრა“, მის ქვემოთ მოჭრის ადგილი და თარიღი.

ضرب فى	მოიჭრა
تفليس	თბილისში
١١١٥	1115 წ.

ირგვლივ წერტილოვანი რკალი.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი

سلطان و البحرين	სულთანი ორი ზღვისა
و حاقان البرين	და მპყრობელი ხმელეთებისა
السلطان ابن	სულთანი ძე
السلطان	სულთნისა.

მოთავსებულია რიცხვითი ნიშანი. მონეტას გარს უვლის ერთი წერტილოვანი რკალი (ტაბ. VII, 49).

მაჰმუდ I (1730—1754)

50. გ. ფ. № 11463. ვერცხლი, ონლიქი,
ზომა 22 მმ, წონა 5, 30 გ.

შუბლი: მონეტის ცენტრში სულთნის სახელის დაქარაგმება, გამოხატული „თუღრით".

ზურგი: სამსტრიქონიანი ზედწერილი.

صرب فى	მოიჭრა
كنجى	განჯას
١١٤٣	1143 წ.

მონეტას გარს უვლის ერთი ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი (ტაბ. VII, 50).

მანდაეთის განძი

1975 წლის ივნისში ჭიათურის რაიონის სოფ. მანდაეთში „ცხევარის ღელის" მარჯვენა ნაპირზე 80 სმ სიღრმეზე, საკოლმეურნეო ნაკვეთის დამუშავების დროს მოსწავლეებმა იპოვეს თიხის ჭურჭელი, რომელშიც მოთავსებული იყო ვერცხლის მონეტები. ისინი მპოვნელებმა გაინაწილეს. განძის თავმოყრა იკისრა მანდაეთის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ გერვასი მუმლაძემ და კოლმეურნეობის ბრიგადირმა ვასილ მუმლაძემ. მათი უანგარო მეცადინეობით შეგროვდა 270 ცალი მონეტა, რომლიდანაც 205 გადასცეს ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, 35—აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმს, ხოლო 30 ცალი ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული.

განძის ყველა მონეტა თურქულია, ვარდა ერთისა.

აღმოჩენის ადგილი, სოფ. მანდაეთი მდებარეობს ზემო იმერეთში ქ. ჭიათურის მარჯვენა მხარეს. ვახუშტი ბატონიშვილს ჭიათურა დასახლებულ პუნქტებს შორის აღნიშნული არა აქვს. იგი

ასახელებს საჩხერეს — „კვალად ჯრუჭის შესართავს ზეით ყვირილის სამხრით კიდეზედ არის საჩხერე“[105].

აკად. გიულდენშტედტი ზემო იმერეთს „ზემო ქვეყანას“ უწოდებს. სოფ. მანდაეთის შესახებ კი წერს: „საძალისხევსა და დუმალას შორის არის მოდინახე წერეთლის კუთვნილი კარგი ციხე, ცეცქი, მანდაეთი, ჩიხლაური და სხვა“[106].

მანდაეთის განძში, როგორც ითქვა, თურქული მონეტებია თავმოყრილი. მისი ქრონოლოგიური დიაპაზონია 85 წელი. ჰიჯრის 1115—1203 წწ. ე. ი. 1703—1788 წწ. და წარმოდგენილია შემდეგი სულთანის მონეტებით.

1. აჰმედ III	1115—1143	1703—1730
2. მაჰმუდ I	1143—1168	1730—1754
3. ოსმან III	1168—1171	1754—1757
4. მუსტაფა III	1171—1187	1757—1774
5. აბდალჰამიდ I	1187—1200	1774—1789
6. სელიმ III	1203—1222	1789—1807

განძში ორი ნომინალია: ფარა და ყურუში. როგორც ქრონოლოგიით ირკვევა, განძი XVIII ს. თარიღდება. მისი ჩაფლობის სავარაუდო თარიღად უნდა მივიჩნიოთ ამავე საუკუნის მიწურული.

აჰმედ III
(1115—1143 წწ.)

განძში აჰმედ III-ს სახელით კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში მოჭრილი 6 ახჩაა აღნუსხული.

ვიძლევით ერთი სანიმუშო ცალის აღწერა-დათარიღებას.

№ 1. ვერცხლი, ახჩა, წონა 0,49 გ, ზომა 14 მმ.

შუბლი: „თუღრა“.

ზურგი: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

ضرب في	მოიჭრა
قسطنطينية	კონსტანტინიას
سنه ١١١٥	1115 წ.

---

[105] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 156.

[106] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოც., თბ., 1962, გვ. 301.

ირგვლივ ხაზოვანი და წერტილოვანი რკალის ფრაგმენტები. დანარჩენი 5 ცალი ისეთივეა, როგორც ჩვენ მიერ აღწერილი მონეტა, იმ განსხვავებით, რომ ერთ მონეტას თარიღი შებრუნებით აზის. ვიძლევით ამ მონეტის აღწერილობას.

№ 3. ვერცხლი, ახჩა. წონა 0,50 გ, ზომა 13 მმ.
შუბლი: „თუღრა".
ზურგი: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

ضرب في	მოიჭრა
قسطنطينية	კონსტანტინიას
سنه ٥١١١	5111 წ.

ირგვლივ წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი. .

მაჰმუდ I
(1143—1168 წწ.)

მაჰმუდ I-ს სახელით მოჭრილი მონეტა განძში 16 ცალია. აქედან 6 მოჭრილია კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში, 10 ცალი კი მისრის ზარაფხანის პროდუქციას წარმოადგენს.

ვიძლევით სანიმუშო ცალების აღწერილობას.

№ 7. ვერცხლი, ახჩა, წონა 0,26 გ, ზომა 12 მმ.
შუბლი: „თუღრა".
ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

ضرب في	მოიჭრა
قسطنطينية	კონსტანტინიას
سنه ١١٤٣	1143 წ.

ირგვლივ წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი.

ოსმან III
(1168—1171 წწ.)

განძში ოსმან III-ს ერთი მონეტაა დაცული. ოსმან III-მ თავისი მეფობის სამი წლის მანძილზე მოჭრა ხუთი დასახელების ნომინალი: ალთუნი, ზერი მაჰბუბი, ყურუში, ფარა, ახჩა.

ვიძლევით განძში დაცული მონეტის დასახელებას.

№ 6. ვერცხლი, ფარა, წონა 0,40 გ, ზომა 13 მმ.
შუბლი: ცენტრში „თუღრა".
ზურგი: სამსტრიქონიანი ზედწერილი

ضرب في	მოიჭრა
قسطنطينية	კონსტანტინიას
١١٦٨	1168 წ.

ირგვლივ ორი წერტილოვანი რკალი.

მ უ ს ტ ა ფ ა III
(1171—1187 წწ.)

მანდაეთის განძში მუსტაფა III-ს სახელით მოჭრილი მონეტა 62 ცალია. აქედან ერთი მოჭრილია კონსტანტინიაში, 23—ისლამბულში, 5—მისრში.

დანარჩენი 33 ცალი გაცვეთილია.

№ 1 ვერცხლი, ფარა, წონა 0,29 გ. ზომა 14 მმ.

შუბლი: „თუღრა".

ზურგი. ოთხსტრიქონიანი წარწერა

ضرب في	მოიჭრა
قسطنطينيه	კონსტანტინიას
١١٧١	1171 წ.

№ 2 ვერცხლი, ფარა, წონა 0,31 გ, ზომა 13 მმ.

შუბლი: ცენტრში „თუღრა".

ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი

ضرب	მოიჭრა
اسلامبول	ისლამბულში
١١٧١	1171 წ.

დანარჩენი 21 მონეტა ისეთივეა როგორც აღწერილი ცალი, იმ განსხვავებით რომ 8 ცალი გახვრეტილია.

მონეტებს გარს უვლის წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი.

№ 25 ვერცხლი, ფარა, წონა 0,38 გ, ზომა 13 მმ.

შუბლი: „თუღრა".

ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი

ضرب	მოიჭრა
مصر	მისრში
سنه	წელსა
١١٧١	1171 წ.

ერთ მონეტაზე ზარაფხანა არ იკითხება. მონეტა ძალზე გაცვეთილია.

ა ბ დ ა ლ- ჰ ა მ ი დ I
(1187—1203 წწ.)

აბდალ ჰამიდის სახელით მოჭრილი მონეტა განძში 97 ცალია. აქედან 43 მოჭრილია კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში, 49 ცალი — მისრის ზარაფხანაში, 1 ისლამბულში, ერთი ძალზე გაცვეთილია.

ვიძლევით სანიმუშო ცალების აღწერილობას.

№ 71. ვერცხლი, ფარა, წონა 0,35 გ, ზომა 13 მმ.
შუბლი: „თუღრა".

ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი.

ضرب في	მოიჭრა
قسطنطينيه	კონსტანტინიას
سنه	წელსა
١١٨٧	1187

ირგვლივ ორი ხაზოვანი და ერთი წერტილოვანი რკალი.

№ 76. ვერცხლი, ფარა, წონა 0,34 გ, ზომა 12—13 მმ.
შუბლი: ცენტრში „თუღრა".

ირგვლივ ერთი ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი.
ზურგი: წარწერა ოთხ ხაზად. მოჭრის ადგილი და თარიღი.

ضرب	მოიჭრა
مصر	მისრში
سنه	წელსა
١١٨٧	1187

№ 77. ვერცხლი, ფარა, წონა 0,27 გ, ზომა 14 მმ.
შუბლი: „თუღრა".
ზურგი: ზედწერილი ოთხ ხაზზე.

ضرب	მოიჭრა
اسلامبول	ისლამბულს
سنه	წელსა
١١٨٧	1187

ირგვლივ წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი.

სელიმ III
(1203—1222 წწ.)

განძში სელიმ III-ს სახელით მოჭრილი მონეტა 6 ცალია, აქედან 4 ყურუში და 3 ფარა. ოთხივე ყურუში მოჭრილია ისლამბულში, ფარა — ერთი კონსტანტინოპოლში, ერთი მისრში და ერთიც ისლამბულში.

ვიძლევით სანიმუშო ცალების აღწერილობას.

№ 151. ყურუში, ვერცხლი, წონა 31 გ, ზომა 40 მმ.

შუბლი: მონეტის ცენტრში „თუღრა“, შემკული ვარდულებით, მოჭრის ადგილი და თარიღი.

ضرب	მოიჭრა
اسلامبول	ისლამბულში
١٢٠٣	1203 წ.

ირგვლივ ორი ხაზოვანი და ერთი წერტილოვანი რკალი.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი წარწერა, სულთნის ძალისა და ძლიერების გამომხატველი.

سلطان البحرين	სულთანი ზღვებისა
و خاقان البرين	და მპყრობელი ხმელეთისა
سلطان ابن	სულთანი ძე
السلطان	სულთნისა

ირგვლივ ორი ხაზოვანი და ერთი წერტილოვანი რკალი.

№ 148. ვერცხლი, ფარა, წონა 0,39 გ, ზომა 13 მმ.

შუბლი: მონეტის ცენტრში „თუღრა“.

ზურგი: მოჭრის ადგილი და თარიღი

ضرب فى	მოიჭრა
قسطنطينية	კონსტანტინიას
١٣٠٣	1203 წ.

ირგვლივ ერთი ხაზოვანი რკალი და წერტილოვანი რკალის ფრაგმენტები.

№ 147. ვერცხლი, ფარა, წონა 0,20 გ, ზომა 10—13 მმ.

შუბლი: ცენტრში დამახინჯებული „თუღრა“.

ზურგი: მოჭრის ადგილი და თარიღი

ضرب მოიჭრა
مصر მისრში
سنه წელსა
١٢٠٣ 1203

შეიმჩნევა ხაზოვანი რკალის ფრაგმენტი.

№ 149. ვერცხლი, ფარა, წონა 0,28 გ, ზომა 12 მმ.
შუბლი: ცენტრში „თუღრა“.
ზურგი: მოჭრის ადგილი და თარიღი

ضرب მოიჭრა
اسلامبول ისლამბულში
١٢٠٣ 1203 წ.

განძში ერთი XVIII ს. II ნახევრის „სირმა-ვერცხლი“ ანუ „სირმა-აბაზი“-ც ურევია.

როგორც ცნობილია, XVIII ს. 70-იან წლებში თბილისის ზარაფხანამ სრულიად განსხვავებული ტიპის ვერცხლის გამოშვება დაიწყო. მონეტის ზედწერილები სპარსულია. მაგრამ ძალზე განსხვავებულია სპარსული აბაზიანებისაგან. მათი გარეგნული სახე ასეთია:

№ 150. სირმა-აბაზი, ვერცხლი, წონა 3 გ, ზომა 15 მმ.

შუბლი: რვაქიმიან ჩარჩოში მოთავსებულია მოჭრის ადგილი და თარიღი, ჩარჩოს ზემოთ ოვალში ქერიმ-ხან ზენდელის ფორმულა.

یا کریم მოწყალეო
ضرب მოიჭრა
تفلیس თბილისში
١٢٠٣ 1203 წ.

მონეტის ირგვლივ ერთი ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი.
ზურგი: ზედწერილი, რომელიც ღმერთის განდიდებას გვაუწყებს.

الحمد اله დიდება
المین უფალს
العی სამყაროს მფლობელს.

ირგვლივ ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი.

მანდაეთის განძში არის 76 ცალი დაზიანებული და გაცვეთილი მონეტა, რომლებზედაც ზარაფხანა და თარიღის ამოკითხვა ძნელდება. ტიპოლოგიურად ეს მონეტები უნდა ეკუთვნოდეს

ჩვენ მიერ ჩამოთვლილ სულთნებს, მაგრამ მათი დაზიანებულობის გამო რომელიმე სულთანზე მიკუთვნება ჭირს. ამ ე. წ. თურქულ გაურკვეველ მონეტებში 23 კონსტანტინოპოლშია მოჭრილი, 19 მისრში, 4—ისლამბულში, 30 მონეტაზე ზარაფხანა არ იკითხება. ამათგან სამი მონეტა განსხვავებულია მოჭრის ტექნიკით.

№ 204. ზომა 13 მმ, წონა 0,28 გ,
შტამპი ორჯერ აქვს დარტყმული.

№ 205. ზომა 11—12 მმ, წონა 0,23 გ.
ცალ მხარეზეა სიქანაკრავი.

№ 206. ზომა 12 მმ, წონა 0,20 გ.
ორივე მხარეს „თუღრა" აქვს დაკრული.

ამრიგად, ჩვენ მიერ შესწავლილი განძი განეკუთვნება იმ პერიოდს, როდესაც ოსმალები იმერეთის სამეფოს მთლიან დამორჩილებას თუ არა ნაწილობრივ მაინც ახერხებენ, რაც გამოიხატებოდა თუნდაც იმაში, რომ იგი ვალდებული იყო ოსმალეთის პორტისათვის ხარკი ეძლია 300 ქისის ოდენობით და ადამიანების, კერძოდ ახალგაზრდა ქალ-ვაჟების, სახით.

განძის ქრონოლოგიური დიაპაზონი 88 წელია. ჰიჯრის 1115—1203 წლებს შორის. განძის ჩაფლობის სავარაუდო თარიღად უნდა მივიჩნიოთ XVIII ს. მიწურული.

ცალკეული აღმოჩენები

1. 1954 წ. ხაშურის რ-ნის სოფ. ნაბახტევში მიწის დამუშავების დროს იპოვეს აჰმედ III-ს სახელით მოჭრილი ერთი ყურუში. მონეტა ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში.

გ. ფ. № 9123. ვერცხლი, წონა 18,90 გ, ზომა 36—37 მმ.
შუბლი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

السلطان	სულთანი
احمد بن محمد خان	აჰმედი ძე მაჰმუდ ხანისა
دام ملكه ضرب فى	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
قسطنطينية	მოიჭრა კონსტანტინიას წელსა
١١١٥	1115.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი.

سلطان البرين — სულთანი ორი ზღვისა
و خاقان البحرين — და მპყრობელი ხმელეთებისა
السلطان ابن — სულთანი ძე
السلطان — სულთნისა.

მონეტას გარს უვლის წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი.

2. 1964 წ. სექტემბერში, ციხისძირში (ქობულეთის რ-ნი), შიდაციხის ბაზილიკის ჩრდ. ნავში, მიწის ზედაპირიდან 120 სმ. სიღრმეზე, იპოვეს აჰმედ III-ს ახჩა. მონეტა განსაზღვრისათვის მუზეუმში მოიტანა დ. ხახუტაშვილმა და უკანვე წაიღო.

წონა 0,34 გ, ზომა 14 მმ.

შუბლი: მონეტის ცენტრში „თუღრა".

ზურგი: მოჭრის ადგილი და თარიღი,

ضرب في — მოიჭრა
قسطنطينية — კონსტანტინიას
١١١٥ — 1115 წ.

მონეტას გარს უვლის ერთი წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი.

3. 1958 წ. ზაფხულში სოფ. კარწახში (ახალქალაქის რ-ნი) სანგრების თხრის დროს იპოვეს მაჰმუდ I ყურუში. მონეტა ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში.

გ. ფ. № 9737. ვერცხლი, წონა 13,24 გ, ზომა 34 მმ.
შუბლი: ცენტრში „თუღრა". მოჭრის ადგილი და თარიღი.

ضرب في — მოიჭრა
كمشخانه — გიუმიშხანეს
١١٤٣ — 1143 წ.

ზურგი: ისეთივე, როგორც გ. ფ. № 2223. (იხ. გვ. 97.).

4. 1959 წ. კასპში იპოვეს 3 მონეტა. ერთი XVII ს. ირანული სპილენძის საქალაქო (გ. ფ. № 10205-ა) და ორი თურქული, ერთი XVII ს. სპილენძის (გ. ფ. № 10206-ა) და მეორე XVIII ს. აბდალ ჰამიდ I-ს (1774—1789) სახელით მოჭრილი ყურუში (გ. ფ. № 10207-ა).

გ. ფ. № 10207-ა. ვერცხლი, ყურუში, წონა 20,35 გ, ზომა 45 მმ.
შუბლი: ხუთსტრიქონიანი ზედწერილი.

السلطان	სულთანი
عبد الحميد بن احمد حان	აბდალ ჰამიდის ძე აჰმედ ხანისა
دام ملكه ضرب فى	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი მოიჭრა
قسطنطينية	კონსტანტინიას
١١٨٧	1187.

ზურგი: ისეთივე, როგორც გ. ფ. № 9123 აღწერილი მონეტისა.

5. 1936 წ. მახარაძის რაიონში ნაპოვნი იყო სელიმ III-ს (1789—1807) ერთი ყურუში (განძების ფონდი № 1677)
ვერცხლი, ზომა 42 მმ, წონა 26,08 გ.
შუბლი: ცენტრში „თუღრა"
ზურგი: მოჭრის ადგილი და თარიღი

ضرب فى	მოიჭრა
اسلامبول	ისლამბულში
١٢٠٣	1203 წ.

5. თბილისში მოჭრილი ოსმალური მონეტები

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, 1723 წელს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ოსმალებმა საქართველოს დედაქალაქი თბილისი დაიპყრეს. 1727 წელს ქართლის მმართველად ისააყ ახალციხის ფაშა დანიშნეს, რომელმაც სატახტო ქალაქად თბილისი გაიხადა და აქედან აწარმოებდა ყოველგვარ ურთიერთობას ოსმალეთთან. მათ ხელში აღმოჩნდა ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი და, მათ შორის, ზარაფხანაც.

თათრის მოედნის ჩრდ. აღმოსავლეთით, ძველად რომ მეჩეთი იდგა იმის ზემოდან გზა მიდიოდა ზარაფხანისაკენ. ზარაფხანა და მისი უბანი ამ ადგილებში ჩანს უკვე 1678 წელს[107].

ოსმალთა ოკუპაციის დროს თბილისის ზარაფხანამ არამც თუ შეწყვიტა მოქმედება, არამედ მოჭრა მონეტები ოსმალო სულთნის სახელით.

თბილისის ზარაფხანის იმდროინდელი პროდუქცია წარმოდგენილია ვერცხლის, ოქროსა და სპილენძის მონეტებით. ვერცხ-

---

[107] მ. ბერძნიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ., 1965, გვ. 33.

ლის ნომინალები შედარებით მეტია, ვიდრე ოქრო და სპილენძი. თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ორი ოქროს მონეტაა დაცული საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდში.

ფეოდალური ხანის საქართველოში ოქროს ფულის მოჭრის შესახებ წერილობითი წყაროები ძალიან მცირე ცნობებს გვაწვდიან.

ზაქარია ყაზვინის ცნობით, საქართველოში არსებობდა მშვენიერი ოქროს ფული დინარი, პერპერად წოდებული, რომელიც თითო მისხალ მაღალხარისხოვან ოქროს იწონიდა. აკად. ივ. ჯავახიშვილი მას მიიჩნევს ქართველი მეფეების მიერ მოჭრილ ოქროს ფულად და აღნიშნავს, რომ ეს ფული ბრუნვაში ყოფილა საქართველოს დედაქალაქ თბილისში[108]. მაგრამ ამ ცნობიდან არ ჩანს, რომ იგი ქართველთა მიერ მოჭრილი ოქროა. საფიქრებელია, რომ აქ ნაგულისხმევია ბიზანტიური ოქროს ფული—პერპერა, რომელიც იმდენად ყოფილა ევროპაში გავრცელებული, რომ გენუელებს ბიზანტიური მონეტების ყაიდით დაუწყიათ ადგილობრივი ფულის გამოშვება[109]. შესაძლებელია იმხანად საქართველოშიც იჭრებოდა ასეთი მონეტები, რომლებსაც ზაქარია ყაზვინი უწოდებს პერპერას და ივ. ჯავახიშვილი მას მიიჩნევს ქართულ ფულად, მაგრამ ასეთი მონეტის აღმოჩენის შემთხვევა დღემდე არ მოგვეპოვება.

საქართველოში ოქროს ფულის არსებობის შესახებ გვაწვდის ცნობებს თემურ ლენგის ისტორიკოსი შერეფ-ა-დ-დინ ალი იეზდი. მისი გადმოცემით გიორგი VII-ს თემურ ლენგისათვის სხვა საჩუქრებთან ერთად გაუგზავნია ათასი ოქროს მონეტა აღბეჭდილი ლენგის სახელით[110]. მაგრამ არც ეს ცნობა შეიძლება მივიჩნიოთ სარწმუნოდ. ადვილი დასაშვებია, — აღნიშნავს გ. დუნდუა, — რომ თემურ ლენგმა თბილისის აღების აღსანიშნავად საქართველოს ზარაფხანაში მოაჭრევინა მონეტები, რომელიც შემდეგ გიორგი VII-ს ჩაუვარდა ხელთ[111]. შესაძლებელია გიორგი VII-მ ეს მონეტები გაუგზავნა საჩუქრად თემურ ლენგს.

---

108 ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925, გვ. 8.

109 Дж. Луцатто, Экономическая история Италии, М., 1954, с. 410.

110 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

111 გ. დუნდუა, სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, თბ., 1964, გვ. 79.

ჩვენ მიერ მოტანილი ცნობები, ადრეულ საუკუნეებში საქართველოში ოქროს მონეტის მოჭრის შესახებ, დღემდე მხოლოდ ცნობებად რჩება. ოქროს მონეტის მოჭრის შემთხვევა საქართველოს ზარაფხანებში ოსმალთა გაბატონებამდე არა გვხვდება. ალთუნი პირველად XVI ს. მოიჭრა არტანუჯში, XVIII ს. 20-ან წლებში კი თბილისში.

თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ოსმალური ოქროს მონეტა, ალთუნი, 1941 წელს ქუთაისში კათოლიკეთა ეკლესიის ეზოში იპოვეს, პროფ. დ. კაპანაძე მას თბილურ საოკუპაციო მონეტად მიიჩნევს[112]. ჩვენ მას ქართულ მონეტად ვერ მივიჩნევთ და ამ შემთხვევაში დ. კაპანაძის მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ.

51. საინვ. № 5086. ოქრო, ალთუნი,

წონა 3,47 გ, ზომა 19 მმ.

შუბლი: ცენტრში „თუღრა"—აჰმედ III სახელის დაქარაგმება.
ზურგი: მოჭრის ადგილი და თარიღი სამ სტრიქონად.

ضرب	მოიჭრა
تفليس	თბილისში
١١١٥	1115 წ.

ირგვლივ ორმაგი რკალი. წერტილოვანი და ხაზოვანი. (ტაბ. VII, 51).

საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ გარდა ალთუნისა, თბილისის ზარაფხანაში ამ დროს მოიჭრა ორმაგი ალთუნი التون الشرفى ალთუნ აშრეფის სახელწოდებით, რომელიც დიდ იშვიათობას წარმოადგენს და დღემდე ცნობილი იყო ერთი ცალი. ისეთ დიდ საცავებში, როგორიცაა ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟის და მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ნუმიზმატიკური ფონდები, მსგავსი მონეტა არ მოიძიება. დღეისათვის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდში ინახება მეორე ეგზემპლარი. იგი პროფ. ე. პახომოვის კოლექციიდან არის შემოსული. ვიძლევით ამ უიშვიათესი მონეტის აღწერილობას და ფოტორეპროდუქციას.

52. ქართ. ძ. საინ. № 4975. ოქრო, ალთუნ აშრეფი,

წონა 6,15 გ, ზომა 30—32 მმ.

შუბლი: ცენტრში „თუღრა", ქვემოთ მოჭრის ადგილი და თარიღი.

---

[112] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 92—93.

ضرب في	მოიჭრა
تفليس	თბილისში
١١١٥	1115 წ.

ზურგი: სულთნის მედიდური ეპითეტი ოთხ სტრიქონად.

سلطان البرين	სულთანი ორი ხმელეთისა
و خاقان البحرين	და მპყრობელი ორი ზღვისა
السلطان ابن	სულთანი ძე
السلطان	სულთნისა[113].

ირგვლივ წერტილოვანი რკალი (ტაბ. VII, 52).

თვით ფაქტი თბილური ალთუნის არსებობისა, მიგვითითებს იმაზე, რომ XVIII საუკუნის 20-იანი წლებში თბილისის ზარაფხანაში იჭრებოდა ოქროს მონეტა (თუმცა მას ქართულ მონეტად, რა თქმა უნდა, ვერ მივიჩნევთ). თბილისში ამ დროს იჭრებოდა აგრეთვე ვერცხლის ფულის რამდენიმე ნომინალი.

XVIII ს. 20—30-იანი წლების ქართული დოკუმენტები იხსენიებენ „ახალ თეთრს", რომელიც თბილისის ზარაფხანაშია მოჭრილი და ასახელებენ, როგორც წესი, ყურუშებს, მაგრამ ეს ნომინალი, თუ კი ის მართლაც იჭრებოდა თბილისში, ჯერჯერობით უცნობია. სამაგიეროდ ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში მითითებულია თბილური ონლოქები და ბეშლიქები.

პირველი თბილური ონლუქები ჰიჯრის 1115 (1703—1704) წლით თარიღდება, მაგრამ ოსმალური სამონეტო საქმის წესის თანახმად, ხშირად მონეტაზე აღინიშნებოდა სულთნის ზეობის პირველი წელი და არა ემისიის რეალური თარიღი, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ე. პახომოვი, სინამდვილეში მონეტის მოჭრის თარიღი მოდის ჰიჯრის 1135—1143 (ე. ი. 1723—1730) წლებს შორის, თბილისის აღებიდან აჰმედ III-ს ზეობის ბოლო წლამდე[114]. 1115 წ. თბილური ონლიქი გვხვდება მურჯახეთისა და ზღუდერის განძებში, სადაც მოტანილი გვაქვს მათი სათანადო აღწერილობა.

ონლიქი თბილისში იჭრებოდა მაჰმუდ I (1730—1754) დროსაც. მოჭრის თარიღად მითითებულია ჰიჯრის 1143 (1730—1731) წელი[115].

---

113 მ. ა ნ თ ა ძ ე, თბილისში მოჭრილი იშვიათი ოსმალური ოქროს მონეტა, „ძეგლის მეგობარი", № 23, თბ., 1971, გვ. 29—30.

114 Е. А. П а х о м о в, Монеты Грузии, Тб., 1970, с. 229

115 იქვე, გვ. 230.

№ 53. ქ. ძ. ფ. № 4988. ვერცხლი, ონლიქი, ზომა 26—27 მმ. წონა 5,30 გ.

შუბლი: მაჰმუდ I-ს სახელის დაქარაგმება, ე. წ. „თუღრა“.

ზურგი: ضرب فى تفليس მოიჭრა თბილისში 1143 წ.

ასო ب -ში ორნამენტი. ირგვლივ გარშემოვლებულია რკალით.

თბილისში მოჭრილი ბეშლიქი ჰიჯრის 1115 წლით თარიღდება მისი გარეგნული სახე არ განსხვავდება ონლიქისაგან. ე. პახომოვის მიერ აღწერილი ეგზემპლარის წონა შეადგენს 2,65 გრამს[116]. საქართველოს სამონეტო განძებში ეს მონეტა ჯერჯერობით არ აღმოჩენილა.

ოსმალური ვერცხლის ფულის მესამე ნომინალი, რომელიც თბილისში მოიჭრა, არის ნიმბეშლიქი. ის უაღრესად იშვიათი მონეტაა და ჯერჯერობით მხოლოდ ორ ცალად არის ცნობილი. მისი მოჭრის თარიღად მითითებულია ჰიჯრის 1115 წ. გარეგნულად არაფრით არ განსხვავდება ამავე წლის ონლიქისაგან. არსებული ეგზემპლარის წონა შეადგენს 1,26 გ.[117]

საყურადღებოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ ოსმალთა ბატონობის დროს თბილისის ზარაფხანაში მოუჭრიათ სპილენძის მონეტა, რომელიც უკანასკნელ დრომდე არ იყო ცნობილი[118]. მონეტა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში.

53. ქ. ფ. № 5020. სპილენძი, წონა 7,65 გ, ზომა 15—22 მმ. შუბლი: მონეტის ცენტრში „თუღრა“, ირგვლივ წერტილოვანი რკალი.

ზურგი: არაბული ზედწერილი სამ სტრიქონად

ضرب فى	მოიჭრა
تفليس	თბილისს
١١٤٣	1143 წ.

(ტაბ. VII, 53).

თბილისში თურქული ხასიათის მონეტის მოჭრა მაჩვენებელია იმისა, რომ თურქეთი ქართლზე ავრცელებს, როგორც პოლი-

---

[116] Е. А. Пахомов, Монеты Грузии, с. 229.

[117] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 144.

[118] დ. კაპანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 144. ეს მონეტა არ არის შეტანილი A, C, Schaendlinger-ის დასახ. ნაშრომში.

ტიკურ, ისე ეკონომიკურ უფლებებს. ოსმალებს სამხრეთ საქართველოში (ახალციხეში) მოქმედი ზარაფხანა არ დახვდათ, ახალციხის ზარაფხანა, რომელიც XIII საუკუნის დამლევს და XIV ს. დასაწყისში არსებობდა[119], XV საუკუნის დასაწყისში განაგრძობს მოქმედებას — ყვარყვარე ათაბაგი ჭრის თავისი სახელით მონეტას, შემდეგ საუკუნეებში ახალციხის ზარაფხანა აღარ მოქმედებდა და ოსმალებს არც უცდიათ ზარაფხანის განახლება. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ თბილისის დაპყრობისთანავე ოსმალებმა აქ მოქმედ ზარაფხანაში დაიწყეს მონეტის მოჭრა, რასაც კარგად ადასტურებს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონეტები როგორც განძების, ისე ცალკეული ცალების სახით.

6. ოსმალური მონეტების მიმოქცევის ხასიათი XVIII ს. საქართველოში

წინა პარაგრაფებში განხილული მასალა გვიჩვენებს, რომ XVI—XVII სს-ებთან შედარებით ოსმალური საფასეს როლი XVIII ს. საქართველოში გაცილებით მნიშვნელოვანია. ამ მონეტების გავრცელების გეოგრაფიული არეალი მოიცავს ქართლს, იმერეთს, ლეჩხუმს, აფხაზეთს, გურიას, აჭარას, სამხრეთ საქართველოს. ოსმალური ფულის აღმოჩენის შემთხვევა დადასტურებულია კახეთშიც.

ძირითადი მასალა განძებში მოპოვებული მონეტებისა, ისევე როგორც ცალკეული აღმოჩენები, არის ვერცხლი. წინა საუკუნეებთან შედარებით, ოქროს მონეტა მცირე რაოდენობით გვხვდება. აღმოჩენილია ოსმალური ფულის შემდეგი ნომინალები: ახჩა, ფარა, ბეშლიქი, ონლუქი, ირმილიქი, ყურუში, ალთუნი, ალთუნ-აშრეფი, მანგირი. ამ მონეტებს მათთვის დამახასიათებელი მეტროლოგიური მაჩვენებლები აქვთ.

ყველაზე ხშირად გვხვდება კონსტანტინოპოლის ზარაფხანის მონეტები. გარდა ამისა, ჩვენში ტრიალებდა მისრის, ედირნეს, ერზერუმისა და გიუმიშხანეს ფულიც. შემოდიოდა ოსმალეთის კონტროლს დროებით დაქვემდებარებულ ქალაქებში (ერევანი, განჯა, თავრიზი) მოჭრილი მონეტები: საქართველოს ფულის მი-

---

[119] თ. ლ ო მ ო უ რ ი, ახალციხის ზარაფხანა, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XII—B, თბ., 1944, გვ. 214.

მოქცევაში მონაწილეობდა საკუთრივ თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტებიც.

შერეული განძები (ოსმალური და ევროპული, ოსმალური და ირანული მონეტები) იშვიათად გვხვდება. წინა საუკუნეებთან შედარებით ოსმალური მონეტები დამოუკიდებელ განძებში არიან წარმოდგენილნი.

ოსმალური საფასე XVIII ს. მთელ მანძილზე ძველებურად რჩება გადახდის კანონიერ საშუალებად ახალციხის საფაშოში და ბათუმის სანჯაყში. ამასთან ერთად იზრდება მისი როლი და მხიშვნელობა საქართველოს სხვა რაიონების სამონეტო ბაზარზე.

1723—1735 წწ., როცა ქართლში ოსმალთა ბატონობა დამყარდა და თბილისში ოსმალური მონეტების ემისია დაიწყო, ირანული მონეტების პარალელურად ოსმალური ფული გახდა გადახდის კანონიერი საშუალება. ამ სახით ოსმალური საფასე არაერთხელ არის დადასტურებული XVIII ს. 20-30-იანი წლების ქართულ დოკუმენტებში.

ასე მაგ., 1728 წ. 30 ივნისის ერთ თამასუქში დასახელებულია „ახალი თეთრი ორას ორი ყურუში და ერთ აბაზ ნახევარი“[120]. 1729 წ. 10 ივნისის პირობის წიგნში აღნიშნულია, რომ სოფ. ნიაბი და ჩოჩეთი სახლთუხუცესისათვის გადაუციათ „8 თუმნად და 12 ყურუშად“[121].

მოტანილ მაგალითებში საინტერესოა ირანული და ოსმალური სამონეტო ტერმინოლოგიის თანაარსებობა. ჩნდება კითხვა: ხომ არ ხდებოდა გადახდის დროს ორივე საფასეს ერთდროული გამოყენება? ეს არ არის გამორიცხული, მაგრამ შეიძლება ისიც დავუშვათ, რომ ოსმალური ფულის აღსანიშნავად გამოყენებულია ირანული სამონეტო ტერმინოლოგია.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ონლუქები, ბეშლიქები და ნიმბეშლიქები შეესაბამებოდნენ მათ თანამედროვე აბაზებს, უზალ-

---

120 ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. II, თბ., 1953, გვ. 24.

121 დ. უჩანეიშვილი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, თბ., 1967, გვ. 307.

თუნებს და შაურებს[122] ეს მოსაზრება საყურადღებოა. საქმე ის არის, რომ თბილისის ოკუპაციის წინ, თბილისური აბაზის წონა დაეცა საშუალოდ 5,38 გ-ზე და ასევე დაეცა სხვა რეალიების, უზალთუნის (2,69 გ) და შაურის (1,34 გ) წონაც. თბილისური ონლუქის საშუალო წონა (იხ. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული თბილისური ონლუქები) 5,30 გრამია, რაც უახლოვდება აბაზის წონას. აქედან გამომდინარე, ერთმანეთს უახლოვდება უზალთუნისა და ბეშლიქის, შაურისა და ნიმბეშლიქის წონითი მაჩვენებლებიც. ფაქტიურად განსხვავება მათ ღირებულებაში არ იყო და სავსებით დასაშვებია, რომ ქართულ დოკუმენტებში ონლიქის აღსანიშნავად გამოეყენებინათ ღირებულებით თანასწორი, მხოლოდ ირანული და ქართლში საკმაოდ ფეხმოდგმული ტერმინი აბაზი, ხოლო 50 ონლიქის აღსანიშნავად კი — თუმანი.

ჩვენ არა გვაქვს ცნობები ოსმალთა ოკუპაციის დროს ალთუნის ღირებულების შესახებ, ისევე როგორც არ მოგვეპოვება ცნობები ალთუნის, ყურუშის და მანგირის მიმართების შესახებ იმდროინდელ საქართველოში.

ოსმალობის გადავარდნის შემდეგ ქართლში კვლავ ირანული მონეტები იჭერენ წამყვან ადგილს მიმოქცევაში, ხოლო XVIII ს. II ნახევრიდან ქართლ-კახეთში გადახდის ძირითადი საშუალება ხდება ერეკლე II მიერ მოჭრილი ეროვნული მონეტები და სირმა ვერცხლის ფული, მაგრამ ეს ფაქტი არ გამორიცხავს იმას, რომ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობაში თუ ადგილობრივი გადასახადების დროს, ირანული და ოსმალური ფული არ გამოიყენებოდა.

1770 წ. კაპიტანი იაზიკოვი ქართლ-კახეთის ბაზრის შესახებ წერდა: ქართველებს საკუთარი ფული აქვთ... გარდა ამისა, გვხვდება სპარსული და თურქული ოქროსა და ვერცხლის მონეტები, რომლებსაც ისინი ვაჭრობით (უმთავრესად თაფლის, ზეთის და საღებავების გაყიდვით) შოულობენ.

აკად. გიულდენშტედტიც XVIII საუკუნის 70-იან წლებში აღნიშნავდა რომ ქართლ-კახეთში „საკუთრივ სახელმწიფო ფულების გარდა, მოძრაობაში იმყოფებიან თურქული, სპარსული და

---

[122] Д. Капанадзе, Грузинская нумизматика, გვ. 119; ნ. ქო�a, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

[123] А. Цагарели, Грамоты и другие источники документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, СПб, 1961, с. 191.

რუსული ფულებიც"[124]. გიულდენშტედიც არ ასახელებს ამ ოსმალურ ფულებს, მხოლოდ მიუთითებს, რომ ქართლის სამეფოში ხმარებაში არ იყო ფარა[125].

იაზიკოვისა და გიულდენშტედტის ცნობები შეიძლება შევავსოთ ქართული დოკუმენტური წყაროების მონაცემებით. აღმოსავლეთ საქართველოს დოკუმენტებში XVIII ს. უკანასკნელ მესამედში ადგილობრივი გადახდების დროს დამოწმებულია ყურუში[126] და ალთმიშლუღი (ან ალთმიშლუხი)[127]. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალთმიშლუღის ემისია დაკავშირებულია აბდალ ჰამიდ I-ს (1774—1789) სახელთან. და შეადგენდა 60 ფარას, ანუ $1\frac{1}{2}$ ყურუშს. საქართველოს ტერიტორიაზე ჯერჯერობით ალთმიშლუღი აღმოჩენილი არ არის. მაგრამ ტერმინი გვხვდება XVIII ს. 90-იანი წლების დოკუმენტებში. ამავე დოკუმენტებში გვხვდება საქართველოში შემოსული ოსმალური ოქროს მონეტის ტერმინებიც: სტამბოლის ოქრო[128], მისრის ოქრო[129], ზარმამუდდის ოქრო (ეს ზერ-ი-მაჰბუბის დამახინჯებული სახელი უნდა იყოს)[130]. გვხვდება ტერმინი იალდიზ ალთუნი[131]. პირველი ორი შესაბამისად სტამბოლისა და მისრის ზარაფხანებში მოჭრილ ალთუნებს გულისხმობს, უკანასკნელი კი არის მაღალხარისხიანი, 24 კარატის სინჯის მქონე ალთუნი[132]. ზოგჯერ გვხვდება ტერმინი „ძველი სტამბოლის ოქრო", რაც XVIII ს. 30-იან წლებამდე მოჭრილ სტამბოლის ზარაფხანის ალთუნებს უნდა გულისხმობდეს. ჩვენი ვარაუდი იმას ემყარება, რომ მაჰმუდ I-ს (1730—1754) დროს ალთუნის ზედმეტი სახელი „ჯედიდ ისტანბული"[133] „ახალი სტამბო-

---

[124] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის თარგმანი, თბ., 1962, გვ. 233

[125] გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 237.

[126] დ. უ ჩ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65 (1772 წ. 6 ივლისის თამასუქი).

[127] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისთვის, წ. I, თბ. 1938, გვ. 133.

[128] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკონ. ისტორიისათვის, წ. III, თბ., 1955, გვ. 265.

[129] იქვე, გვ. 113.

[130] იქვე, გვ. 265.

[131] A. C. Shaendlinger, გვ. 61.

[132] იქვე.

[133] იქვე,

ლის ოქრო"[134]. ე. ი. ადრე მოჭრილი ალთუნი, ავტომატურად ხდება „ძველი". მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალურ ოქროს მონეტას არა ჰქონდა დიდი პრესტიჟი საქართველოში. „ოქრო ჩვენში სრულად გოლანდიისა მუშაობდა, ვენეციისაცა და ოსმალისაცა უფრო ცოტა, მაგრამ ოსმალოს ოქრო წმინდა არ არის და ამისათვის არ უყვარდათ ქართველებს"[135].—წერდა თეიმურაზ ბაგრატიონი.

ოსმალური მონეტა ფართოდ ვრცელდება დასავლეთ საქართველოში, ავიწროვებს აქ ირანულ მონეტებს და თანდათანობით ხდება გადახდის კანონიერი საშუალება.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა აკად. გიულდენშტედტის ცნობები. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ოსმალური საფასე გამოიყენებოდა იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში[136]. ის ეხება და ჩამოთვლის დაწვრილებით იმ ოსმალურ მონეტებს, რომლებიც შეხვედრია მას.

ოქროს მონეტებიდან იგი ასახელებს ორ ნომინალს. ერთი მათგანი—სარმამიდი Sarmamidy ფართოდ იყო გავრცელებული. მისი ღირებულება შეადგენდა 104 ფარას, წონა კი 24 კრანს[137], რაც 2,6 გ-ს შეესაბამება[138].

სარმამიდს ოსმალური სამონეტო საქმე არ იცნობს. ეს სახელი უნდა იყოს დამახინჯებული ფორმა ზერი მაჰბუბისა. ოქროს სამონეტო რეფორმა დასრულდა აჰმედ III-ს დროს. ამ დროს შოიჭრა და შემდეგაც იჭრებოდა ოქროს ორი ნომინალი ფინდიკ ალთუნი და ზერ-ი მაჰბუბი. ამ უკანასკნელის წონა შეადგენდა სწორედ 2,6 გრამს. სარმამიდის და ზერი-მაჰბუბის წონითი მაჩვენებლები ერთმანეთს ემთხვევა და მათი იდენტურობა ეჭვს არ იწვევს.

გიულდენშტედტი ასახელებს ჰიჯრის 1171 (1757) წ. სულთან მუსტაფა III-ს მიერ მისრის ზარაფხანაში მოჭრილ სარმამიდს, მართლაც ამ წელს, მხოლოდ მისრის ზარაფხანაშია ფიქსირებული ზერ-ი მაჰბუბის ემისია[139].

---

[134] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.
[135] თეიმურაზ ბატონიშვილის წერილი აკად. მ. ბროსესადმი, თბ., 1964, გვ. 42.
[136] გიულდენშტიდტის მოგზაურობა, გვ. 283.
[137] იქვე.
[138] რ. ქებულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.
[139] A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

ოქროს მეორე ნომინალი, რომელსაც ასახელებს გიულდენშტედტი და რომელიც თურმე ძალზე იშვიათი იყო, არის „თურქული დუკატი წმინდა ოქროსი, 1 დრაქმის სიმძიმისა". მისი ღირებულება იყო 120 ფარა[140]. გიულდენშტედტი მის ხელთ არსებულ „დუკატზე" კითხულობს ისლამბულს, მოჭრის თარიღად ჰიჯრის III. წ. და სულთან მაჰმუდ ხანს, მაგრამ ეს განსაზღვრა სწორი არ არის. ჰიჯრის 1110 წ. სულთანი იყო მუსტაფა II, ხოლო 1110 წ. საერთოდ არ მოჭრილა მონეტა ისლამბულში. შესაძლებელია მან შეცდომით წაიკითხა თარიღი 1110 წ., ნაცვლად ჰიჯრის 1115 წლისა, ხოლო მაჰმუდი აჰმედის ნაცვლად. 1115 (1703) წ. ისლამბულში მართლაც მოიჭრა ოქროს მონეტა[141]. ეს იყო პირველი ფინდიკ ალთუნი. გიულდენშტედტის „დუკატი" ფინდიკ ალთუნის შესატყვისი ტერმინია. მისი წონითი მაჩვენებელი (3,7 გ) რამდენადმე მაღალია, რადგან ჩვეულებრივ ფინდიკ ალთუნის წონა საშუალოდ 3,5 გ ფარგლებში მოდის. მაგრამ გადახრა ამ სტანდარტიდან დასაშვებია. გიულდენშტედტი სწორია „თურქული დუკატის" ხარისხის შეფასებაში. ფინდიკ ალთუნის 93—98%[142]. სხვათა შორის ფინდიკ ალთუნი დამოწმებულია 1776 წ. აფხაზეთის საკათალიკოსო განძეულების აღმნუსხველ სიაში. აქ მოხსენებულია „სამასორმოცდა თოთხმეტი ფუნდუხის წონა ზოდები, ოქროსი ექვსი"[143], გ. ჯაფარიძის იდენტიფიკაციით „ფუნდუხი" იგივე ფუნდუკელია[144]. ფინდიკ ალთუნი ამ სახელითაც იწერებოდა[145], რომელიც 1703 წლიდან იჭრება. მაგრამ მოტანილ მაგალითში ის ფიქრობს, რომ „ფუნდუხი" გამოიყენება წონის ერთეულად[146].

გიულდენშტედტი დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ოსმალურ საფასეს შორის უფრო მეტად ვერცხლის მონეტებს ასახელებს.

---

140 გიულდენშტედტის მოგზაურობა, გვ. 287.

141 A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

142 იქვე. გვ. 60, 70.

143 ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთმცოდნეობა, გვ. 93.

144 გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბ., 1972.

145 Stanley-Lane-Poole. On the weight and denominations of turkion coins. Numismatic Chronicle. vol. II. Third-series. p. 166—182.

146 განსხვავებული აზრი ამ საკითხის შესახებ იხ. დ. მეგრელიძე (რეცენზია) გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, „მაცნე" №2; 1974, გვ. 163.

ვინაიდან იმერეთში არ არსებობდა სპილენძის ფული, ყველაზე ფართოდ გამოიყენებოდა ფარა (გიულდენშტედტის ტერმინოლოგიით ფარი)[147]. ტრიალებდა სხვადასხვა წლებისა და სხვადასხვა სულთნების ფარები. მათ შორისაა: სულთან სულეიმან II-ს კონსტანტინოპოლში მოჭრილი ფარა ჰიჯრის 1103 (1689) წ., სულთან მაჰმუდ I-ს მიერ ჰიჯრის 1143 (1723) წ. მისრსა და კონსტანტინოპოლში მოჭრილი ფარები. სულთან იბრაჰიმ I მიერ ჰიჯრის 1140 (1726) წ. მისრში მოჭრილი ფარა და სულთან მუსტაფა III მიერ ჰიჯრის 1171 (1757) წ. მოჭრილი ფარა — ისლამბულის ზარაფხანისა[148].

გიულდენშტედტი ფარის წონად იძლევა 8 გრანს, ანუ 0,49 გ-ს. ეს მონაცემები შესაძლო საშუალოა იმ წონითი მაჩვენებლებიდან, რომლებიც მის ხელთ მყოფ მონეტებს ახასიათებდათ. საერთოდ, ფარას წონა სულეიმან II-დან მოყოლებული, მუსტაფა III-ს ზეობის წლებამდე, როგორც ეს ა. შაედლინგერს აქვს გარკვეული, 0,60 გრამიდან — 0,42 გრამამდე დაეცა[149].

ფართოდ იყო გავრცელებული „ხუთფარიანი" ნომინალი, რომლის ქართული სახელი გიულდენშტედტის თანახმად უბრალოდ „ხუთფარიანი" ყოფილა. „ის ცუდი ვერცხლისაა — აღნიშნავს მკვლევარი,—და იწონის 52 გრანს"[150], ე. ი. 3,2 გ-ს. ფართოდ იყო ასევე გავრცელებული ათი ფარის შემცველი მონეტა.

გიულდენშტედტის ხელთ ყოფილა ჰიჯრის 1143 (1729) წ. და 1171 (1757) წ. კონსტანტინოპოლის ხუთფარიანები[151].

ხუთფარიანი ნომინალი იგივე ბეშლიქია, რომელიც პირველად მოიჭრა აჰმედ III-ს (1703—1730) დროს. მისი ხარისხი მართლაც დაბალი იყო, რადგან დაბალი იყო, თავად ფარის სინჯი. თუ გავითვალისწინებთ, რომ აჰმედ III-ს ფარების საშუალო წონა

---

[147] გიულდენშტედტის მოგზაურობა, გვ. 283.

[148] იქვე, რიგ შემთხვევებში გულდენშტედტის მიერ მონეტაზე წაკითხული სულთნის ზეობის წლები არ ემთხვევა იმ წელს, რომლითაც დათარიღებულია მონეტის მოჭრა.

[149] A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 73—74.

[150] გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრომი გვ. 283.

[151] გიულდენშტედტის მოგზ., გვ. 255. ამ წლებში დასახელებული ნომინალების ემისია ფიქსირებულია A. C. Schaendlinger-ის დასახ. ნაშრომი, გვ. 115, 121.

შეადგენდა 0,58—0,64 გ-ს[152] ჰიჯრის 1143 (1730) წ. ბეშლიქი შეიძლება წონით მართლაც ყოფილიყო 3,2 გრამი.

ფართოდ იყო ასევე გავრცელებული ათი ფარის შემცველი მონეტა „ათფარიანი ქართულად"[153] ისიც ცუდი ვერცხლისაგან იყო დამზადებული და იწონიდა 1 $\frac{1}{2}$ დრაქმას, ანუ 5,22 გ-ს[154].

გიულდენშტედს ხელთ ჰქონდა კონსტანტინოპოლში ჰიჯრის 1143 და 1171 წწ. მოჭრილი ათფარიანები[155]. ეს ათფარიანი იგივე ონლუქია, რომლის ემისიაც პირველად მუსტაფა II-ს (1696—1703) დროს განხორციელდა. მისი სინჯი (ფარას დაბალი ხარისხიდან გამომდინარე) მართლაც დაბალი იყო.

მიმოქცევაში ყოფილა თურქული ოცფარიანი[156].—იგივე ირმილიქი და 39 ფარის შემცველი კუმში[157]. ეს უკანასკნელი დამახინჯებული ფორმაა ყურუშისა, რომელიც სინამდვილეში 40 ფარას შეიცავდა.

გიულდენშტედტი ასახელებს 52 ფარიან მარჩილს[158], მაგრამ ოსმალურ სამონეტო საქმეში მსგავსი ნომინალი არ გვეგულება. 52 ფარიანი ჯერადობა არ არსებობს. საფიქრებელია, რომ მკვლევარი შეცდომაში შეიყვანა რომელიმე ინფორმატორმა. თავად გულდენშტედტი აღნიშნავს „ის საერთოდ იშვიათია და განსაკუთრებით კი იმერეთში და მე არ შემხვედრია, არც ისე იშვიათი უნდა იყოს ის სამეგრელოსა და გურიაში"[159]. უკანასკნელი სიტყვები იმაზე მეტყველებს, რომ ეს მონეტა არც სამეგრელოსა და გურიაში უნახავს მას. მარჩილში შესაძლოა ევროპული, ტალერული მონეტა უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც გიულდენშტედტს რომელიმე ინფორმატორმა თურქულ საფასედ წარმოუდგინა.

გიულდენშტედტი ასახელებს მთელ რიგ ოსმალურ მონეტებს, რომლებიც ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც იყო იმერეთის ფულის მიმოქცევაში, მათ შორის ნიმუშად მას მოჰყავს ჰიჯრის 1171

---

[152] გიულდენშტედტის მოგზაურობა, გვ. 73.

[153] ი ქ ვ ე, გვ. 285.

[154] იქვე.

[155] იქვე, კონსტანტინოპოლში დასახლებულ წლებში ათფარიანი მონეტის ემისია ფიქსირებულია A. C. Schaendlinger-ის ნაშრომში, გვ. 115, 121.

[156] გიულდენშტედტის მოგზ., გვ. 285.

[157] იქვე.

[158] იქვე.

[159] იქვე.

(1757) წ. ისლამბულში მუსტაფა III-ს მიერ მოჭრილი 40 ფარიანი[160], — იგივე ყურუში — ცუდი ვერცხლის მონეტა და 60 ფარიანი ნომინალი, მოჭრილი ჰიჯრის 1173 წ. სულთან მუსტაფა III-ს მიერ ისლამბულში[161].

60 ფარიანი ნომინალი პირველად სწორედ მუსტაფა III დროს იჭრება. ასეა ა. შაედლინგერის მიერ მოტანილ ცხრილებში, თუმცა ავტორი ამ ნომინალის (ალთმუიშლიკ[162] შდრ. ქართ. ალთმიშული) ემისიას აბდალ-ჰამიდის სახელს უკავშირებს.

იმერეთში გავრცელებულ იშვიათ ოსმალურ მონეტებს შორის დასახელებულია აბაზი, მოჭრილი კონსტანტინიაში, სულთან მეჰმედ III (1107) მიერ[163]. აბაზი არ არის დამახასიათებელი ოსმალური სამონეტო საქმისათვის. 1107 წ. დათარიღებული მონეტები საერთოდ უცნობია[164]. ხოლო სულთანი ამ დროს იყო მუსტაფა II და არა მაჰმუდი. ამ შემთხვევაშიც გიულდენშტედტი შეცდომაში უნდა იყოს შეყვანილი.

იმის გასარკვევად, თუ როგორი იყო გაცვლითი ღირებულება ქართულ ფულსა და ოსმალურ საფასეს შორის, გიულდენშტედტს ასევე საინტერესო ცნობები მოაქვს.

თბილისური აბაზი — იგულისხმება, ალბათ, ერეკლეს მიერ მოჭრილი სირმა აბაზი, წონით 3,07 გ, შემცველი 16 ფარისა, ხოლო შაური — 4 ფარისა[165].

შესაძლებელია განვსაზღვროთ სარმამიდის — იგივე ზერი მაჰბუბის, და დუკატის — იგივე ფინდიკ ალთუნის შეფარდებითი ღირებულება ერეკლეს მონეტებთან. სარმამიდი, რომელიც 104 ფარას შეადგენდა 6,5 აბაზი ღირდა, ხოლო 120 ფარიანი დუკატი კი 7,5 აბაზი.

ოსმალური საფასე დიდ როლს თამაშობდა დას. საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე და შემდეგაც. XIX ს.-ით დათარიღებული ოსმალური მონეტების რამდენიმე განძია აღმოჩენილი: ასეთებია მაგალითად:

---

160 იქვე, ისლამბულში ჰიჯ. 1171 წ. მოჭრილი ყურუში ფიქსირებულია A. C. Schaendlinger-ის დასახ. ნაშრომში, გვ. 120.

161 იქვე, გვ. 285. A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

162 A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

163 გიულდენშტედტის მოგზ., გვ. 285.

164 A. C. Schaendlinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

165 გიულდენშტედტის მოგზ., გვ. 287.

1) 1926 წ. სოხუმში ნაპოვნი აბდალ ჰამიდი II-ს (1876—1909) სახელით მოჭრილი მონეტა[166].

2) 1936 წ. სოხუმში, სოხუმჰესის მშენებლობაზე ნაპოვნი სულთან აბდალ აზიზის (1861—1876) ერთი სპილენძის მონეტა[167].

3) 1959 წ. თბილისში პლეხანოვის პროსპ. № 7 ეზოში, მიწის სამუშაოების დროს სულთან მაჰმუდ II-ს (1808—1839) ერთი ვერცხლის მონეტა[168].

4) 1920-იან წლებში გალის რაიონის სოფ. ცხირში ნაპოვნია სულთან მაჰმუდ II ერთი ვერცხლის მონეტა[169].

5) 1899 წ. სოხუმში, მდ. კელასურის მახლობლად ნაპოვნია XIX საუკუნის ოსმალური, ირანული და რუსული ვერცხლის მონეტების განძი[170].

დასავლეთ საქართველოში ოსმალური მონეტების ფართო გავრცელების დამადასტურებელია 1808 წ. იმერეთში შედგენილი ფასების ნიხრი[171]. მასში დასახელებული ფულის ერთეულებია: ყურუში, ფარა, რუბი, მარჩელი, ფლური—ოსმალურია ყურუში და ფარა. რაც შეხება რუბს, რომელიც XVI—XVII სს-ში ევროპულ მონეტებს (ტალერული მონეტების $\frac{1}{4}$) აღნიშნავდა, XVIII ს-ში ფართოდ გავრცელებული ათფარიანის—ყურუშის $\frac{1}{4}$-ის შესატყვისი უნდა იყოს.

ამგვარად, წერილობით ცნობებზე და ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ოსმალურ საფასეს, ისევე როგორც სხვა ქვეყნის მონეტებს (ევროპული, ირანული) ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკავა დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა XVIII ს. ფულის მიმოქცევაში.

---

166 Е. Пахомов, დასახ. ნაშრომი, III, 533.

167 საქ სახ. ნუმიზმატიკის განყ. კარტოთეკა.

168 იქვე, გ. ფ. № 10387.

169 Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, II, № 532.

170 Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, I, № 240.

171 ნ. ბერძენიშვილი. მასალები საქართველოს ეკ. ისტორიისათვის, ტ. I, 1938, გვ. 261—62.

დასკვნა

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი XV—XVIII საუკუნეების თურქული ნუმიზმატიკური განძებისა და ცალკეული ცალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ საქართველოში მიმოქცევაში იყო თურქული მონეტები, როგორც ვერცხლის, ისე ოქროს და სპილენძისა.

საქართველოსა და ოსმალეთს შორის არსებული პოლიტიკური სიტუაციის შედეგი იყო ჩვენს ქვეყანაში ოსმალური ფულის შემოსვლა და გავრცელება. თურქეთის გაძლიერებამ ამიერკავკასიაში, საქართველოს დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (სამცხე-საათაბაგოში), გამოიწვია ოსმალური ფულის დიდი რაოდენობით დაგროვება. ეს ფული, ისე როგორც დანარჩენი ქვეყნის ფული, ჩაბმული იყო საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში. თურქული ფულის მნიშვნელობამ ჩვენს სავაჭრო ურთიერთობაში, როგორც ჩანს, გამოიწვია ადგილობრივი მინაბაძების გაჩენა, რომლებიც პირობითად ადრეანოპოლის ახჩის მინაბაძებად იწოდებიან და რომლებიც გვხვდება XV საუკუნის ქართული ფულის გორის განძში და XVI საუკუნის დასაწყისის ქართული ფულის მნას განძში. ორივე შემთხვევაში მინაბაძები თანადროულია ერთმანეთისა და რაიმე არსებითი თავისებურებებით არ ხასიათდებიან.

ოსმალური მონეტების შემოსვლისა და გავრცელების თარიღად ქართულ ნუმიზმატიკაში XV საუკუნეა მიჩნეული. ამას ადასტურებს როგორც ადრეანოპოლის ახჩის მინაბაძები, ასევე ქართული წერილობითი წყაროები, სადაც აღნიშნულია, რომ XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში მიმოქცევაშია „ოთმანური როგორც ფლური ისე თეთრი“ ე. ი. ოსმალური ოქროსა და ვერცხლის მონეტები, რომლებიც ინტენსიურად შემოდის ჩვენში და მნიშვნელოვან ადგილს იჭერს საქართველოს ფულად მიმოქცევაში.

ადრეანოპოლის ახჩის მინაბაძის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ,

რომელიც XV საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს რომელიღაც ზარაფხანაში (მონეტის მეორე მხარე უტყვია) იჭრებოდა, ეს უკვე იმის მანიშნებელია, რომ ორიგინალური თურქული მონეტა უფრო ადრე შემოსულა და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში ჩაბმულა. წინააღმდეგ შემთხვევაში არც მინაბაძი მოიჭრებოდა და არც აღმოჩენათა ესოდენ ხშირი შემთხვევები გვექნებოდა.

რაც შეეხება ალთუნს — ოქროს მონეტას, იგი თურქეთში XV საუკუნის ბოლო წლებში მოიჭრა. ჰიჯრის 882—883 (1477—1478) წწ. და წერილობითი წყაროს ცნობით უკვე 1500 წელს საკმაოდ დიდი თანხა იგზავნება საქართველოდან იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შეწირულობის სახით. „ოცდახუთი ათასი ოთმანური რომელიმე ფლურად და რომელიმე თეთრად". მაგრამ ყველაზე ადრეული თარიღით ოქროს მონეტა ჩვენს მიწა-წყალზე დღეისათვის აღმოჩენილია ჰიჯრის 918 (1512) წ. დათარიღებული, გვიანდელი კი ჰიჯრის 1115 (1703) წ. ეს მონეტა იმ მხრივაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი თურქებმა თბილისის ზარაფხანაში მოჭრეს ჰიჯრის 1135—1723 წწ. თუმცა მონეტაზე ეს თარიღი არ არის მოთავსებული. აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ამავე ზარაფხანაში ოსმალებმა მოჭრეს ორმაგი, უმაღლესი ხარისხის ალთუნი — იალთუნ აშრეფ რომელიც საერთოდ დიდ იშვიათობას წარმოადგენს. იგი დღეისათვის მხოლოდ სამ ცალად არის ცნობილი. აქედან ერთი ოსმალური მონეტების კატალოგშია მითითებული, ხოლო ორი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდშია დაცული.

საქართველოს ტერიტორიაზე თურქული მონეტების როგორც განძების, ისე ცალკეული ცალების აღმოჩენათა 51, ხოლო შერეული განძების 13 შემთხვევაა ფიქსირებული. თურქული მონეტები ნომინალების მიხედვით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: ახჩა, თურქეთის სამონეტო სისტემის ძირითადი ერთეული, ალთუნი, ალთუნ აშრეფი, ყურუში, ონლიქი, ნინბეშლიქი, მანგირი და ფარა. ამ მონეტების გავრცელების არეალი შემოიფარგლება ძრითადად დასავლეთ და სამხრეთ დასავლეთ საქართველოთი. თითო-ოროლა ცალი გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში, ისიც შედარებით უფრო მოგვიანო ხანისა.

ოსმალური მონეტების გავრცელების ძირითადი მიზეზი საქართველოში თურქული პოლიტიკის გაძლიერება იყო.

ოსმალური მონეტების გავრცელების მეორე მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ამ ორ მეზობელ ქვეყანას შორის

წარმოებული ვაჭრობა-აღებ-მიცემობა. როგორც ცნობილია, საქართველო და მისი დედაქალაქი თბილისი იმ გზაჯვარედინზე მდებარეობდა, სადაც თავს იყრიდნენ ვაჭრები არა მარტო ოსმალეთიდან, არამედ სხვადასხვა მეზობელი ქვეყნებიდან, რომლებსაც გაჰქონდათ ჩვენი ქვეყნიდან უამრავი მასალა, როგორც ნედლეულის, ისე მზა პროდუქციის სახით, ოსმალო ვაჭრებს ძირითადად საქართველოდან გაჰქონდათ აბრეშუმი, რომელიც კარგ ფასად იყიდებოდა[172]. ექსპორტის საგნებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ბზის ხე, რაშიც თურქი ვაჭრები დიდ მოგებას იღებდნენ. ლამბერტის ცნობით „თითო ხომალდში ატევდნენ 5—6 ათას ხეს და კონსტანტინოპოლში ჰყიდიან თითო ხეს თითო სკუდად"[173].

ყველაზე უფრო მეტად თურქი ვაჭრები იყვნენ დაინტერესებული ცოცხალი ძალით — ადამიანებით. მონებით ვაჭრობა უდიდეს მოგებას აძლევდა თურქ ვაჭრებს[174]. ისინი საკმაო მოზრდილ თანხას იხდიდნენ ტყვეების შესასყიდად, რასაც ხალისით ასრულებდნენ ქვეყნის მოღალატე ფეოდალები.

---

172 შ ა რ დ ე ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.
173 ლ ა მ ბ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრომი, 158.
174 შარდენი, დასახ. ნაზრომი, გვ. 108.

ВЗАИМООТНОШЕНИЯ ГРУЗИИ И ТУРЦИИ В XV — XVIII ВВ. ПО НУМИЗМАТИЧЕСКИМ ДАННЫМ

Резюме

В процессе изучения политической и экономической истории Грузии важное место, наряду с письменными источниками, занимают данные нумизматики. Значительный научный интерес представляют не только грузинские монеты, но также зарубежный нумизматический материал. Чеканка части негрузинских монет производилась в Грузии иноземными завоевателями (арабы, монголы, персы, турки), другая же часть иноземной монеты проникала сюда из соседних стран, в результате международных торговых взаимосвязей. Таким образом, иностранная монета в различные исторические периоды играла значительную роль в денежном обращении Грузии.

Многие исследователи касались в своих работах иноземных чеканенных в Грузии, или найденных на ее территории, монет. Характер денежного обращения иноземной монеты в Грузии становится предметом специального исследования.

Получившие распространение в Грузии турецкие монеты, до настоящего времени не являлись объектом специального монографического исследования, но отдельные монеты и турецкая терминология нашли отображение в ряде работ грузинских ученых.

Нами изучены турецкие монеты, хранящиеся в отделе нумизматики Гос. музея Грузии и в краеведческих музеях республики, проведена классификация типов монет, составлена соответствующая топография находок. Рассмотрена стоимость и курс турецких монет в сопоставлении с другими монетами. В процессе работы нами использован парал-

лельный нумизматический материал хранящейся в музеях Ленинграда, Москвы, Баку и Еревана.

Труд состоит из введения, трех глав и выводов, с приложением таблиц с фоторепродукциями.

В первой главе «Турецкие монеты и их обращение в Грузии XV века» рассматриваются взаимоотношения Грузии и Турции, освещаются вопросы чекана, подражания турецким монетам в Грузии XV века, приводится турецкая монетная терминология, засвидетельствованная в грузинских письменных источниках XV века.

Взаимоотнсшения Грузии и Турции заметно обострились со второй половины XV века. После завоевания Трапезундской империи, Турция стала непосредственным соседом Грузии, раздробленной в то время на несколько царств и самтавро (княжеств). К концу XV века все основные торговые пути, связывающие Европу и Азию, были в руках турок. Установление турецкого господства в Малой Азии и на Черном море обусловило дальнейший экономический упадок Грузии.

С конца XV века Турция перманентно ведет войны против Грузии. Именно в этот период здесь создаются соответствующие политические и экономические предпосылки для проникновения и распространения турецких монет.

На территории Грузии до настоящего времени найдены турецкие монеты XV века, целым рядом данных подтверждается их распространение у нас в этот период. Одним из веских доказательств этого является присутствие в кладах из Гори (конец XV в.) и сел. Мна (начало XVI в.) подражаний турецким монетам.

В Горийском кладе имеется одна монета, на оборотной стороне которой слабо различается изображение креста, что позволяет предположить местное ее происхождение. В результате изучения кладов из Гори и Мна выясняется, что во второй половине XV века в денежном обращении Грузии наряду с ширванскими танга в обращении находились и турецкие монеты, что подтверждается существованием их подражаний.

Значительный интерес в процессе изучения монет представляют также данные грузинских письменных источников,

в которых имеется и турецкая монетная терминология. Согласно данным этих источников, в Грузии с конца XV века и в первые годы XVI века кроме серебряной турецкой монеты — акча, была распространена золотая монета — алтун, чеканка которой впервые была произведена в Турции в 882 г. хиджры (1477 — 1478).

Из поминальной записи Иверского монастыря, датированной 1478 годом, выясняется, что атабаг Самцхе Кваркваре для поминания умершего сына своего Багадура, пожертвовал монастырю двадцать тысяч «отманури», одна часть которых была «плури», а другая — «тетри» (т. е. золотые и серебряные османские монеты), а в 1500 году атабаг Мзечабуки пожертвовал тому же монастырю еще более крупную сумму «двадцать пять тысяч отманури частью золотом и частью серебром».

В поминальной записи 1478 года подробно отражено состояние монетного дела Турции до конца XV века. Приводятся общие названия турецких денег, «османи» соответствуют грузинскому «отманури». Это свидетельствует, что в Самцхе-Саатабаго были хорошо известны общие наименования турецких денег. Упоминающиеся в этом сведении «отманури тетри» (османское серебро) несомненно является турецкой монетой «акча». Грузинский термин в точности соответствует турецкому.

Особый интерес представляет термин «отманури плури». Термин «плури» получил широкое распространение в Грузии в XV веке. Надо полагать, что термин «плури», обозначавший венецианский дукат, попал в Грузию через Турцию. В грузинских источниках XV века термин «плури» упоминается часто. В ряде случаев он определяется как «венетикури», но в данном случае мы имеем дело с засвидетельствованным в поминальной записи «отманури плури».

Поминальная запись с пожертвованиями сына атабага I Кваркваре Багадура датируется 1478 годом (дата смерти Багадура); если это так, то название «плури» здесь не должно быть отождествлено с венецианскими дукатами с т. н. «алтун-фундукли», «перенги-пилори», «ал-плури», которые чеканились на многих монетных дворах Турции в период

1425 — 1477/8 годов. В данном случае по-видимому определение «плури», равно «отманури». Если бы имелись в виду венецианские дукаты, то термин «отманури» был бы лишним, так как «алтун-фундукли» тот же «перенги-пилори» не носили в себе ничего турецкого, они ничем не отличались от оригиналов, кроме того, что чеканились на монетных дворах Турции.

Отождествление «плури» с термином «отманури» показывает, что здесь имеются в виду первые чисто турецкие золотые монеты «алтуны», чеканившиеся в 1478 году. А это совершенно безболезненно отодвигает дату поминальной записи с пожертвованиями Багадура лишь на несколько лет назад.

Таким образом, обнаруженные на территории Грузии подражания серебряным монетам XV века «акча», упоминание в поминальных записях «отманури плури и тетри» — свидетельствуют о распространении и использовании в Грузии турецких денег — акча и алтун. Хотя, турецкие деньги не составили сколько-нибудь значительную часть в грузинском денежном обращении XV в., но существующее положение постепенно меняется в XVI — XVII веках, когда непосредственно стал вопрос об аннексии Грузии Турцией.

Во второй главе: «Обращение турецких монет в Грузии XVI — XVII вв.» рассматриваются политические взаимоотношения Грузии и Турции, приводится топография турецких монет, определение и описание кладов, изучены некоторые особенности обращения турецких денег.

Экспансионистская политика Турции в отношении Грузии особенно усилилась в XVI веке. В руках Турции оказались Западная Грузия и западная часть Самцхе-Саатабаго: Тао, Шавшети и Кларджети. На захваченную территорию турки создали Ахалцихский пашалык, введение турецкого аппарата управления содействовало проникновению и распространению здесь турецких денег.

Приток и распространение в Грузии турецких денег обусловливался политическими и экономическими факторами. На протяжении XVI — XVII веков грузинские купцы вели интенсивную торговлю с Востоком, а посредством восточных

городов связывались с городами и рынками Западной Европы. Это подтверждают списки вывезенных товаров, счетные книги, частные письма купцов. В грузинских документальных источниках XVII — XVIII веков часто упоминаются товары, изготовленные в Турции и в ее провинциях.

На тесные политические и экономические связи Турции и Грузии указывают обнаруженные на нашей территории многочисленные турецкие монеты (акча и алтуны), которые чеканились на монетных дворах Константинополя (Стамбула), Эдирне, Эрзерума, Гюмишхане, Ханджа и др.

В XVI веке в монетном деле Турции господствующей золотой единицей по-прежнему остается алтун, а основной серебряной единицей — акча, вес которой колеблется между 0,61 — 0,80 гр. В последующий период вес акча постепенно уменьшается и к XVII веку он падает до 0,37 — 0,25 грамма. Снижение веса монеты акча и ухудшение пробы были связаны с политическими и экономическими трудностями, которые переживала Турция в XVII веке.

В работе приведена топография турецких монет, на основании которой установлен ареал их распространения. Для лучшего уяснения роли и значения турецких монет на грузинском монетном рынке, нами использованы параллельный нумизматический материал и письменные источники, учтены политико-экономические факторы.

В третьей главе работы «Обращение турецких монет в Грузии в XVIII веке» рассматриваются взаимоотношения Грузии и Турции в XVIII веке, монетное дело Турции, топография османских монет; определены и описаны монеты, найденные в Грузии. Изучены особенности и характер обращения османских монет в Грузии XVIII века.

Результатом расширения агрессии Турции в XVIII в. был захват Тбилиси (1723) и упразднение Картлийского царства. В период турецкой оккупации, на тбилисском монетном дворе чеканились золотые и серебряные монеты, датированные первым годом правления Ахмеда III и Махмуда I. Серебряных номиналов выпускалось сравнительно больше.

Как нами отмечалось, на тбилисском монетном дворе

чеканилось несколько номиналов серебряных денег — онлыки и бешлыки. Первый тбилисский онлык датируется 1115 г. хиджры, но согласно турецкой традиции, часто на монетах отмечался первый год правления того или иного султана, а не реальная дата эмиссии. В действительности в Тбилиси турецкие монеты чеканились между 1115 — 1143 гг. хиджры (1723—1730), со взятия Тбилиси и до последних лет царствования Ахмеда III. Онлыки чеканились в Тбилиси и при Махмуде I в 1143 г. хиджры (1730—1731). Чеканившийся в Тбилиси бешлык датируется 1115 г. хиджры, его внешний вид не отличается от онлыка, вес монеты 2,65 гр. Третий серебряный номинал, чеканенный в Тбилиси — нимбешлык. Это редкая монета, и до настоящего времени найдено всего два экземпляра этого номинала. Датой чеканки является 1115 г. хиджры, вес — 1,26 грамма. Такой же редкой представляется монета нимбешлык с обозначением имени Махмуда I, вес которой равен 1,19 гр. Следует отметить, что во время господства османов на тбилисском монетном дворе чеканились медные монеты, которые датируются 1143 г. хиджры. До настоящего времени эта монета известна лишь в одном экземпляре и хранится в отделе нумизматики государственного музея Грузии.

В грузинских документах 20—30-х годов XVIII века упоминается монета «ахали тетри» (новое серебро), которая чеканилась на тбилисском монетном дворе под названием «куруш», но чеканившийся в Тбилиси этот номинал до настоящего времни не найден на территории Грузии. На тбилисском монетном дворе чеканились также золотые монеты алтуны, вес которых в среднем составлял 3,47 гр. и двойные алтуны — ашрефы, являющиеся большой редкостью.

Турецкие монеты XVIII века вместе с деньгами других стран, обнаруженных на территории Грузии в виде кладов или отдельных экземпляров представлены шире, нежели монеты XVI — XVII вв. До настоящего времени зафиксировано 45 случаев таких находок. К сожалению ряд таких кладов на сегодня для нас недоступен и мы довольствуемся лишь сведениями, имеющимися в литературе.

В фонде кладов отдела нумизматики государственного

музея Грузии хранится весьма ценный клад турецких серебряных монет (355 экз.). Клад из сел. Мурджахети Ахалкалакского района. Клад, заключенный в глиняный кувшин, находился в древнем слое. Монеты, собранные в этом кладе, по времени относятся к 1099—1143 гг. хиджры (1687—1730), и представлены монеты следующих султанов: Сулеймана II — 1099—1102 (1687—1691), Ахмеда II — 1102—1106 (1691—1695), Мустафы II — 1106—1115 (1695—1703), Ахмеда III — 1115—1143 (1703—1730), Махмуда I — 1143—1168 (1730—1754).

В кладе представлены следующие номиналы: куруш, игирмилик, онлык, и акча. Монеты выпущены на следующих монетных дворах: Константинополе, Эдирне, Гандже, Тбилиси и Гюмишхане. Хронологический диапазон клада определяется в 67 лет. Что касается предполагаемой даты захоронения клада, то судя по самой поздней монете, оно было произведено в 50-х годах XVIII в.

На основе изучения Мурджахетского клада, не говоря уже о других кладах и отдельных находках, можно сделать вывод, что в I половине XVIII века турецкие деньги в большом количестве поступали, распространялись и обращались не только на территории Самцхе-Саатабаго, политически подчиненной Турции, но также и в остальных краях и уголках Грузии, и играли определенную роль в торгово-экономических взаимосвязях.

Рассмотренные материалы показывают, что роль турецких денег в Грузии XVIII в. стала более значительной, нежели в XVI — XVII веках. Ареал распространения монет охватывает Картли (зафиксировано 13 случаев находки кладов), Имеретию (12 случаев), Лечхуми (2 случая), Абхазию (4 случая), Гурию (7 случаев), Аджарию (3 случая), Южную Грузию (4 случая), Кахетию (4 случая), всего учтено 48 случаев находки кладов турецких монет.

В результате изучения нумизматического материала установлены монетные дворы, монеты которых поступали в Грузию: Миср (Египет), Хилла (Ирак), Халеб (Сирия), Амид, Ханджа, Гюмишхане (Трапезундский вилайет), Эрзерум, Константинополь, Новар (Сербия), Серез, Сидре-

Капси (Халкедонский полуостров). В Грузии распространялись также турецкие монеты, чеканенные на оккупированной турками территории, в городах временно подчиненных их диктату (Ереван, Ганджа, Тавриз). Наряду с этим, в денежном обращении Грузии принимали участие также турецкие монеты, выпущенные тбилисским монетным двором. Наибольшее же распространение в Грузии получили турецкие монеты, чеканившиеся на монетном дворе Константинополя.

Турецкие деньги на протяжении всего XVIII века оставались законным платежным средством в Ахалцихском пашалыке и Батумском санджаке.

У нас нет сведений относительно стоимости алтуна в период турецкой оккупации, отсутствуют сведения о стоимости алтуна также как и сопоставленной стоимости алтуна, куруша и мангира в Грузии того времени. Капитан Языков и академик Гюльденштедт писали, касаясь Картли и Кахети, что здесь в обращении кроме грузинских, находятся турецкие, персидские, русские серебряные и золотые деньги. Эти сведения могут быть пополнены грузинскими документами XVIII в., в которых указывается, что при оплате местных налогов в обращении находились куруши и алтмишлухи. В этих же документах имеется упоминание о поступлении в Грузию турецких золотых монет — «стамбульского золота», «мисрского золота», «ялдузского золота», иногда встречается термин «старое стамбульское золото», которым по-видимому должен обозначаться стамбульский алтун, чеканенный до 30-х годов XVIII века.

Для нас значительный интерес представляет сведения академика Гюльденштедта относительно употребления турецких денег в Имерети, Гурии и Мингрелии. Из золотых монет он называет — «сармамид» чеканки Мустафы III — 1171 — 1757 (Мисрский монетный двор), неизвестный в турецком монетном деле. По-видимому здесь приводится искаженная форма названия монеты «Зер-и-Махбуби», и действительно, в указанном году на монетном дворе Мисра зафиксирована эмиссия Зер-и-Махбуба. Весовые показатели сармамида Гюльденштедта и Зер-и-Махбуба совпадают, их вес — 2,6 гр. и их идентичность не вызывает сомнения.

Второй номинал, упоминающийся академиком Гюльденштедтом — это турецкий дукат из чистого золота, весом I драхма. Этот термин, по-видимому, соответствует «финдик-алтуну» чеканки Ахмеда III 1115 года хиджры (Истамбульский монетный двор).

Среди турецких денег, получивших распространение в Западной Грузии, Гюльденштедт чаще всего упоминает серебряные монеты. Здесь широко использовались монеты «пара», чеканки разных городов и разных султанов. По сведениям академика Гюльденштедта вес «пара» равен 8 гр. или 0,49 гр. Приводимые данные, по-видимому являются средними из весовых показателей, характерных для монет, которыми располагал Гюльденштедт. Вообще же вес «пара» за период от правления Сулеймана II до правления Мустафы III, как указывает А. С. Шаедлингер, снизился с 0,60 гр. до 0,42 гр.

Гюльденштедт располагал также монетой «девять пара», т. е. тот же онлык, эмиссия которого впервые была осуществлена при Мустафе II (1695 — 1703 гг.). По сведениям Гюльденштедта в обращении была также монета в «двадцать пара», т. е. тот же игирмилик, а также монета «кумши», содержащая 39 пара. Эта последняя является искаженной формой названия куруша, который в действительности содержал 40 пара. Гюльденштедт называл также среди турецких монет — марчили, содержащий 52 пара.

Таким образом, опираясь на письменные сведения и фактический материал, мы приходим к выводу, что турецкие монеты, так же как и монеты других стран (европейские, иранские) занимали значительное место в экономической жизни Грузии и играли важную роль в денежном обращении Грузии XV—XVIII веков.

ტაბულების ალფერილობა

ტ ა ბ უ ლ ა I

1.	1803	ადრიანოპოლის	ახჩის	მინაბაძი	ედირნე	886 წ. ჰ.
2.	1812	„	„	„	„	„ „
3.	7412	„	„	„	„	„ „
4.	7414	„	„	„	„	„ „
5.	3360	„	„	„	„	„ „
6.	3362	„	„	„	„	887 წ. ჰ.
7.		სელიმ I		ნოვობერდა		918 წ. ჰ.
8.		„		სერეზი		„
9.	12405	„		„		„
10.	5104	სულეიმან I		კონსტანტინია		926 წ. ჰ.
11.	5105	„		სიდრე-კაისი		„
12.	5106	„		ჰალები		„

ტ ა ბ უ ლ ა II

13.	5107	სულეიმან I	ამიდი	926 წ. ჰ.
14.	5108	„	მისრი	942 წ. ჰ.
17.	5121	„	ჰილლა	—
18.	5112	თაჰმასპ I	ისპაჰანი	955 წ. ჰ.
19.	5113	„	„	953 წ. ჰ.
20.	2259	მურად III	მესრი	982 წ. ჰ.
20ᵃ.	5302	„	ხანჯა	არ ჩანს
21.	5304	„	„	982 წ. ჰ.
22.	5305	„	„	არ ჩანს
23.	7164	მურად IV	კონსტანტინია	—
24.	2117	მუსტაფა I	არ ჩანს	1031 წ. ჰ.
25.	5086	აჰმედ III	თბილისი	1115 წ. ჰ.

ტ ა ბ უ ლ ა III

26.	1966	სულეიმან II	კონსტანტინია	1099 წ. ჰ.
27.	1895	აჰმედ II	„	1102 წ. ჰ.
28.	1967	„	„	„
29.	1878	მუსტაფა II	„	1106 წ. ჰ.

ტ ა ბ უ ლ ა IV

30.	1970	მუსტაფა II	კონსტანტინია	1106 წ. ჰ.
31.	2025	„	„	„
32.	2042	„	ედირნე	„
33.	2043	„	„	„
34.	2044	„	ერზერუმი	„

ტ ა ბ უ ლ ა V

35.	1903	აჰმედ III	კონსტანტინია	1115 წ. ჰ.
36.	1907	„ „	„	„ „
37.	2161	„ „	„	„ „
38.	2162	„ „	თბილისი	„ „
39.	2163	„ „	განჯა	„ „
40.	2223	მაჰმუდ I	გიუმიშხანე	1143 წ. ჰ.

ტ ა ბ უ ლ ა VI

41.	2225	მაჰმუდ I	გიუმიშხანე	1143 წ. ჰ.
42.	9857	აჰმედ III	კონსტანტინია	1115 წ. ჰ.
43.	9858	„ „	„	„
44.	9878	მაჰმუდ I	კონსტანტინია	1143 წ. ჰ.
45.	9881	„	მისრი	„
46.	5390ა	„	„	„
47.	5390ბ	მუსტაფა III	„	1171 წ. ჰ.

ტ ა ბ უ ლ ა VII

48.	5390გ	აბდალ ჰამიდ I	მისრი	1187 წ. ჰ.
49.	11461	აჰმედ III	თბილისი	1115 წ. ჰ.
50.	11463	მაჰმუდ I	განჯა	1143 წ. ჰ.
51.	5086	აჰმედ III	თბილისი	1115 წ. ჰ.
52.	4975	„	„	„
53.	4988	მაჰმუდ I	„	1143 წ. ჰ.

ცხრილები
ТАБЛИЦЫ

1

2

3

4

5

6

7

8

9



10

11

12

13

14

17

18

19

20



20ᵇ

21

22

23

24

25

26

27



28

29

30

31

32

33

34

35

37

38

36

39

40

41

43

42

44

45

46

47

48

49

53

50

52

51

შ ი ნ ა ა რ ს ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 3

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი. ოსმალური მონეტები და მათი მიმოქცევა საქართველოში XV საუკუნეში 7

1. საქართველო-თურქეთის ურთიერთობა XV საუკუნეში 7
2. სამონეტო საქმე XIV—XV სს. ოსმალეთში (ზოგადი მიმოხილვა) 12
3. ოსმალური საფასე და მისი მინაბაძები XV ს. საქართველოში . . 16
4. ქართულ წყაროებში დამოწმებული XV ს. ოსმალური საფასეს ტერმინოლოგია 23

თ ა ვ ი მ ე ო რ ე. ოსმალური მონეტების მიმოქცევა საქართველოში XVI—XVII საუკუნეებში 26

1. საქართველოსა და ოსმალეთის პოლიტიკური ურთიერთობა XVI—XVII სს. 26
2. XVI—XVII სს. ოსმალეთის სამონეტო საქმის ზოგადი მიმოხილვა 39
3. ოსმალური მონეტების ტოპოგრაფია XVI—XVII სს. 42
4. XVI—XVII სს. ოსმალური მონეტების განძები (განსაზღვრა-აღწერილობა) 46
5. ოსმალური მონეტების მიმოქცევის ზოგიერთი თავისებურება XVI—XVII სს. საქართველოში 63

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე. ოსმალური მონეტების მიმოქცევა საქართველოში XVIII საუკუნეში 71

1. ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII საუკუნეში . . 71
2. XVIII ს. ოსმალეთის სამონეტო საქმის ზოგადი მიმოხილვა . . 74
3. XVIII ს. ოსმალური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში . 76
4. XVIII ს. ოსმალური მონეტების განძები საქართველოში (განსაღვრა-აღწერილობა) 82
5. თბილისში მოჭრილი ოსმალური მონეტები 122
6. ოსმალური მონეტების მიმოქცევის ხასიათი XVIII ს. საქართველოში 127

დასკვნა 137

Взаимоотношения Грузии и Турции в XV—XVIII вв. по нумизматическим данным (резюме) 140

ტაბულების აღწერილობა 149

ტაბულები 151

Мери Георгиевна Антадзе

ВЗАИМООТНОШЕНИЯ ГРУЗИИ И ТУРЦИИ В XV—XVIII ВВ. ПО НУМИЗМАТИЧЕСКИМ ДАННЫМ

(на груз. языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდ. თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი
ისტ. მეცნ. კანდ. გ. დ უ ნ დ უ ა

ИБ 1803

გამომცემლობის რედაქტორი ს. ხ ა ნ ჯ ა ლ ა ძ ე
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
მხატვრული რედაქტორი გ. ლ ო მ ი ძ ე
მხატვარი ნ. გ ა ბ უ ნ ი ა
კორექტორი ც. ქ ი ტ ი ა შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოება 29.2.1981; ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.5.1982;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 10.1;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8.1;

უე 00837; ტირაჟი 900; შეკვეთა № 3981;

ფასი 95 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19